- კვლავ ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება სამხედრო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია; მათ შორის, განხორციელდება ყველა მოქმედი ყაზარმისა და სასადილოს სრული რეაბილიტაცია, ჯარისკაცებისთვის მოეწყობა ახალი სპორტული ინფრასტრუქტურა, მოწესრიგდება სამხედრო ბაზების შიდა ინფრასტრუქტურა.

მაღალ პროფესიულ დონეზე იქნება უზრუნველყოფილი დანაშაულის პრევენცია, დანაშაულზე სწრაფი რეაგირება, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და



მართლწესრიგის დაცვა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფაქტების გამოვლენა; მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება თანამშრომელთა სამუშაო პირობები; საზოგადოებისთვის კიდევ უფრო მოქნილი და სწრაფი სერვისები იქნება შეთავაზებული:

- გაგრძელდება კრიმინალური პოლიციის რეფორმა, რომელიც საპოლიციო საქმიანობის საფუძველია; დასრულდება კრიმინალურ პოლიციაში ოპერატიული, საგამომიებო და საუბნო მიმართულებების მკაფიოდ გამიჯვნა; განვითარდება მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი, რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციისთვის მუშაობა;

- საგამომიებო სისტემის რეფორმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია საგამომიებო და საპროკურორო ფუნქციების გამიჯვნა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეფორმის საფუძველზე; რეფორმის მიზანია გამომიების პროცესში გამომძიებლების მეტი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, გამომიების ხარისხის ამაღლება და საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერება; აღნიშნული რეფორმის ფარგლებში, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით მომზადებულია და მიღებული იქნება საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ და სამოქმედო გეგმა;

- გაგრძელდება სასაზღვრო პოლიციის რეფორმა; რეფორმის ფარგლებში განვითარდება ადამიანური რესურსების უკეთ მართვის, სასაზღვრო ინფრასტრუქტურისა და საზღვარზე დაკვირვების თანამედროვე ტექნიკური საშუალებები; გაგრძელდება საზღვრის მართვის რისკების ანალიზის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება;

- განხორციელდება საპატრულო პოლიციის რეფორმის ახალი ეტაპი; რეფორმის ფარგლებში დაინერგება სტანდარტული მოქმედებების პროცედურები და სამართალდარღვევების გამოკვეთის თანამედროვე საშუალებები; გაძლიერდება ქვეით პატრულ-ინსპექტორთა კორპუსი, რაც აამაღლებს ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურით დატვირთულ მიმართულებებზე უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის სტანდარტებს; საგზაო უსაფრთხოების სფეროში გამოწვევების დასაძლევად განვითარდება უკონტაქტო პატრულირება; საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრის კონცეფცია დაინერგება ქვეყნის მასშტაბით;

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დონის ამაღლების ფარგლებში გააგრძელებს ქვეყნის მასშტაბით ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების დამატებას/განვითარებას;

- საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კიდევ უფრო გაძლიერდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და მეხანძრე-მაშველების შესაძლებლობები; გაძლიერდება საოპერაციო შესაძლებლობები/რესურსები, ამაღლება მზადყოფნის დონე და რეაგირების ხარისხი, ძირეულად განახლება ტექნიკა/აღჭურვილობა, მოხდება ინფრასტრუქტურის სრული მოდერნიზაცია, მნიშვნელოვნად განვითარდება საერთაშორისო თანამშრომლობა;

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება პოლიციის დანაყოფებში ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნა;

- დაინერგება დანაშაულის პრევენციისკენ მიმართული მიდგომები, მათ



შორის, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის მოდელი. ამ მიზნით გაგრძელდება პოლიციის დანაყოფებში ანალიტიკოსთა ქსელის შექმნა ქვეყნის მასშტაბით;

- გაღრმავდება საერთაშორისო საპოლიციო სტრუქტურებთან თანამშრომლობა; საქართველო აქტიურად ითანამშრომლებს ევროპოლთან 2017 წელს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე;

- გაგრძელდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის განხორციელება; მნიშვნელოვნად გაიზრდება საგზაო მოძრაობის ადმინისტრირების სფეროში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება;

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტად დარჩება ორგანიზებულ დანაშაულსა და ნარკოდანაშაულთან აქტიური ბრძოლა;

- გაგრძელდება ახალი საპოლიციო ციფრული პროდუქტების შექმნა. მათ შორისაა: ანონიმური შეტყობინებების პლატფორმა, საზღვრის კვეთის ელექტრონული სისტემა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების საინფორმაციო პლატფორმა, მოქალაქეებთან უკუკავშირის სისტემა;

- საზოგადოებისა და პოლიციის თანამშრომელთათვის ღირსეული და უსაფრთხო პირობების შესაქმნელად გაგრძელდება პოლიციის შენობების განახლება/რეაბილიტაცია, ახალი ობიექტების მშენებლობა და მათი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა;

- განხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები, რაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ საზოგადოებისთვის შეთავაზებულ სერვისებს კიდევ უფრო მოქნილს, კომფორტულსა და მრავალფეროვანს გახდის.

გაგრძელდება პენიტენციური სისტემის მაღალი საერთაშორისო სტანდარტებით მოწყობის პროცესი. ამ მიზნით:

- პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურა მაქსიმალურად დაუახლოვდება მაღალ საერთაშორისო სტანდარტებს;

- აშენდება ახალი, მცირე ზომის პენიტენციური დაწესებულებები, გაუმჯობესდება არსებული დაწესებულებები უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და რეაბილიტაციის სფეროებში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

- შეიქმნება საოჯახო ტიპის პენიტენციური დაწესებულება, სადაც ერთი და იმავე სასწავლო ინტერესებისა და მისწრაფებების მქონე რამდენიმე არასრულწლოვანი განთავსდება და გათავისუფლებამდე ოჯახურ გარემოში იცხოვრებს;

- პენიტენციურ დაწესებულებებში გაუმჯობესდება უსაფრთხოების, გარე პერიმეტრის დაცვისა და ესკორტის ღონისძიებები დაწესებულებებიდან გაქცევის, მიმალვის ან დაწესებულებებში უკანონო ნივთების შეტანის შესაძლებლობის შესამცირებლად;

- დაინერგება ინდივიდუალური შეფასების, მათ შორის, კლასიფიკაციის, სასჯელის დაგეგმვისა და შემთხვევის მართვის, ეფექტიანი მეთოდოლოგიები;

- გაუმჯობესდება მსჯავრდებულთა დასაქმების, პროფესიული სწავლების, განათლებისა და განტვირთვის შესაძლებლობები. ამ მიზნით შეიქმნება



შესაბამისი სისტემები და ინფრასტრუქტურა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით;

- გაუმჯობესდება პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისთვის მიწოდებული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება მისი სამოქალაქო სექტორში გაწეული მომსახურების ხარისხთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;

- დაინერგება გათავისუფლებისთვის მომზადების პოლიტიკა პენიტენციური დაწესებულებიდან პრობაციის სისტემაში გადასვლის და პენიტენციური დაწესებულებიდან/პრობაციის სისტემაშიდან საზოგადოებაში დაბრუნების ხელშესაწყობად;

- გაძლიერდება 14 წლამდე ასაკის ბავშვებთან მუშაობა დანაშაულის პრევენციისთვის;

- პენიტენციური დაწესებულებებისა და დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროების ბენეფიციარებისთვის, თანამშრომლებისა და სტუმრებისთვის გაუმჯობესდება, შესაბამისად, უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობები;

- პენიტენციური დაწესებულებებისა და დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროების თანამშრომლებისთვის შეიქმნება ღირსეული და არადისკრიმინაციული სამუშაო პირობები.

## 2.1 საზოგადოებრივი წესრიგი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (პროგრამული კოდი 30 01)

პრევენციული და საგამოძიებო ფუნქციების გაძლიერება;

ეფექტიანი და ანგარიშვალდებული სამართალდამცავი უწყების ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას, დანაშაულზე სწრაფ რეაგირებას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, მართლწესრიგსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფაქტების გამოვლენას;

ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე დროული რეაგირებისა და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის გაზრდა;

სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ავტოპარკის მუდმივი განახლება და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; სისტემაში მომუშავე მოსამსახურეების სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესებისა და მატერიალური უზრუნველყოფის ხელშესაწყობად ქალაქ თბილისში 1 100-ბინიანი „პოლიციის ქალაქის“ მშენებლობა.

## 2.2 თავდაცვის მართვა (პროგრამული კოდი 29 01)

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მხარდაჭერის მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული



ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება;

პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ნატო, ევროკავშირი, ეუთო, გაერო, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტრიალი და სხვა) ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ღონისძიებების განხორციელება;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დიპლომატიური (სამოქალაქო და სამხედრო) წარმომადგენლების მხარდაჭერა და შეიარაღების კონტროლისა და ვერიფიკაციის ღონისძიებები.

### 2.3 ლოჯისტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 09)

სამხედრო ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის ასამაღლებლად სრული ლოჯისტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

### 2.4 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 26 02)

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოსაყალიბებლად, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტებისა და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და ღონისძიებების განხორციელება;

პენიტენციური სისტემის ადმინისტრირების სრულყოფა;

პენიტენციური სისტემის კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა;

პენიტენციური სისტემის უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენისთვის აუცილებელი საშუალებებით უზრუნველყოფა;

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით სატრენინგო/საგანმანათლებლო და ფსიქოსოციალურ პროგრამებში, ტრენინგებსა და კურსებში, კულტურულ ღონისძიებებსა და დასაქმების პროგრამებში მსჯავრდებულთა ჩართულობის უზრუნველყოფა;

პენიტენციური სისტემის აუცილებელი მედიკამენტებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ლაბორატორიული საგნებითა და რეაქტივებით უზრუნველყოფა;

ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის სხვადასხვა პროფილის მოწვეული ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციების, სამოქალაქო სექტორის კლინიკებში სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების გაწევა და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში მომსახურების შეთავაზება;

ანტიტუბერკულოზური მკურნალობის საჭიროების მქონე პირთა, აივ ინფექციის/შიდსის გამოვლენის მიზნით და C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სკრინინგი და შესაბამისი მკურნალობის კურსის ჩატარება, პაციენტების ჩართვა აივ ინფექციის/შიდსის ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამაში;



დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

პენიტენციური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით პატიმართა და ამ სისტემის თანამშრომელთა საჭიროებებზე მორგებული პენიტენციური ინფრასტრუქტურის შექმნა.

**2.4.1 პენიტენციური სისტემის მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 26 02 01)**

პენიტენციური სისტემის ადმინისტრირების სრულყოფა;

პენიტენციური სისტემის უნიფორმით, რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენისთვის აუცილებელი საშუალებებით უზრუნველყოფა;

პენიტენციური სისტემის კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა;

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით სატრენინგო/საგანმანათლებლო და ფსიქოსოციალურ პროგრამებში, ტრენინგებსა და კურსებში, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებსა და დასაქმების პროგრამებში მსჯავრდებულთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

**2.4.2 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 02 02)**

პენიტენციური სისტემის აუცილებელი მედიკამენტებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ლაბორატორიული საგნებითა და რეაქტივებით უზრუნველყოფა;

ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის სხვადასხვა პროფილის მოწვეული ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციების, სამოქალაქო სექტორის კლინიკებში სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების გაწევა და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში მომსახურების შეთავაზება;

ანტიტუბერკულოზური მკურნალობის საჭიროების მქონე პირთა, აივ ინფექციის/შიდსის გამოვლენის მიზნით და C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სკრინინგი და შესაბამისი მკურნალობის კურსის ჩატარება, პაციენტების ჩართვა აივ ინფექციის/შიდსის ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამაში;

დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

**2.4.3 პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 26 02 03)**

პენიტენციური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით პატიმართა და ამ სისტემის თანამშრომელთა საჭიროებებზე მორგებული პენიტენციური ინფრასტრუქტურის შექმნა.



**თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება (პროგრამული კოდი 29 08)**

ეროვნული თავდაცვის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად საქართველოს თავდაცვის ძალების ნატოსთან თავსებადი შესაძლებლობების განვითარება საბრძოლო ფუნქციების მიხედვით.

**სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 20 01)**

საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო პოტენციალის დაცვა უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისგან;

სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილებისა და სახელმწიფო ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლის გამოვლენა და დაცვის უზრუნველყოფა;

ტერორიზმთან ბრძოლა;

სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველ ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ და საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლა;

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება;

სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება და მისი კონტროლი.

**სახელმწიფო საზღვრის დაცვა (პროგრამული კოდი 30 02)**

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცეში და საქართველოს იურისდიქციისადმი დაქვემდებარებულ გემებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამაშველო ოპერაციების განხორციელება ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადასარჩენად;

საქართველოს საზღვაო სივრცეში მისი სუვერენული უფლებების დაცვა;

ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვის კონტროლი;

საზღვრის მართვის, კონტროლის, დაკვირვებისა და ინფორმაციის გაცვლის ტექნოლოგიების განვითარება და სასაზღვრო ინფრასტრუქტურის მოწყობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულების, რეგიონული სამმართველოებისა და სასაზღვრო სექტორების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის;

სასაზღვრო პოლიციის საზღვაო ფლოტის მცირე მცურავი სწრაფმავალი





საშუალებების განახლება;

სასაზღვრო პოლიციის ხანდაზმული საჰაერო ფლოტის მოდერნიზება-სტანდარტიზება.

**2.8 სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (პროგრამული კოდი 30 06)**

ტაქტიკურ დონეზე საომარი მდგომარეობით, ბუნებრივი ან/და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტისგან/საგანგებო სიტუაციისგან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოს ან/და ქონების დასაცავად სათანადო რესურსებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით შესაბამისი კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;

სტრატეგიულ (პოლიტიკურ) და ოპერაციულ დონეებზე გადაწყვეტილებების მისაღებად შესაბამისი პირებისთვის რეკომენდაციების/წინადადებების შემუშავება და წარდგენა, აგრეთვე ორგანიზაციული, ტექნიკური და საინფორმაციო-ანალიტიკური დახმარების გაწევა;

ურბანული საძიებო სამაშველო ჯგუფისთვის გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის – INSARAG-ის კლასიფიკაციის მინიჭება;

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების გაწევა;

სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნასთან, მართვასთან, შენახვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საოპერაციო პროცედურების განხორციელება.

**2.9 ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 29 05)**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და განვითარება, კერძოდ: სამხედრო ბაზებში შემავალი ყველა ფუნქციური ზონის რეაბილიტაცია და განვითარება; ახალი სამხედრო ობიექტების მშენებლობა; სპორტული დარბაზების მშენებლობა/კაპიტალური რემონტი; საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების რეაბილიტაცია; სამხედრო მოსამსახურეებისთვის საბინაო ფონდის შექმნა.

**2.10 პროფესიული სამხედრო განათლება (პროგრამული კოდი 29 02)**

მაღალკვალიფიციური პირადი შემადგენლობის ჩამოსაყალიბებლად ეფექტიანი საგანმანათლებლო/სასწავლო პროგრამების განხორციელებით კადეტთა ზოგადი განათლებისა და დაწყებითი სამხედრო მომზადების უზრუნველყოფა;

კვალიფიციური და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე ოფიცერთა კორპუსის აღზრდა და მომზადება;

კადრების პროფესიული გადამზადებისთვის სპეციალიზებული მოკლე- და გრძელვადიანი კურსების, ტრენინგების, აგრეთვე გამოცდილების გასაზიარებლად შეხვედრებისა და კონფერენციების გამართვა;

სამხედრო მოსამსახურეების წვრთნისა და განათლების სისტემის განვითარება;



თანამედროვე თავდაცვის ძალების ჩამოსაყალიბებლად როგორც სამხედრო მოსამსახურეებისთვის, ისე სამოქალაქო პირებისთვის ქვეყნის გარეთ პროფესიული განვითარების სასწავლო კურსების ჩატარება;

ნატოს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ (PfP), პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობისა და საქართველოში განხორციელებული პროფესიული განვითარების პროგრამების ფარგლებში საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო პირების მონაწილეობა.

## 2.11 დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 40 01)

საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ხელისუფლების სხვა უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელ პირთა, საქართველოში ვიზიტით მყოფ უცხო ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირთა, აგრეთვე სამთავრობო რეზიდენციების დაცვა და მათი უსაფრთხოების დონის ამაღლება.

## 2.12 საქართველოს პროკურატურა (პროგრამული კოდი 21 00)

ადამიანის უფლებების დაცვა გამოძიების მიმდინარეობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში; ამ სფეროში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევის გამომწვევი მიზეზების დადგენა და საერთაშორისო და უფლებადამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება;

ოჯახური ძალადობის, წამების, არასათანადო მოპყრობის, უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფაქტებზე ეფექტიანი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება;

სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დახვეწა, პროკურორთა საჭიროებებზე მორგებული და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამების დახვეწა, პროკურორთა დატვირთვის ელექტრონული მოდულის მოდერნიზაცია;

საქართველოს პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების არსებული მექანიზმების სრულყოფა;

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტის დახვეწა და მისი ხელმისაწვდომობის გაზრდა;

პროკურატურის ცნობადობის ამაღლება და დანაშაულის პრევენციის (მათ შორის, „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის მეშვეობით) პროცესში მისი როლის გაზრდა;

არასრულწლოვანებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების სრულყოფა, არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემოს შექმნა;



საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის, საერთაშორისო სტანდარტების სამუშაო პრაქტიკაში დანერგვის, საკანონმდებლო სიახლეების პრაქტიკაში სწორად განხორციელებისა და დანაშაულთან ბრძოლის ხელშეწყობა პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფით;

თანამიმდევრული, კოორდინირებული საქმიანობის ხელშეწყობისა და საერთო მიდგომების დანერგვის მიზნით პროკურატურისა და სხვა საგამოძიებო უწყებების/მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის ერთობლივი სასწავლო პროექტების განხორციელება.

**2.13 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 03)**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეების საბაზისო სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა, პაციენტთა მკურნალობის ხარისხის ამაღლებისა და ეფექტიანობის გაზრდისთვის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობისა და მისი ოჯახის წევრების სოციალური მხარდაჭერის ხელშეწყობა, მათი ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამედიცინო ქვედანაყოფების შესაძლებლობების განვითარება;

დაჭრილი/დამავეებული სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის ხელშეწყობა;

ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროცესის გაუმჯობესება და საპროთეზო-ორთოპედიული მომსახურება;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მონაწილე პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური დაცვა და მატერიალური უზრუნველყოფა.

**2.14 სამეცნიერო კვლევა და სამხედრო მრეწველობის განვითარება (პროგრამული კოდი 29 07)**

პროექტის „ფიზიკური უსაფრთხოება, საბრძოლო მასალების მარაგების და კონვენციური შეიარაღების განადგურების მართვა საქართველოში“ ფარგლებში ვადაგასული საბრძოლო მასალების უტილიზაცია, საავიაციო რაკეტებისა და ბომბების გაუვნებლება;

სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების ოპერაციული სისტემის გაუმჯობესება;

ახალი რაკეტების შექმნა და სეტყვისგან დაცული ტერიტორიების არეალის გაზრდა;

ფეთქებადი ნივთიერებების სინთეზი, კვლევა, ექსპერტიზა; ფეთქებამდეგი სტრუქტურების საჯაჯშნი მასალების შემუშავება, დაპროექტირება, გამოცდა და



ანალიზი; აფეთქების იდენტიფიკაციის მეთოდების სრულყოფა, დამცავი სისტემების კვლევა-დაპროექტება, გამოცდა და ანალიზი;

ნახევარგამტარული, თერმოელექტრული, კერამიკული, პოლიმერული და ზეგამტარი ნანოკომპოზიციური მასალების მიღების ტექნოლოგიების დამუშავება, მასალების მიღება და მათ ფუძეზე სხვადასხვა დანიშნულების ნაკეთობების შექმნა და ლაბორატორიული გამოცდების ჩატარება;

რთულ მექანიკურ სისტემებში მიმდინარე დინამიკური პროცესების მათემატიკური და ფიზიკური მოდელირება და კვლევა; მანქანების კვანძებსა და დეტალებში სხვადასხვა სახის დატვირთვების გაანგარიშების მეთოდებისა და ალგორითმების დამუშავება;

სამხედრო, საყოფაცხოვრებო და კომერციული დანიშნულების ოპტიკური სისტემებისა და მათი ცალკეული დეტალების დიზაინი; სხვადასხვა იარაღისთვის განკუთვნილი ოპტიკური სამიზნეებისთვის გაუმჯობესებული პარამეტრების ოპტიკური სქემების შემუშავება;

ტექნოლოგიური საქმიანობის სრულყოფა; ლითონების, ლითონური მასალებისა და ნაკეთობების ხარისხის გაუმჯობესება და მათი მიღების ახალი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება; ბუნებრივი რესურსებისა და წარმოების ნარჩენების რაციონალური გამოყენება;

დადგენილი და დამუშავებული მრავალსპექტრული (ინფრაწითელი/ულტრაიისფერი), ინტეგრაციული პროცესების ხელშემწყობი დეტექტორის (ხანძრის მონიტორინგის სენსორი) საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბაზა.

## 2.15 ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (პროგრამული კოდი 23 03)

საფინანსო და ეკონომიკურ სფეროებში დანაშაულთან ბრძოლა, ქვეყანაში ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი გარემოს ხარისხის ამაღლება, კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის დაცვა და სამსახურში მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება;

დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

საქართველოსა და უცხო ქვეყნებში პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებსა და პროცედურებთან დაკავშირებით დაგროვილი გამოცდილების შესწავლა;

ფინანსური დანაშაულის გამოძიების საერთაშორისო ქსელის პროექტებში მონაწილეობა;

საქართველოს ეკონომიკურ საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება გადასახადების გადახდისთვის თავის არიდების ფაქტების აღსაკვეთად, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

თაღლითობის ფაქტების აღმოჩენის/გამოვლენის, აგრეთვე კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებთან დაკავშირებით ევროპული სამსახურების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებსა და სემინარებში სისტემატური მონაწილეობის უზრუნველყოფა;

ინტელექტუალური საკუთრების უფლების ეკონომიკურ დანაშაულად მიჩნევისთვის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში თანამშრომლობა.



უფლებამოსილი ორგანოს მიმართვის საფუძველზე, სპეციალური ტექნოლოგიური საშუალებებით, ფარული მეთოდებით საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგისა და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვება, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება და ამ მიზნით ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია: სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერასთან; კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოპოვებასთან; კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვებასთან; გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრასთან; საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის კონტროლთან; ფარულ ვიდეოჩაწერასთან ან/და აუდიოჩაწერასთან, ფარულ ფოტოგადაღებასთან;

„კონტრაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებებისა და იმავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელება;

სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა;

სასაზღვრო ტექნოლოგიების განვითარება და სასაზღვრო გამტარი პუნქტების საინფორმაციო-ტექნოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა.

კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების განვითარება საქართველოს თავდაცვის ძალების მართვისა და კონტროლის სისტემის მხარდასაჭერად;

კიბერუსაფრთხოების გაძლიერება და პერსონალისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;

მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება;

ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება; კიბერუსაფრთხოების სფეროში გამოცდილების გასაზიარებლად საერთაშორისო ფორუმების, სემინარებისა და კონფერენციების გამართვა;

სამხედრო სწავლებებში კიბერუსაფრთხოების ელემენტების ინტეგრირება;

საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში დამატებითი სტანდარტებისა და წესების შემუშავება და დანერგვა;

საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება;

სერვისების უწყვეტობის უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების ხარისხის ამაღლება;



რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემის (IRMS) ეტაპობრივი დანერგვა;

კავშირგაბმულობის სერვისების, ინტერნეტისა და საფოსტო-საკურიერო მომსახურებების უზრუნველყოფა.

**2.18 სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (პროგრამული კოდი 37 00)**

ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ პირთა ოჯახების სათანადო ცხოვრების პირობებისა და კეთილდღეობისთვის მყარი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლის შექმნის უზრუნველყოფა;

სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ვეტერანთა პოტენციალის სრულფასოვანი გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობა, მათი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობისთვის სათანადო, ღირსეული პირობების შექმნა;

სამშობლოსთვის თავდადებულ გმირთა სახელების სადიდებლად და მათი საქმის უკვდავსაყოფად საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის განმტკიცებისთვის მუდმივი ზრუნვა;

ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა;

საზოგადოებაში მხედრული ტრადიციების განმტკიცება, სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ ვეტერანთა ღვაწლისა და დამსახურების სათანადო აღიარება, მომავალ თაობებში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება.

**2.19 ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათ შორის, ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვის და უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 03)**

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მოძრავი ტვირთების დაცვა და გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა და ინკასირება, დადებული ხელშეკრულებებისა და სახელმწიფო შეკვეთების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისგან, დასაცავი ობიექტების დაცვის ხარისხის ამაღლება, ობიექტების ციფრული კავშირგაბმულობისა და თანამედროვე დაცვითი საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემებით აღჭურვა;

ავტოპარკის მუდმივი განახლება;

ინფრასტრუქტურის მუდმივი რეაბილიტაცია.

**2.20 დანაშაულის პრევენცია, პრობაციის სისტემის განვითარება და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია (პროგრამული კოდი 26 06)**

ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის პრევენცია, მათ შორის, დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ხელშეწყობა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია, რთული ქცევისა და



სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწევალ არასრულწლოვანებთან მუშაობა, დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების, სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება და მათში არასაკატიმრო სასჯელით მსჯავრდებულთა, განრიდებულ არასრულწლოვანთა, რთული ქცევისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი მოზარდების ჩართულობის უზრუნველყოფა;

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არასაკატიმრო სასჯელებისა და სამართლებრივი აქტების აღსრულების უზრუნველყოფა და ამ გზით საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის გარანტიების შექმნა, რომლებიც მოიცავს სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, იურიდიული პირისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას, გამასწორებელ სამუშაოს, შინაპატიმრობას (მათ შორის, ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებას), იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვას;

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული არასაკატიმრო სასჯელებისა და სამართლებრივი აქტების აღსრულებასთან ერთად, დანაშაულის გამომწვევი რისკფაქტორების შემცირებისა და აღმოფხვრის მიზნით ბენეფიციარების ფსიქოსოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პირობით მსჯავრდებულებისა და ყოფილი პატიმრების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გადასაჭრელად ამ პირთა მხარდაჭერა და შესაბამისი სერვისების მისაღებად გადამისამართება; მათთვის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ტრენინგების/პროფესიული გადამზადების კურსების შეთავაზება და პოტენციურ დამსაქმებელთან რეკომენდაციების გაწევა, აღდგენითი მართლმსაჯულების, განრიდება-მედიაციის სფეროს ინსტიტუციური ჩარჩოს დახვეწა, აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების პრაქტიკაში დანერგვა, აგრეთვე საგრანტო პროგრამების საშუალებით დეფიციტური სერვისების მიწოდება და მათი განვითარება;

ფსიქოსოციალური, პროსოციალური და სარეაბილიტაციო მომსახურებების, პროფესიული გადამზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში არასაკატიმრო სასჯელებით მსჯავრდებული, პრობაციონერი, განრიდებული და რეფერირების ცენტრის ბენეფიციარების ჩართვა;

პრობაციის ბიუროების ახალ ოფისებში პრობაციონერთა სარეგისტრაციო სივრცის, ინდივიდუალური გასაუბრების და ჯგუფური შეხვედრების ოთახების, ვიდეოკამერის სერვისის ფუნქციონირება და სხვა.

2.21

**ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება (პროგრამული კოდი 24 10)**

საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება;

კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობა;

ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება;

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციით და პილოტაჟით უზრუნველყოფა;



ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფა;

რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის ქვეყნის მასშტაბით მგზავროთა საჰაერო გადაყვანა.

## 2.22 საერთაშორისო სამშვიდობო მისიები (პროგრამული კოდი 29 06)

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინაშე აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულება და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად წარმოებულ სამშვიდობო მისიებსა და ოპერაციებში მონაწილეობა;

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგისა და ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობა და ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ მისიებში (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში – EUTM RCA, მალის რესპუბლიკაში – EUTM Mali) მონაწილეობა;

საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების (საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქვედანაყოფების პერსონალის საზღვარგარეთ მივლინების, იმუნიზაციის, სამედიცინო ქონებისა და სხვა ნივთების შეძენისა და ინტერნეტის მომსახურების ხარჯების) დაფინანსება, გადასროლისწინა მომზადებისთვის საჭირო საბრძოლო მასალის შეძენა და ჯარისკაცების აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

## 2.23 სსიპ – სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო (პროგრამული კოდი 40 03)

სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სისტემით სახელმწიფო სტრუქტურების უზრუნველყოფა.

## 3 რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

მაღალი სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ქვეყნის ლოჯისტიკური ფუნქციის მაქსიმალურად ათვისებისთვის მომდევნო წლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- დამატებით აშენდება 200 კმ-მდე ავტობანი – დასრულდება ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა; აშენდება 200-მდე ხიდი და 70-მდე გვირაბი, რის შედეგადაც თბილისი-ბათუმის მიმართულებით მგზავრობას დაახლოებით 3,5 საათი დასჭირდება;

- დასრულდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის რიკოთის, სამტრედია-გრიგოლეთის, გრიგოლეთი-ჩოლოქის, ბათუმის შემოვლითი გზის მონაკვეთების მშენებლობა;

- გაგრძელდება ყველა სასაზღვრო გამტარი პუნქტის მიმართულებით საერთაშორისო მნიშვნელობის ავტომაგისტრალის მშენებლობის პროექტები; მათ შორის, 2024 წლისთვის დასრულდება ქვეშეთი-კობის 23-კმ-იანი მონაკვეთისა და 9-კმ-იანი გვირაბის მშენებლობა; დაიწყება ნატახტარი-ჟინვალის 27-კმ-იანი ჩქაროსნული გზის მშენებლობა; აგრეთვე დაიწყება ბათუმი-სარგის,





თბილისი-სადახლოსა და თბილისი-წითელი ხიდის მიმართულებებით ავტომაგისტრალების მშენებლობა;

- გაგრძელდება კახეთის მიმართულებით ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობა; მათ შორის, დასრულდება გურჯაანის შემოვლითი გზის 15-კმ-იანი მონაკვეთისა და თბილისი-საგარეჯოს 35-კმ-იანი და ბაკურციხე-წნორის 16-კმ-იანი ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობა;

- დასრულდება ბაღდათი-აბასთუმნის, საჩხერე-ონის, თბილისი-მატილის, ბათუმი-ახალციხისა და სხვა მნიშვნელოვანი გზების მონაკვეთების მშენებლობა;

- განხორციელდება 1 500 კმ-მდე საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია და 200-მდე სახიდე გადასასვლელის მშენებლობა-რეაბილიტაცია, რის შედეგადაც 2024 წლისთვის ქვეყანაში საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზების 95% და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 85% სრულად იქნება მოწესრიგებული;

- სტიქიის პრევენციისთვის აქტიურად გაგრძელდება ნაპირდაცვითი ღონისძიებების განხორციელება.

მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხი ერთ-ერთი პრიორიტეტია. მოქალაქეებისთვის ხარისხიანი სასმელი წყლის უწყვეტი მიწოდება მომდევნო წლებშიც ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად და პრიორიტეტად დარჩება. ამ მიზნით:

- დასრულდება მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები, რის შედეგადაც უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი იქნება დამატებით ათეულობით ქალაქი, დაბა და სოფელი, მათ შორის: ხაშური, თელავი, სტეფანწმინდა, ვანი, ბაღდათი, სამტრედია, ფასანაური, მატანი, დედოფლისწყარო და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლები, სიღნაღი, თეთრი წყარო, ზუგდიდი, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების სოფლები, გარდაბანი და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლები (მარტყოფი, ნორიო, ახალსოფელი, ვაზიანი, ახალი სამგორი და სხვა);

- ქვეყნის უფრო მეტი მოსახლეობა იქნება უზრუნველყოფილი გამართული წყალმომარაგებით.

ქვეყნის ინტერნეტიზაციის უზრუნველსაყოფად განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020–2025 წლების ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად, დაიწყება საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა. ამის შედეგად შინამეურნეობებისთვის ხელმისაწვდომი იქნება არანაკლებ 100 მბ/წმ, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოებისა და საწარმოებისთვის – არანაკლებ 1 გბ/წმ სიჩქარის ინტერნეტი;

- პროექტის – „ლოგ ინ ჯორჯიას“ ფარგლებში 1000-მდე დასახლებული პუნქტის ნახევარ მილიონ მოსახლეს ექნება მაღალი ხარისხის ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;

- მაღალმთიანი რეგიონების ინტერნეტით უზრუნველსაყოფად გაგრძელდება ღონისძიებები სათემო ინტერნეტიზაციის ხელშეწყობისთვის;



· განხორციელდება ღონისძიებები სატელეკომუნიკაციო ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის გამოყენებით სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურად ათვისებისა და საქართველოს გავლით ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ციფრული სატრანზიტო ცენტრის ჩამოყალიბებისთვის.

ქვეყნის რეგიონების განვითარების უთანასწორობის შემცირების, ინკლუზიური განვითარებისა და მოსახლეობისთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით გაგრძელდება სოფლების გზების რეაბილიტაციის, წყალმომარაგება-წყალარინების, კულტურის ობიექტების, სკოლების, საბავშვო ბაღების, სპორტული ინფრასტრუქტურის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება.

ქვეყნის რეგიონების თანაბარი განვითარებისა და ეკონომიკური საქმიანობის ახალი შესაძლებლობების შექმნისთვის გაგრძელდება რეგიონებში ახალი მიზიდულობის ცენტრების (აბასთუმანი, მესტია, ველისციხე, წყალტუბო და სხვა) შექმნა და განვითარება.

სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ფუნქციების სრულყოფისთვის მომდევნო წლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

· შეიქმნება ერთიანი ციფრული პლატფორმა, რომელშიც ინტეგრირებული იქნება სატრანსპორტო გადაზიდვების სფეროში არსებული ყველა ელექტრონული/ციფრული სერვისი;

· სააეროპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მიმდინარეობს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გაფართოება. პროექტის დასრულების შემდეგ ტერმინალის ფართობი 5-ჯერ გაიზრდება, ხოლო მგზავრთა გამტარუნარიანობა გაოთხმაგდება (დაახლოებით 2 მლნ მგზავრი წელიწადში);

· COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევების მიუხედავად, გაგრძელდება და გააქტიურდება მუშაობა საქართველოს ავიაბაზარზე ახალი კომპანიების მოზიდვისა და ახალი მიმართულებების განვითარებისთვის;

· სანავსადგურო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის დაგეგმილია ფოთში APM-ტერმინალის გაფართოება და Pace Group-ის ახალი ტერმინალის მშენებლობა (პროექტი დაწყებულია – ის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის კერძო საინვესტიციო კორპორაციამ – OPIC-მა 50 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციით დააფინანსა); ბათუმის საზღვაო ნავსადგურში მიმდინარეობს კარბამიდის ტერმინალის მშენებლობა (ეს ამერიკის შეერთებული შტატების კორპორაციის – TRAMO GROUP-ის ინვესტიციაა);

· სარკინიგზო გადაზიდვების უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის გაზრდისთვის გაგრძელდება სარკინიგზო ტრანსპორტის დარგის რეფორმირება საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით;

· განხორციელდება რკინიგზის რესტრუქტურისა ევროკავშირის ტექნიკური დანბარების ინსტრუმენტის მეშვეობით, რისთვისაც ევროკომისიასთან აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს;

· სახელმწიფო ხელს შეუწყობს ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარებას.

საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისებისა და



ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებისთვის მომდევნო წლებში გადაიდგმება შემდეგი ნაბიჯები:

- განხორციელდება გაზსაცავის პროექტი – ის დაყოფილია 2 ფაზად: I ფაზა დაეთმობა კვლევით სამუშაოებს, ხოლო II ფაზა – უშუალოდ მიწისქვეშა გაზსაცავის დაპროექტებასა და მშენებლობას;

- გაგრძელდება გაზიფიცირების სამუშაოები და გაზით უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის მოსახლეობის 90%;

- დაინერგება ენერგოეფექტურობის ყოვლისმომცველი საკანონმდებლო ჩარჩო და სტანდარტები საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით, რისთვისაც მიღებული იქნება შესაბამისი კანონები და კანონქვემდებარე აქტები და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდება პროექტები;

- ელექტროენერგიაზე მზარდი მოთხოვნილების პირობებში მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების ხარისხის ამაღლებისთვის განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას; გაგრძელდება ენერგეტიკის მდგრადი განვითარების პრინციპის დაცვით სასისტემო მნიშვნელობის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა;

- გაგრძელდება ენერჯის განახლებადი წყაროების (ქარის, მზის, ბიომასის) განვითარებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;

- სატრანზიტო მიმართულების განვითარებისთვის გაგრძელდება ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა; მათ შორის, განმტკიცდება/გაძლიერდება მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ხაზები.

საქართველოს ტურისტული პოტენციალის ათვისებისთვის დაგეგმილია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- განხორციელდება სამიზნე ქვეყნების დივერსიფიცირება, რაც გულისხმობს მეზობელი ქვეყნების საბაზრო წილის 70%-მდე შემცირებას და ევროკავშირისა და შორეული ქვეყნების (ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა) ბაზრების საბაზრო წილის 30%-მდე გაზრდას;

- 2023 წელს საქართველო მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარდგება მსოფლიოს ყველაზე მასშტაბურ და გავლენიან ტურისტულ გამოფენაზე – ITB Berlin 2023-ზე;

- სამედიცინო ტურიზმის განვითარებისთვის ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა ბალნეოლოგიური კურორტების იდენტიფიცირება და ამ მიმართულებით საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – აწარმოე საქართველოში შეიმუშავა ცალკეული სახელმწიფო პროგრამები სპეციალური დაფინანსების პირობებით. ხელი შეეწყობა აღნიშნული მიმართულების განვითარებას;

- ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისებისთვის მიმდინარე ეტაპზე ხორციელდება კურორტების (წყალტუბო, აბასთუმანი და სხვა) ეტაპობრივი განვითარება;

- გასტრონომიული ტურიზმის განვითარებისთვის მოხდება რეგიონებისთვის დამახასიათებელი/ავთენტური სამზარეულოს პოპულარიზაცია ქვეყნის წამყვანი შეფმზარეულების, ტუროპერატორებისა და მედიის



ჩართულობით;

- ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის ხორციელდება პროექტი „ღვინის გზა“. პროექტი მოიცავს ქვეყანაში არსებულ ღვინის იმ საოჯახო მარნებსა და საწარმოებს, რომლებიც ღვინის ტურიზმის ფარგლებში მასპინძლობას ეწევიან;
- მომდევნო 4 წლის განმავლობაში საქართველოში მაღალმხარჯველუნარიანი, საქმიანი მოგზაურების მოზიდვისთვის საქმიანი ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იქნება;
- ქვეყანაში არსებული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების, ფრესკული მხატვრობისა და სიწმინდეების პოპულარიზაციისთვის დაგეგმილია პილიგრიმული (რელიგიური) ტურიზმის განვითარება.

საქართველოს სამთო კურორტების განვითარებისთვის მომდევნო წლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- სამთო-სათხილამურო კურორტების (გუდაური, ბაკურიანი, გოდერძი, თეთნულდი და ჰაჩვალა) განვითარებისთვის 2020–2024 წლებში დაგეგმილია სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარება და ოთხი სეზონის ტურისტული პროდუქტების შექმნა;
- ქვეყანაში 12 საერთაშორისო შეჯიბრება გაიმართება, 2023 წელს კი საქართველო უმასპინძლებს თხილამურსა და სნოუბორდში თავისუფალი სტილით სრიალში მსოფლიო ჩემპიონატს, რომლის მიმდინარეობისას მას ათასობით ვიზიტორი ეწვევა.

### 3.1 საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 25 02)

საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

ჩქაროსნული ავტომაგისტრალებისა და საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მშენებლობა;

საქართველოს საგზაო ქსელის საერთაშორისო საგზაო კომუნიკაციების სისტემაში ინტეგრირება;

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და სახიდე გადასასვლელების, მუნიციპალიტეტებთან, საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან, მოსაზღვრე ქვეყნებთან მისასვლელი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება, რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია-მშენებლობა;

საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში;

სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისა და პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარება;

ზღვის ნაპირების, მდინარეების კალაპოტებისა და ნაპირების გამაგრება;

მაგისტრალების მშენებლობის პროცესში თანამედროვე ტიპის



ადაპტირებული სავაჭრო ობიექტების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი – ქალების, ეკონომიკურ გამდიდრებას;

გენდერული საჭიროებების კვლევა და ყველა ბენეფიციარის ინტერესების გათვალისწინება სათანადო სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში; ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი – მოწყვლადი ჯგუფების (საბავშვო ბაღების აღსაზრდელები, სკოლის მოსწავლეები, ქალები, შშმ პირები), საჭიროებების გათვალისწინება, მათ შორის, შეუფერხებელი გადაადგილება, სამუშაოების დაგეგმვისა და შესრულების პროცესში.

### 3.1.1 საავტომობილო გზების პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 25 02 01)

საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით;

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის ადმინისტრირება და მონიტორინგი.

### 3.1.2 საავტომობილო გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 25 02 02)

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და სახიდე გადასასვლელების პერიოდული შეკეთება, რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია-მშენებლობა;

საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში;

ავტომაგისტრალებსა და საავტომობილო გზებზე არსებული გარე განათებისა და საინფორმაციო ბილბორდების ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, სახიდე გადასასვლელების მდგომარეობის შესწავლა;

სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისა და პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარება;

ზღვის ნაპირების, მდინარეების კალაპოტებისა და ნაპირების გამაგრება.

### 3.1.3 ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (პროგრამული კოდი 25 02 03)

ავტოტრანსპორტით მგზავრთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველსაყოფად ჩქაროსნული ავტომაგისტრალების, საავტომობილო გზების, სახიდე გადასასვლელებისა და გვირაბების რეკონსტრუქცია-მშენებლობა გენდერული ასპექტების გათვალისწინებით;



მაგისტრალების მშენებლობის პროცესში თანამედროვე ტიპის ადაპტირებული სავაჭრო ობიექტების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი – ქალების, ეკონომიკურ გაძლიერებას;

გენდერული საჭიროებების კვლევა და ყველა ბენეფიციარის ინტერესების გათვალისწინება სათანადო სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში; ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი – მოწყვლადი ჯგუფების (საბავშვო ბაღების აღსაზრდელები, სკოლის მოსწავლეები, ქალები, შშმ პირები), საჭიროებების გათვალისწინება, მათ შორის, შეუფერხებელი გადაადგილება, სამუშაოების დაგეგმვისა და შესრულების პროცესში.

### 3.2 წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 04)

მუნიციპალიტეტებში/სოფლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია/მოწყობა, წყალმომარაგებისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაცია/მშენებლობა;

მუნიციპალიტეტების მოსახლეობის ეკოლოგიურად სუფთა, გაფილტრული, ზედაპირული გრუნტის წყლების მოხვედრისგან დაცული სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა;

აბონენტთა გამრიცხველიანება, დანაკარგების შემცირება და გარემოსდაცვითი სტანდარტების უზრუნველყოფა;

გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის გატარება და გენდერულად მგრძობიარე ინფრასტრუქტურის მოწყობა, წყალმომარაგების სისტემის, სუფთა წყლისა და სანიტარიული სერვისების გაუმჯობესება, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობის გაზრდა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად; გადაწყვეტილებების მიღება მოსახლეობასთან კონსულტაციებისა და მისი აქტიური ჩართულობის საფუძველზე, მათ შორის, ქალების, მამაკაცების, ასაკობრივი ჯგუფების, სოციალურად დაუცველი, ფინანსურად ნაკლები შესაძლებლობის მქონე პირებისა და სხვა მოწყვლადი კატეგორიის ინტერესების გათვალისწინებით.

### 3.3 რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 03)

მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურების შესყიდვა; საჯარო სერვისების მიწოდების გაძლიერება ჩართულობისა და



თანასწორობის ხელშესაწყობად;

სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის (ადმინისტრაციული, სტრატეგიული, კულტურული, სპორტული და სხვა დანიშნულების) ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

გენდერულად მგრძობიარე და გენდერულად პასუხისმგებლობიანი ინფრასტრუქტურის შექმნა; ინფრასტრუქტურულ პროექტებში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის, ქალთა და მამაკაცთა განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინება და შშმ პირების დამოუკიდებელი გადაადგილებისა და სოციალიზაციისთვის უნივერსალური ინფრასტრუქტურის შექმნა. ადგილობრივი მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება ახალი, კომფორტული საბავშვო ბაღებით, წყალმომარაგებით, საავტომობილო გზებით, სპორტული და გასართობი ინფრასტრუქტურით, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის, ბავშვების, აღმზრდელ-პედაგოგების, სპორტსმენებისა და მწვრთნელების ყოფით და სამუშაო პირობებს, განსაკუთრებით დადებით ზეგავლენას კი მოახდენს ქალთა მდგომარეობაზე როგორც დროის, საქმიანობის, ისე გადაადგილების კუთხით;

ქვეყანაში ურბანული სატრანსპორტო სისტემის მუშაობის სრულყოფა;

ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება;

საქართველოს რეგიონების ურბანული განახლების, განვითარებისა და ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერების ხელშეწყობა;

დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება, დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ანალიზი;

სოციალური და გენდერული კონსულტაციების ჩატარების უზრუნველყოფა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობა და მათი შესაძლებლობების გაძლიერება გენდერული ბალანსის გაუმჯობესების მიზნით; ქალთა და მამაკაცთა თანაბარი დასაქმების შესაძლებლობების შექმნა; ქალებისა და მამაკაცების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა პროექტების განხორციელების ყველა ეტაპზე; ბენეფიციარი მამაკაცებისა და ქალების განსხვავებული მოთხოვნების/მოლოდინების განხილვა სოციალური ანგარიშვალდებულების მექანიზმების ფარგლებში.

**3.4 ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 25 08)**

მუნიციპალიტეტებში ცენტრალური უბნების ურბანული განახლება, ტურისტულად მიმზიდველი სივრცეების შექმნა-განვითარება და სხვადასხვა შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია გენდერული ასპექტების გათვალისწინებით.

**3.5 სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 24 14)**



ქვეყანაში არსებული მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების, მათ შორის, მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ხაზების, მშენებლობა-რეაბილიტაცია;

ენერგოსისტემის მოძველებული ქვესადგურების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და სხვადასხვა სიმძლავრის ახალი ქვესადგურების მშენებლობა;

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებისთვის შესაბამისი ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა.

### 3.5.1

#### **რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი (პროგრამული კოდი 24 14 01)**

ქვეყანაში არსებული მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების, მათ შორის, მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ხაზების, მშენებლობა-რეაბილიტაცია;

ენერგოსისტემის მოძველებული ქვესადგურების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და სხვადასხვა სიმძლავრის ახალი ქვესადგურების მშენებლობა;

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებისთვის შესაბამისი ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა;

გურიის რეგიონის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირებისა და რეგიონის კვების საიმედოობის ამაღლების, კახეთის რეგიონის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირების, კახეთის რეგიონისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის კვების საიმედოობის ამაღლების, ცხენისწყლის კასკადის ჰესებისა და ხელედულაჰესის სიმძლავრის გამოტანისა და მისი საიმედოობის ამაღლების, ონის მუნიციპალიტეტის ჰესების კასკადისა და რაჭის რეგიონის ჰესების სიმძლავრის გამოტანისა და საიმედოობის ამაღლების მიზნით;

500-კილოვოლტიანი, ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო-ახალციხე“ მშენებლობის დაწყება;

პროექტის „ნამახვანი-წყალტუბო-ლაჯანური“ განხორციელების დაწყება;

500-კილოვოლტიანი, ერთჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი-წყალტუბო“ მშენებლობა;

110-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის „ოზურგეთი-ზოტიჰესი“ მშენებლობა;

ელექტროგადამცემი ხაზის „ჟინვალი-გურჯაანი“ მშენებლობა.

#### 3.5.1.1

#### **500 კვ ეგხ „წყალტუბო-ახალციხე-თორთუმი“ (EU-NIF, KfW) (პროგრამული კოდი 24 14 01 01)**

500-კილოვოლტიანი მაგისტრალის „ენგური-ზესტაფონი-ახალციხე“ (ელექტროგადამცემი ხაზი „იმერეთი“ და ელექტროგადამცემი ხაზი „ზეკარი“) რეზერვირება;





სიმძლავრის ხუდონი-ენგურის კვანძიდან თურქეთისა და საქართველოს აღმოსავლეთი რეგიონისკენ (სომხეთისკენ) გატანის უსაფრთხოება;

ჰესების სიმძლავრის რუსეთიდან და ენგურის კვანძიდან თურქეთისკენ გატანა: ნენსკრაჰესის, ენგურისა და მისი შენაკადების ჰესების, ცხენისწყლის კასკადის ჰესების, ნამახვანის კასკადისა და ხელედულაჰესის სიმძლავრის ქსელში გამოტანა, მომხმარებლებისკენ ტრანზიტი (თბილისი-რუსთავის კვანძი) და ექსპორტი (სომხეთისა და თურქეთისკენ);

საქართველოსა და თურქეთს შორის სიმძლავრის გაცვლის უნარისა და საიმედოობის გაზრდის ხელშეწყობა;

ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე-ბორჩხა“ რეზერვირება.

**3.5.1.2 „ჩრდილოეთის რგოლი“ (EBRD), „ნამახვანი-წყალტუბო-ლაჯანური“ (EBRD, KfW) (პროგრამული კოდი 24 14 01 02)**

მესტიის მუნიციპალიტეტის ჰესების სიმძლავრის გამოტანა და საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა;

მდინარე ნენსკრას შენაკადების, ნენსკრაჰესის, ნამახვანის კასკადის სიმძლავრის გამოტანა;

ლაჯანურის სიმძლავრის გამოტანა და საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა.

**3.5.1.3 500 კვ ეგხ „ჯვარი-წყალტუბო“ (WB) (პროგრამული კოდი 24 14 01 03)**

500-კილოვოლტიანი მაგისტრალის „ენგური-ზესტაფონი-ახალციხე“ (ელექტროგადამცემი ხაზი „იმერეთი“ და ელექტროგადამცემი ხაზი „ზეკარი“) რეზერვირება;

სიმძლავრის ხუდონი-ენგურის კვანძიდან თურქეთისა და საქართველოს აღმოსავლეთი რეგიონისკენ (სომხეთისკენ) გატანის უსაფრთხოება;

ჰესების სიმძლავრის რუსეთიდან და ენგურის კვანძიდან თურქეთისკენ გატანა: ნენსკრაჰესის, ენგურისა და მისი შენაკადების ჰესების, ცხენისწყლის კასკადის ჰესების, ნამახვანის კასკადისა და ხელედულაჰესის სიმძლავრის ქსელში გამოტანა, მომხმარებლებისკენ ტრანზიტი (თბილისი-რუსთავის კვანძი) და ექსპორტი (სომხეთისა და თურქეთისკენ);

საქართველოსა და თურქეთს შორის სიმძლავრის გაცვლის უნარისა და საიმედოობის გაზრდის ხელშეწყობა;

ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე-ბორჩხა“ რეზერვირება.

**3.5.1.4 გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (პროგრამული კოდი 24 14 01 04)**

გურიის რეგიონის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირება;

გურიის რეგიონის კვების საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა;



მდინარე რიონის ქვემო ზონის (ვარციხის კასკადის) ჰესების სიმძლავრის გამოტანის საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა;

ბათუმის კვების საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა;

ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე-ბორჩხა“ რეზერვირება.

**3.5.1.5 კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (პროგრამული კოდი 24 14 01 05)**

220-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი „ჟინვალი-თელავი-გურჯაანი“; ქვესადგურები: 220/110 გურჯაანის რეაბილიტაცია, 220/110 თელავის მშენებლობა, 220/110 ჟინვალის მშენებლობა;

კახეთის რეგიონის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირება;

კახეთის რეგიონისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის კვების საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა.

**3.5.1.6 „ხელედულა-ლაჯანური-ონი“ (KfW) (პროგრამული კოდი 24 14 01 06)**

500/220/110-კილოვოლტიანი ქვესადგური ლაჯანურში; 220-კილოვოლტიანი, ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზი „ხელედულა-ლაჯანური-ონი“, „ხელედულა-ლაჯანური-ონი“-ს მშენებლობა, 220/110-კილოვოლტიანი ქვესადგურის – ლაჯანურის მშენებლობა;

ცხენისწყლის კასკადის ჰესებისა და ხელედულაჰესის სიმძლავრის გამოტანა და მისი საიმედოობის ამაღლების ხელშეწყობა.

**3.5.2 ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტი (პროგრამული კოდი 24 14 02)**

აჭარა-გურიის ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლება (ხაზების „პალიასტომი 1, 2“ რეზერვირება);

აჭარის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;

საბითუმო ვაჭრობის განვითარების პლატფორმის – „SCADA/EMS“ სისტემის განახლება.

**3.5.2.1 220 კვ ხაზის „ახალციხე-ბათუმი“ მშენებლობა (WB) (პროგრამული კოდი 24 14 02 01)**

220-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე-ბათუმი“ მშენებლობა;

საბითუმო ვაჭრობის განვითარების პლატფორმის – „SCADA/EMS“ სისტემის განახლება;

აჭარა-გურიის ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლება (ხაზების „პალიასტომი 1, 2“ რეზერვირება);

აჭარის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირების მაღალი ხარისხის



### საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (პროგრამული კოდი 24 08)

საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა, უცხოური გამოცდილების გაზიარება და საქართველოში დანერგვა;

დაგეგმილი პროექტების განხორციელებისთვის საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადება და დასაქმება, მათთვის პროდუქტიული სამუშაო გარემოს შექმნა და განსახორციელებელი პროექტების ადმინისტრაციული რესურსით უზრუნველყოფა;

საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროსა და ინოვაციების მიმართულების სპეციალისტებისა და კომპანიების რაოდენობის გაზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;

საქართველოში ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა/მხარდაჭერა, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში ინოვაციების ეკოსისტემის განვითარებას;

საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტების გადამზადება საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიების საკითხებში, რომლის საბოლოო მიზანია აღნიშნული სპეციალისტების დასაქმება საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე;

ინოვაციების საგრანტო დაფინანსება მათი შემდგომი კომერციალიზაციის და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების მიზნით;

საქართველოს იმ დასახლებულ პუნქტებში, რომლებიც პროგრამის სამიზნე გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს, ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რის შედეგადაც საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა ისარგებლებს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით და ისეთი პროგრამებით/სერვისებით, როგორებიცაა: ელექტრონული ჯანმრთელობის დაცვა, ელექტრონული განათლება, ელექტრონული მმართველობა, კომერცია და სხვა თანამედროვე სერვისები.

### მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა (პროგრამული კოდი 25 05)

მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტების (ნაგავსაყრელების) მოწყობა და მართვა;

ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა;

მუნიციპალიტეტების აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა, რაც გაზრდის დასახლებულ პუნქტებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ხელმისაწვდომობასა და ინტენსივობას;

ძველი ნაგავსაყრელების ეტაპობრივი დახურვა;

ნარჩენების მართვის პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინება და გენდერულად პასუხისმგებლობიანი ინფრასტრუქტურის შექმნა; ქალებისა და მამაკაცების თანაბარი ჩართულობა ნარჩენების მართვის პოლიტიკის შემუშავებისა და არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტების



(ნაგავსაყრელების) მშენებლობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში; სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე, სექტორში ქალებისა და მამაკაცების დასაქმებისთვის თანაბარი პირობების შექმნა.

### 3.8 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 05)

საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, პოპულარიზაცია;

ახალი ტურისტული პროდუქტის განვითარება და არსებული ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია (მარშრუტების შემუშავება, პროდუქტის ბეჭდური საინფორმაციო მასალის მომზადება);

მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;

ტურისტებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება.

### 3.9 ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EBRD, EIB, EU) (პროგრამული კოდი 24 19)

ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის დასრულება საშუალოვადიანი პროგრამის მიხედვით: გვირაბზე ფილტრაციული და დაწნევის კარგების შემცირება, ავარიული უბნების რემონტი, აგრეგატების საიმედოობის გაზრდა, ავარიული გაჩერებების პრევენცია, ტრანსპორტირების პირობების გაუმჯობესება, მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი მოწყობილობების გამოცვლა, ლამის ამოწმენდა და, შესაბამისად, მისაყრდნობი ფარის გამოყენება სიღრმული წყალსამშენების ფარების რემონტისთვის.

### 3.10 ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (პროგრამული კოდი 24 11)

ყაზბეგის მუნიციპალიტეტსა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება ამ პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისთვის შესაბამის პერიოდებში.

### 3.11 რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 25 01)

რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და განხორციელების კოორდინაცია, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში მისი განხორციელების მონიტორინგი და ანალიზი;

მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის, დეკონცენტრაციისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხებზე და მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური გაძლიერებისთვის, დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ერთ-ერთი პრინციპის – „გენდერული თანასწორობის“ უზრუნველსაყოფად, დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ქალებისა და მამაკაცების თანასწორი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად



შესაბამისი წინადადებების შემუშავება; გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში მაღალი ხარისხის ჩართულობის ხელშეწყობა, მათ შორის, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში;

კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთობის კოორდინაცია;

კომპეტენციის ფარგლებში ადგილობრივი და უცხოური წყაროებით დაფინანსებული რეგიონული პროგრამებისა და პროექტების კოორდინაცია და მათი განხორციელების ეფექტიანობის შეფასება;

კომპეტენციის ფარგლებში მუნიციპალიტეტების მოხელეთა სწავლების საკითხების კოორდინაცია;

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტებისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებაზე დარგობრივი ზედამხედველობის განხორციელება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად;

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებზე ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება;

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში როგორც სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი, ისე სხვა სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობისთვის მიკუთვნებული, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების უზრუნველყოფა, აგრეთვე ამ პროექტებით გათვალისწინებული ობიექტების სამშენებლო-სარეაბილიტაციო და სხვა სამუშაოების განხორციელების კოორდინაცია და კომპეტენციის ფარგლებში მისი მონიტორინგი;

კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს წყლით უზრუნველყოფისა და მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა და კოორდინაცია;

არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტების (ნაგავსაყრელების) მოწყობა, მართვა და დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა).

### 3.12 სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარება (პროგრამული კოდი 24 20)

სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დარგის პოლიტიკის შემუშავება, კოორდინაცია და მართვა; გეგმების განხორციელების უზრუნველყოფა; შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავების/სრულყოფის პროცესში მონაწილეობა; გეგმების საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების



უზრუნველყოფა; სივრცის დაგეგმარებაზე ზეგავლენის მქონე პროექტების წინასწარი შეფასება; პერსპექტიული კურორტების ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების უზრუნველყოფა;

განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიის/ზონის სტატუსის მინიჭების საკითხის დამუშავება/საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა; საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ქალაქთმშენებლობითი გეგმების განხილვა-დამტკიცება; სარეკრეაციო ტერიტორიებზე არქიტექტურული პროექტების შეთანხმება;

დარგის სპეციფიკური ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა საქმიანობის განხორციელება.

**3.13 მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 24 15)**

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაზისა და ელექტროენერჯის არმქონე სოფლების გაზიფიცირება და ელექტრიფიცირება;

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობისთვის გაზისა და ელექტროენერჯის მიწოდების ხელმისაწვდომობის გაზრდა, მათ შორის, მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ნაწილობრივ ანაზღაურება;

ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების გათბობით უზრუნველყოფა ზამთრის პერიოდში.

**3.14 ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარება (პროგრამული კოდი 24 17)**

საქართველოს მთავრობის მიერ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების პროექტის ხელშეწყობა და ახალი საინვესტიციო ხელშეკრულებების მონიტორინგი.

**3.15 საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (WB) (პროგრამული კოდი 24 12)**

საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტების გადამზადება საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიების საკითხებში შემდგომ მათი როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე დასაქმების მიზნით;

საქართველოში ძლიერი ტექნოლოგიური კომპეტენციის შექმნა პროგრამირებისა და ციფრული პროექტების მართვის სფეროში, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ ტექნოლოგიური სერვისების ექსპორტზე ორიენტირებულ სახელმწიფო პროგრამას.

**3.16 ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (პროგრამული კოდი 24 02)**

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების უსაფრთხოების დონის ამაღლების ხელშეწყობა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების დახვეწით;

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის უზრუნველყოფა შესაბამისი მშენებლობის ნებართვის



3.17

### ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 24 04)

ბაზარზე განთავსებული ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტების ზედამხედველობის უზრუნველყოფა ევროპის ბაზარზე არსებული ზედამხედველობის სისტემის დანერგვით.

4

### განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

განათლებისა და მეცნიერების მიმართულებებით განხორციელდება რეფორმის მომდევნო, მრავალმხრივი ეტაპი. შეიქმნება ისეთი განათლების სისტემა, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად, ბავშვების, სტუდენტების, ახალგაზრდებისა და ზრდასრულების სათანადო თეორიული ცოდნით აღჭურვასა და მათთვის პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამომუშავებასთან ერთად უზრუნველყოფს მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას და მათ მიერ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების სიღრმისეულად გააზრებას. ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური და საზოგადოებრივი წინსვლის უმთავრესი წინაპირობაა ადამიანური კაპიტალის განვითარება.

ადრეული და სკოლამდელი განათლების მიმართულებით:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება მისი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად კვლავ უფასო იქნება;
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები გარდაიქმნება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად, რაც უზრუნველყოფს სკოლებში ბავშვებისთვის საჭირო, მრავალმხრივი აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- გაგრძელდება სასკოლო მზაობის ცენტრების გახსნის მხარდაჭერა; შემუშავდება და განხორციელდება „სკოლა-ბაღის“ კონცეფციის სტანდარტი;
- განისაზღვრება სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება, გაგრძელდება ღონისძიებების განხორციელება მათი კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობისთვის; დაიწყება ღონისძიებების განხორციელება სკოლამდელ დაწესებულებებში ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების მოზიდვის ხელშეწყობისთვის;
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის, განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით გაგრძელდება საჯარო დაწესებულებების მონიტორინგი; მონიტორინგის შედეგების საფუძველზე გადამუშავდება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; არაქართულენოვანი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ ყველა მუნიციპალიტეტში განხორციელდება სახელმწიფო ენის სწავლება ბილინგვური მოდელით, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო მზაობის გაუმჯობესებას, ზოგადი განათლების საფეხურზე ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფას და გრძელვადიან პერიოდში საქართველოში მცხოვრები არაქართულენოვანი პირების საზოგადოებაში წარმატებულ ინტეგრაციას;



· ყველა ბავშვისთვის უზრუნველყოფილი იქნება სკოლამდელი განათლებიდან ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე გადასვლის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება;

· შეიქმნება 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების შესახებ სტატისტიკური მონაცემების ამსახველი, ინტეგრირებული ელექტრონული სისტემა;

· დასრულდება საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში 50-ზე მეტი საბავშვო ბაღის მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; გაგრძელდება ახალი საბავშვო ბაღების დაფუძნება; განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები.

ზოგადი განათლების მიმართულებით:

· უზრუნველყოფილი იქნება მასწავლებელთა და სკოლების ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება დაგეგმილი განათლების რეფორმისა და მასწავლებელთა კარიერული სქემის დანერგვის შესაბამისად;

· დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ახალი სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები ამ სტანდარტების დასაკმაყოფილებლად; 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული/რეორგანიზებული საჯარო სკოლების ეტაპობრივი ავტორიზაცია;

· შემუშავდება და დაინერგება სკოლების მართვისა და დაფინანსების დიფერენცირებული მოდელები;

· გაგრძელდება ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შესაბამისი სასწავლო რესურსების შექმნა და განვითარება; გადამუშავდება ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა; დაინერგება ფართომასშტაბიანი სასკოლო შეფასების სისტემა; დაიწყება ელექტრონული რესურსების განვითარება;

· რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები; განხორციელდება ღონისძიებები სკოლებში ადამიანური კაპიტალის გაძლიერებასა და განვითარებაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობისთვის;

· გაგრძელდება ახალი სახელმძღვანელოების შექმნის პროცესი; განახლდება გრიფორების პროცედურები;

· სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ)/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მათზე მორგებული სასწავლო პროცესის წარმართვისთვის ქვეყნის მასშტაბით აქტიურად დაინერგება და განვითარდება ინკლუზიური განათლების კომპონენტები;

· არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისთვის ფართოდ დაინერგება ბილინგვური სწავლების განსხვავებული მოდელი;

· განისაზღვრება განათლების მიღმა დარჩენილი პირების სასწავლო პროცესში ინტეგრაციის პოლიტიკა; მათთვის უზრუნველყოფილი იქნება





## ალტერნატიული კურიკულუმი;

- დიასპორის წარმომადგენლებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ქართული ენის დისტანციური სწავლების კურსი; ინკლუზიური განათლების პოპულარიზაციისთვის განხორციელდება ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები;
- სკოლებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის შეიქმნება პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების, აგრეთვე ფსიქოსოციალური მომსახურების მიღების მოქნილი, შედეგებზე ორიენტირებული მექანიზმები; გაიზრდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მომსახურებით მოსარგებლე საჯარო სკოლების რაოდენობა; განხორციელდება მანდატურების, ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკებისა და უსაფრთხოების დაცვის უფლებამოსილების მქონე პირების გადამზადების პროგრამები;
- შემუშავდება მასწავლებლის პროფესიის რეგულირების ახალი წესი; განხორციელდება მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ღონისძიებები მათი პროფესიული საჭიროებების შესაბამისად;
- გაგრძელდება სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარება; დასრულდება სრულად ადაპტირებული 80 სკოლის მშენებლობა და 850-მდე საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია; განხორციელდება 91 ავარიული საჯარო სკოლის გამაგრება/სრული რეაბილიტაცია სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო გარემოს შექმნის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- უზრუნველყოფილი იქნება საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის ფუნქციის წარმატებით შესრულება;
- ეტაპობრივად დაიხვეწება სწავლების დისტანციური და ჰიბრიდული მეთოდოლოგია.

## უმაღლესი განათლების მიმართულებით:

- დაინერგება უმაღლესი განათლების დაფინანსების ეფექტიანი სისტემა;
- შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგრად განვითარებას და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება ღონისძიებები ხარისხის განვითარების მხარდაჭერისთვის;
- შემუშავდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სადოქტორო პროგრამების შეფასების ერთიანი კონცეფცია;
- სახელმწიფო ხელს შეუწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მიერ საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვებას;
- გაგრძელდება პროგრამა „ვისწავლოთ საქართველოში“;
- პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით: გაგრძელდება მასწავლებლის მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პირთა დაფინანსება, ამოქმედდება სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები, გაგრძელდება სკოლისშემდგომი



განათლებისთვის მომზადების პროგრამის განხორციელება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის, გაგრძელდება მსჯავრდებულთა მიერ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლების მიღების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება;

- გაფართოვდება ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები, გაძლიერდება საერთაშორისო თანამშრომლობა, ხელი შეეწყობა უცხოელი მაღალკვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მობილიზებას;

- საქართველო გახდება პროგრამის – „ერაზმუს+“-ის („Erasmus+“) განმახორციელებელი ქვეყანა, რის შედეგადაც, გარდა უმაღლესი განათლებისა და ახალგაზრდობის კომპონენტებისა, მისთვის ხელმისაწვდომი იქნება პროგრამის ყველა კომპონენტი;

- გაგრძელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება მათი ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად.

მეცნიერების მიმართულებით:

- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობა;

- უზრუნველყოფილი იქნება მეცნიერების დაფინანსების შესაბამისი სისტემა; დაინერგება მეცნიერების შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელი;

- ხელისუფლება იზრუნებს მეცნიერებისა და მკვლევარების პრესტიჟის ამაღლებაზე;

- კანონის შესაბამისად, სამეცნიერო შედეგების მიხედვით გაიზრდება მეცნიერ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება;

- განხორციელდება ღონისძიებები მკვლევართა ახალგაზრდა თაობების მოზიდვის ხელშეწყობისთვის;

- ქართველ მკვლევართა ყველა თაობის გადამზადების, მათთვის ახალი ცოდნის მიწოდებისა და ახალი კომპეტენციების გამომუშავების, მათი თანამედროვე გლობალურ სამეცნიერო სივრცეში უკეთ ორგანიზების მიზნით განხორციელდება პროექტი „მეცნიერების მენეჯმენტის სკოლა“;

- დაიხვეწება მეცნიერების მართვის სისტემა; სახელმწიფო განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისთვის სავალდებულო მინიმალურ სტანდარტებს და იზრუნებს საქართველოში მოქმედი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაზე; ჩამოყალიბდება მეცნიერმშობელობის – ხარისხის მონიტორინგისა და სამეცნიერო კვლევების შედეგების გაზომვის ეფექტიანი მოდელი;

- გაგრძელდება დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერა;



- დაინერგება რეფერირების საერთაშორისო დონეზე აღიარებული პრაქტიკა და ნორმები;
- თბილისში ფუნქციონირებას დაიწყებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფილი სამეცნიერო ქალაქი, სადაც განთავსდება ამ სფეროს ყველა სათავო დაწესებულება;
- შეიქმნება ეროვნული სამეცნიერო პორტალი;
- გაიზრდება სამეცნიერო საგრანტო კონკურსების რაოდენობა;
- გაძლიერდება STEM-ის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების მხარდაჭერა;
- გაძლიერდება საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მხარდაჭერა;
- ხელი შეეწყობა საზღვარგარეთ მოღვაწე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ქართულ სამეცნიერო წრეებთან თანამშრომლობას;
- ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი და ადრონული თერაპიის ცენტრი უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტის მეცნიერებისა და განათლების კერად ჩამოყალიბდება;
- ხელი შეეწყობა სამეცნიერო ინსტიტუტებისა და კვლევითი ჯგუფების საერთაშორისო ჩარჩოპროგრამებსა და სამეცნიერო პროექტებში აქტიურ მონაწილეობას და ორმხრივი და მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი და ტექნოლოგიური პროექტების განხორციელებას, შეიქმნება შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიები; ხელი შეეწყობა ქართველი მკვლევრების ევროკომისიის კვლევისა და ინოვაციის პროგრამის – „ჰორიზონტი ევროპის“ („Horizon Europe“) საგრანტო კონკურსებში მონაწილეობას;
- მეცნიერების პოპულარიზაციისთვის განხორციელდება საერთაშორისო და ადგილობრივი ღონისძიებები და ჩატარდება საგრანტო კონკურსები;
- ცოდნის ეკონომიკის განვითარებისთვის შეიქმნება მეცნიერების კომერციალიზაციის ცენტრი და ამოქმედდება სამეცნიერო ინოვაციების ბროკერების ქსელი;
- სამეცნიერო ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდება და საერთაშორისო სტანდარტებს დაუახლოვდება.

პროფესიული განათლების მიმართულებით:

- უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული განათლების დაფინანსების ეფექტიანი სისტემის შექმნა; ამოქმედდება პროფესიული განათლების დაფინანსების შედეგებზე დაფუძნებული მოდელი;
- შემუშავდება პროფესიული განათლების სისტემის განვითარების 2021 წლისა და მომდევნო წლების გრძელვადიანი სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმები;
- შეიქმნება კოლეჯების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის ეფექტიანი ინსტიტუციური მექანიზმი – კერძო სექტორთან თანამშრომლობით დაფუძნდება პროფესიული განათლების განვითარების სააგენტო, რომელიც საჯარო-კერძო პარტნიორობას დაეფუძნება და უზრუნველყოფს პროფესიული განათლების სისტემის განვითარებას;



- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში დარგობრივი გაერთიანებებისა და კერძო სექტორის როლი;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო, მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა; შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირებისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- დამტკიცდება პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და მისი მომზადების, პროფესიაში შესვლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ახალი მოდელი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- ხარისხიანი პროფესიული განათლების უზრუნველსაყოფად დაინერგება პროფესიულ კვალიფიკაციათა ახალი ჩარჩო, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და პროფესიული სტანდარტების კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით შემუშავების წესი;
- გაიზრდება დუალური და ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების რაოდენობა, რის საფუძველზედაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 65%-მდე, ხოლო პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების მონაწილეთა – 70%-მდე გაიზრდება; განისაზღვრება მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების მარეგულირებელი ჩარჩო, დაიწყება მათი დანერგვა და პროგრამებზე სტუდენტთა მიღება; გაიზრდება ინტეგრირებული პროგრამების მასშტაბი;
- დაიწყება არაფორმალური განათლების აღიარება და გაიზრდება მისი აღიარების მასშტაბი;
- პროფესიული განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციისთვის შეიქმნება საერთაშორისო სერტიფიცირების შესაძლებლობები საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების განსახორციელებლად და ინგლისური ენის სწავლების გასაძლიერებლად;
- დაინერგება პროფესიული განათლების მართვის ელექტრონული სისტემა; შეიქმნება პროფესიული განათლების საინფორმაციო პორტალი;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გაგრძელდება საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში საჭიროების შესაბამისად ახალი დაწესებულებების დაფუძნება; განხორციელდება ღონისძიებები არსებული დაწესებულებების გეოგრაფიული ქსელის საჯარო-კერძო პარტნიორობით გაფართოებისთვის.

#### 4.1 სკოლამდელი და ზოგადი განათლება (პროგრამული კოდი 32 02)

ზოგადი განათლების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და სისტემის განვითარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

ზოგადი განათლების სისტემაში ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების მოზიდვა;



ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების აუცილებელი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა;

ადრეული და სკოლამდელი განათლების საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა;

დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;

2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა საჯარო სკოლის ავტორიზაციის უზრუნველყოფა;

გაგრძელდება ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შესაბამისი სასწავლო რესურსების შექმნა და განვითარება, გადამუშავდება საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა; დაინერგება ფართომასშტაბიანი სასკოლო შეფასების სისტემა; დაიწყება ელექტრონული რესურსების განვითარება;

გაგრძელდება ახალი სახელმძღვანელოების შექმნის პროცესი გრიფირების განახლებული პროცედურებით;

არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებში ფართო მასშტაბით დაინერგება ბილინგვური სწავლების განსხვავებული მოდელი;

სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით შეიქმნება პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების, აგრეთვე ფსიქოსოციალური მომსახურების მიღების მოქნილი და შედეგებზე ორიენტირებული მექანიზმები; განხორციელდება მანდატურების, ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების, აგრეთვე უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირების გადამზადების პროგრამები;

შემუშავდება მასწავლებლის პროფესიის რეგულირების ახალი წესი, განხორციელდება მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ღონისძიებები მათი პროფესიული საჭიროებების შესაბამისად;

სწავლების დისტანციური და ჰიბრიდული მეთოდოლოგიის ეტაპობრივი დახვეწა; სწავლა-სწავლების პროცესში საჯარო სკოლებში ტექნოლოგიების გამოყენებისა და დისტანციური სწავლების როლის გაძლიერება და მრავალფეროვანი ციფრული რესურსებისა და დამხმარე სასწავლო მასალების შექმნა/დანერგვა;

სკოლებში თანამედროვე მოთხოვნებისა და შესაძლებლობების საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება;

სკოლების აღჭურვა შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიებითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით;

მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე, შრომის ღირსეულ ანაზღაურებაზე ზრუნვა;

სწავლა-სწავლების პროცესისა და სკოლების მართვის გასაუმჯობესებლად სკოლების დირექტორების, როგორც საგანმანათლებლო ლიდერების, პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;



იმ მოსწავლეების სკოლებში ტრანსპორტირების ხელშეწყობა, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა), სადაც სკოლები არ ფუნქციონირებს და სოფლებს/დაბებს შორის დიდი მანძილია, აგრეთვე აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები;

სასკოლო ინიციატივების წახალისება;

ზოგადი განათლების სისტემაში უნარებისა და ღირებულებების განვითარებაზე, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებაზე, სწრაფად ცვალებად გარემოში ადაპტირებასა და წიგნიერებაზე ორიენტირებული „ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში სასკოლო კულტურის განვითარება, ახალი სასწავლო პროგრამებისა და რესურსების დანერგვა, პედაგოგების ადგილზე გაძლიერების მხარდაჭერა.

#### 4.1.1 **ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 32 02 01)**

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების დაფინანსების უზრუნველყოფა ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერით ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეთა რაოდენობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობის, სკოლის ექიმის/ექთნის და საჯარო სკოლაში ბილინგვური სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის კოორდინატორის შრომის ანაზღაურების, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის, შესაბამისი სქემით განსაზღვრული სტატუსის მქონე მასწავლებლების დანამატის, ადმინისტრაციული, სკოლის მოვლა-შენახვისა და სკოლის განვითარებისთვის საჭირო და სხვა ხარჯების გათვალისწინებით, რაც სკოლებს შესაძლებლობას აძლევს, სრულად შეასრულონ თავიანთი ფუნქცია-მოვალეობები.

#### 4.1.2 **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 02)**

განათლების სისტემაში დასაქმებულ პირთა, მათ შორის, სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაწესებულებებში მომუშავე პირების (დირექტორებისა და მასწავლებლების), პროფესიული განვითარება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება;

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლისა და სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვის, ხელმისაწვდომობისა და გავრცელების ხელშეწყობა;

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების განვითარებით, ეფექტიანი დანერგვითა და რესურსების შექმნით მასწავლებელთა ზოგადი და საგნობრივი პროფესიული კომპეტენციების განვითარება;

მასწავლებლის პროფესიის რეგულირებისა და კარიერული წინსვლის პროცესების განხორციელება და მხარდაჭერა, მათ შორის, მასწავლებლისთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების პროცესში კანდიდატების საქმიანობის შესწავლა, ანალიზი და შეფასება;

ეროვნული უმცირესობებისთვის ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფა სახელმწიფო ენის გაძლიერებით.



**4.1.3 უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 03)**

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა თვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;

ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე სკოლის მოსწავლეების ფსიქოსოციალური მომსახურებით უზრუნველყოფა.

**4.1.3.1 უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის პროგრამის ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 32 02 03 01)**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია;

საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;

საგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემა;

საგანმანათლებლო დაწესებულებაში განაწილებული საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება;

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უზრუნველყოფა კვალიფიციური საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებით.

**4.1.3.2 უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 03 02)**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

**4.1.4 წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (პროგრამული კოდი 32 02 04)**

მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნების სწავლებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების თანაბრად კონკურენტულ გარემოში რეალიზების ხელშეწყობისა და მათი საერთაშორისო დონეზე წარმოჩენის მიზნით ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადების ორგანიზება;

მოსწავლეების აკადემიური მოსწრების წახალისება.

**4.1.5 განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 05)**



განსაკუთრებული ფიზიკურ-მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების მიერ საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზების ხელშეწყობის მიზნით მათი ხარისხიანი საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო მომსახურებით უზრუნველყოფა.

**4.1.6 მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 06)**

მოსწავლეების ხარისხიანი სახელმძღვანელოებითა და საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველსაყოფად სახელმძღვანელოების შეფასების სისტემის განვითარებისა და დახვეწის პროცესის გაგრძელება; როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური პარამეტრების მოსწავლეების ასაკობრივ განვითარებასა და შესაძლებლობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის თანახმად, სახელმძღვანელოს სერიის/მაკეტის რეცენზირების უზრუნველყოფა;

გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის სრულყოფა, მასში შესაბამისი ცვლილებების პროგრამული ასახვა და სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ყველა საფეხურის სახელმძღვანელოების ეტაპობრივი გრიფირება;

საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლეების, კერძო სკოლების იმ მოსწავლეების, რომლებიც სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი ოჯახებიდან არიან, და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული სხვა კატეგორიების მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

**4.1.7 ოკუპირებული რეგიონების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 32 02 07)**

გალის რაიონის სკოლებისა და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე ახალგორის რაიონის ფუნქციონირებადი სკოლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა.

**4.1.8 ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 32 02 08)**

პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ბრალდებული და მსჯავრდებული მოსწავლეების ზოგადი განათლების უფლების უზრუნველყოფა, რაც მნიშვნელოვანია მათი პიროვნული და აკადემიური განვითარებისთვის;

პენიტენციურ დაწესებულებებში ყოფნის პერიოდში ბრალდებულისა და მსჯავრდებულის მიერ იმ უნარების შექმნა, რომლებიც მათ გათავისუფლების შემდეგ დასაქმებაში დაეხმარება;

პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ბრალდებული და მსჯავრდებული მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების მომსახურების მიწოდება და მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა.





4.1.9

**ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება და დანერგვის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 09)**

ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება, რაც გულისხმობს ზოგადი განათლების როგორც საშუალო საფეხურზე საგნობრივი სასწავლო გეგმების რევიზიას, ისე დაწყებით და საბაზო საფეხურებზე სხვა მხარდამჭერი ღონისძიებების (საკონსულტაციო მხარდაჭერა სკოლებისთვის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, სხვა უწყებებთან თანამშრომლობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებულ საკითხებზე, საექსპერტო შეფასების განხორციელება და სხვა) განხორციელებას;

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდაჭერა სამუშაო შეხვედრების მოწყობით, ამ გეგმის პრიორიტეტული თემების პილოტირებით, საგნობრივი გზამკვლევებისა და სხვა ინსტრუქციების მომზადებით.

4.1.10 **საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 10)**

ისეთ დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა), სადაც სკოლები არ ფუნქციონირებს და სოფლებს/დაბებს შორის დიდი მანძილია, მოსწავლეების სკოლებში ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

4.1.11 **პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“ (პროგრამული კოდი 32 02 11)**

საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეებისა და მათი დამრიგებლების პორტატიული კომპიუტერებით (ნოუტბუკებით) უზრუნველყოფა;

წარჩინებული მოსწავლეების კომპიუტერული ტექნიკით წახალისება.

4.1.12 **ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 12)**

საქართველოში თავშესაფრის მამიებლებისა და საერთაშორისო დაცვის მქონე არასრულწლოვანებისთვის ქართული ენის სწავლება;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული არასრულწლოვანებისთვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

მთის სკოლის სტატუსის მქონე, ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებისა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე სკოლების მხარდაჭერა მათ საჭიროებებზე მორგებული სასკოლო პროექტების შემუშავების, დაფინანსებისა და განხორციელების პროცესში;

მოსწავლეებისთვის სხვადასხვა ფორმატისა და შინაარსის კონკურსების შეთავაზება და კონკურსებში წარმატებული მოსწავლეების წახალისება;

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეების ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა;



დუშეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ბაზაზე დამატებითი მომსახურების სახით პანსიონური მომსახურების მიწოდებისას მოსწავლეების მიერ საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზების ხელშეწყობის მიზნით მათი ხარისხიანი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებით უზრუნველყოფა;

პროცესიდან განსხვავებულ დროს მოსწავლეთა ნაწილისთვის სწავლების დისტანციურად განხორციელების ხელშეწყობა;

საქართველოს თითოეული მოსწავლისთვის სატელევიზიო ეთერის გამოყენებით საგანმანათლებლო რესურსებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა; ცვლადი მოთხოვნების პირობებში განათლების უწყვეტად მიღებისთვის მოსწავლეთათვის ადაპტირების უნარის გამომუშავება;

სასკოლო საზოგადოებისთვის დისტანციური სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი შესაძლებლობების გამოყენების შეთავაზება;

მოსწავლეებში პატრიოტული სულისკვეთების, სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლება; საქართველოსა და მსოფლიოს წინაშე არსებული საფრთხეებისა და მათზე რეაგირების მექანიზმების გაცნობა;

საგანგებო ვითარებაში უსაფრთხო ქცევის, თვითგადარჩენისა და სხვისი დახმარების უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობა;

აქტიური დასვენებისა და განათლების პროცესის შერწყმით მოსწავლეთა სხვადასხვა სოციალური და საგნობრივი უნარისა და კომპეტენციის განვითარების ხელშეწყობა;

მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით სხვადასხვა სპორტული ღონისძიებისა და შემეცნებითი ღონისძიების ორგანიზება;

უკრაინიდან საომარი მოქმედებების შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსული არასრულწლოვანებისთვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

#### 4.1.13 **ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 13)**

სწავლა-სწავლების პროცესში კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპებისა და მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემის დანერგვის ხელშეწყობა;

ცნებების პედაგოგიკის დანერგვა, რომელიც მყარი, სისტემური ცოდნის კონსტრუირებისა და აზროვნების განვითარებისთვის ეფექტიანი საშუალებაა;

ქვეყნის მასშტაბით სკოლების მხარდამჭერი ცენტრების (24 ცენტრის) ფუნქციონირება, რომლებიც ინტენსიური კონსულტაციის რეჟიმში ეხმარებიან პროექტში ჩართულ სკოლებს სასკოლო კურიკულუმისა და სასკოლო კულტურის განვითარებაში;

საგნობრივ სასწავლო გეგმებში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება;



სასწავლო პროცესში ელექტრონული რესურსებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის მიზნით საჯარო სკოლებში ინტერნეტკავშირის უზრუნველყოფა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობა;

სასწავლო პროცესში კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირების, ელექტრონული რესურსებისა და სერვისების, ვირტუალური ლაბორატორიების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საჯარო სკოლების Wi-Fi-ითა და შესაბამისი ტექნოლოგიებით (ნოუტბუკი, პროექტორი, ინტერაქტიული დაფა, რაუტერი, ციფრული ლაბორატორია) უზრუნველყოფა;

სკოლების აღჭურვა ვირტუალური საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით;

ორენოვანი საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა ეროვნულ უმცირესობათა სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებში მათი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით;

სკოლამდელი განათლების საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა;

აღზრდისა და განათლების ინტეგრაცია სასკოლო მზაობისთვის;

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესის ხელშეწყობა.

#### 4.2 ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07)

სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარება;

2023–2026 წლებში საქართველოს მთავრობისა და დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და მშენებლობა;

სასკოლო ავეჯითა და შესაბამისი საჭირო ინვენტარით ყველა ახალაშენებული და რეაბილიტირებული საჯარო სკოლის აღჭურვა;

ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მშენებლობა, სტუდენტური საცხოვრებლების განვითარება, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეაბილიტაცია/მშენებლობა; საჭიროების შესაბამისად, ახალი პროფესიული სასწავლებლების დაფუძნება; შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება არსებული გეოგრაფიული ქსელის საჯარო-კერძო ფორმატით გაფართოების მიზნით; სკოლებსა და უნივერსიტეტებში პროფესიული განათლების მიწოდება/გამდიერება;

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება.



**4.2.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 01)**

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

**4.2.2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 02)**

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათ შორის, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი კოლეჯების, მშენებლობა და რეაბილიტაცია;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

**4.2.3 სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 03)**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების სხვადასხვა ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

**4.2.4 უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 04)**

უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების დაფინანსება ამ დაწესებულებების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და მათი სხვადასხვა ინვენტარით აღჭურვის უზრუნველსაყოფად.

**4.2.5 საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 05)**

საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარების ხელშეწყობა;

საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობისთვის პასუხისმგებელი მხარეების შესაძლებლობების განვითარება;

საჯარო სკოლების ინვენტარიზაციის ჩატარება და ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება.



4.3 **ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 07)**

ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების განვითარება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება;

სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ახალი საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების მშენებლობა, ხოლო არსებულთა – რეაბილიტაცია;

შშმ პირებისთვის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

გოგონების განათლების დონისა და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა.

4.3.1 **საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 07 01)**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარება და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება;

სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ახალი საჯარო სკოლების მშენებლობა, ხოლო არსებულთა – რეაბილიტაცია, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით.

4.3.2 **სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 07 02)**

მუნიციპალიტეტებში ახალ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა მშენებლობა, ხოლო არსებულთა – რეაბილიტაცია, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით.

4.4 **უმაღლესი განათლება (პროგრამული კოდი 32 04)**

საგამოცდო პროცესის სრულად წარმართვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;

საერთაშორისო კვლევების (შეფასებების) განხორციელების უზრუნველყოფა;

უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;



ხარისხის განვითარების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება;

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სადოქტორო პროგრამების შეფასების ერთიანი კონცეფციის შემუშავება;

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების ხელშეწყობა;

პროგრამის „ვისწავლოთ საქართველოში“ გაგრძელება;

ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით: მასწავლებლის მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პირთა დაფინანსების გაგრძელება, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება, სკოლისშემდგომი განათლებისთვის მომზადების პროგრამის გაგრძელება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთათვის, მსჯავრდებულის მიერ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლების მიღების ხელშეწყობი ღონისძიებების გაგრძელება;

საქართველოს მომზადება „ერაზმუს+“ („Erasmus+“-ის პროგრამულ ქვეყნად, რის შედეგადაც, გარდა უმაღლესი განათლებისა და ახალგაზრდობის კომპონენტებისა, საქართველოს ექნება წვდომა ამ პროგრამის ყველა კომპონენტზე;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გასაუმჯობესებლად.

#### 4.4.1 გამოცდების ორგანიზება (პროგრამული კოდი 32 04 01)

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ხელშეწყობა, პროფესიული ტესტირების, საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და მასწავლებლის გამოცდების ჩატარება;

სტუდენტთა საგრანტო კონკურსის ჩატარება, რომელიც გულისხმობს გრანტის ნაწილობრივი ოდენობის მფლობელი სტუდენტის მიერ საგრანტო კონკურსის შედეგად მეტი ოდენობის გრანტის მოპოვების ხელშეწყობას;

საერთაშორისო კვლევების (შეფასებების) განხორციელების უზრუნველყოფა.

#### 4.4.2 სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02)

პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების



მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა და წახალისება;

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სწავლების ხელშეწყობით საერთაშორისო კავშირების განმტკიცება, განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა;

მასწავლებლობის მსურველთა პროფესიული საქმიანობისთვის მომზადება;

ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერება;

ახალგაზრდების ხელშეწყობა განათლების სისტემაში სწავლის გასაგრძელებლად;

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირება, საგანმანათლებლო სისტემასთან დაკავშირება, მისთვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.

#### 4.4.3 უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 03)

საქართველოს სახელმწიფო ენის განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის პროგრამების (მათ შორის, ლექსიკოგრაფიული პროგრამების) შემუშავება, განხორციელება და კონტროლი;

ქართულის, როგორც უცხოური ენის, სწავლებისთვის პროგრამა „ირბახის“ განხორციელება და მის ფარგლებში უცხოელებისთვის ქართული ენის სასწავლო-მეთოდური, კულტუროლოგიური და დამხმარე მასალების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ ქართული ენის სწავლებას, ქართული ენითა და კულტურით დაინტერესებასა და მათ პოპულარიზაციას;

ქვეპროგრამაში „სტუდენტური ბარათი“ მონაწილე საწარმოების/ორგანიზაციების მიერ პირადი მოხმარების საქონელსა და გასაწევ მომსახურებაზე შეთავაზებული ფასდაკლების შესახებ ინფორმაციის სტუდენტებისთვის მიწოდება;

„ევროსტუდენტის“ ეროვნული პროექტის ფარგლებში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და მათი ცხოვრების პირობების შესწავლა და ანგარიშის მომზადება, სწავლასა და სტუდენტთა საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა;

ქართული ენის ფლობის დონეების საგამოცდო ტესტების სტრუქტურულ-შინაარსობრივი კონცეფციის შექმნა;

ქართული ენის, როგორც მეორე/უცხოური ენის, ფლობის დონეების დეტალური აღწერილობის შემუშავება.

#### 4.4.4 საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 04)



საქართველოს ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მნიშვნელოვანი აკადემიური, სამეცნიერო ან/და ადმინისტრაციული ინიციატივების განხორციელება და ადმინისტრაციული კადრების გადამზადება;

კურსდამთავრებულთა ინტეგრირება საუნივერსიტეტო საქმიანობაში;

სწავლებისა და უმაღლესი განათლების ადმინისტრირების თაობაზე უახლესი ცოდნისა და ტენდენციების თაობაზე ინფორმაციის აკუმულირება;

უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, უცხო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე განათლების მიღების ხელშეწყობა;

ქვეყნის საჯარო და საზოგადოებრივი სექტორების გაძლიერება მაღალკვალიფიციური კადრებით, სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამასა და კურსზე მომზადებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით;

საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო აკადემიურ და ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე ხარისხის მიღების ხელშეწყობა საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში;

საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის საქართველოში რეალიზაცია და მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსების გაზრდა.

4.4.5

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 05)**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის ხელშეწყობა;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების ახალი მოდელის შემუშავება;

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივად გამოყენების ხელშეწყობა;

მასწავლებლობის მსურველთა პროფესიული მოღვაწეობისთვის მომზადება;

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა;

უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავება და იმპლემენტაცია;

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური, სამეცნიერო კომპონენტების ხარისხის გაძლიერება;





უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფა;

რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და რეგიონის საჭიროებებზე მორგებული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა;

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისთვის თანამედროვე მეთოდოლოგიაზე დამყარებული უნარ-ჩვევების გამომუშავება და პერსონალის განვითარების ხელშეწყობა;

სადოქტორო საფეხურის განათლების განვითარება;

მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ინტეგრაციის ხელშეწყობა.

#### 4.5 პროფესიული განათლება (პროგრამული კოდი 32 03)

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად საქართველოს მოქალაქეების ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარებით;

პროფესიული განათლების ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად სერვისების განვითარება/გაფართოება როგორც მოზარდებისა და ახალგაზრდების, ისე ზრდასრულების საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად;

პროფესიული განათლების დაფინანსების შედეგებზე დაფუძნებული მოდელის ამოქმედება;

საჯარო-კერძო პარტნიორობით პროფესიული განათლების სისტემის მართვის ახალი მოდელის დანერგვა;

პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა; პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმების შემუშავება;

პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა და მომზადების, პროფესიაში შესვლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ახალი მოდელის დამტკიცება;

პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი მოდელის ამოქმედება;

დუალური და ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების რაოდენობის გაზრდა; მოკლე ციკლის პროგრამების მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრა, მათი დანერგვა და სტუდენტთა მიღება პროგრამებზე; ინტეგრირებული პროგრამების მასშტაბების გაზრდა;

არაფორმალური განათლების აღიარება და აღიარების მასშტაბების გაფართოება;



პროფესიული განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის მიზნით საერთაშორისო სერტიფიცირების შესაძლებლობების შექმნა საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების განსახორციელებლად და ინგლისური ენის სწავლების გასაძლიერებლად;

პროფესიული განათლების მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა; პროფესიული განათლების ახალი პორტალის შექმნა;

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება და ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო ადმინისტრირების მიმართულებით საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ და სხვა დაინტერესებულ პირთა პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება.

#### 4.5.1 პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 03 01)

პროფესიულ სტუდენტთა სწავლების სახელმწიფო დაფინანსების უზრუნველყოფა;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი პროფესიული კოლეჯების ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

#### 4.5.2 პროფესიული უნარების განვითარება (პროგრამული კოდი 32 03 02)

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მისადაგებით, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებითა და სოციალური ინკლუზიის მიდგომების დანერგვით;

პროფესიულ განათლებაში სწავლა-სწავლებისა და მართვის პროცესებში ინოვაციური მიდგომების ხელშეწყობა;

პროფესიულ განათლებაში პარტნიორობისა და კვალიფიკაციების განვითარების ხელშეწყობა;

კერძო სექტორთან თანამშრომლობით ზრდასრულთა განათლების სისტემის მასშტაბების ზრდა;

პროფესიული მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა;

პროფესიულ განათლებაში პარტნიორობისა და კვალიფიკაციების განვითარების ხელშეწყობა;

დარგობრივი რუკების ფორმირება;

პროფესიის სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება/გადამუშავება;

პროფესიული განათლების საფეხურზე სტუდენტური და პრესტუდენტური სერვისების განვითარება;

არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის გაფართოება;



პროფესიული განათლების ფარგლებში პროფესიების პოპულარიზაციის უზრუნველყოფა.

4.5.3

#### **ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (პროგრამული კოდი 32 03 03)**

საქართველოს რეგიონებში სახელმწიფო და ადგილობრივი მართვის სფეროში არსებული საკადრო დეფიციტის დაძლევა;

საქართველოს მაღალმთიან და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეთა ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

სახელმწიფო ენის ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სწავლება;

საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების ხელშეწყობი პროგრამების განხორციელება;

სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული კურსების განახლება-განვითარება;

ტრენერთა კორპუსის განვითარება;

პროგრამის გეოგრაფიული დაფარვის გაფართოება.

4.6

#### **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05)**

საინჟინრო, საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური (STEM), აგრეთვე ჰუმანიტარული და ქართველოლოგიური სამეცნიერო საგრანტო კონკურსებისა და ფუნდამენტური კვლევების მასშტაბის გაფართოება;

საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი და უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ქართულ სამეცნიერო სივრცესთან თანამშრომლობის ხელშეწყობა;

გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციის პროცესის გაძლიერება;

შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელის დანერგვა;

საქართველოში მეცნიერებისა და სწავლების განვითარება, ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის კუთხით ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვა და მათი ადაპტირება კვლევით და სწავლების პროცესში;

საერთაშორისო ჩარჩოპროგრამებსა და სამეცნიერო პროექტებში სამეცნიერო ინსტიტუციებისა და კვლევითი ჯგუფების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა; ორმხრივი და მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი და ტექნოლოგიური პროექტების განხორციელება;

ქართველი მკვლევრების ჩართულობის ხელშეწყობა ევროკომისიის კვლევისა და ინოვაციის პროგრამის – „ჰორიზონტი ევროპის“ („Horizon Europe“) საგრანტო კონკურსებში;

კვლევების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;

სამეცნიერო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება.



## სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 01)

სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;

კონკურსის წესით, ღია, გამჭვირვალე და თავისუფალი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად, სახელმწიფო გრანტებით გამორჩეული ხარისხის სამეცნიერო კვლევების დაფინანსება;

ქვეყნის მატერიალური, კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის უზრუნველყოფა, აგრეთვე საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების განვითარების ხელშეწყობა;

სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავება, ქართული მეცნიერების პოპულარიზაცია, ახალგაზრდა მეცნიერთა (პოსტდოქტორანტთა, დოქტორანტთა, მაგისტრანტთა) კვლევებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა.

## სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (პროგრამული კოდი 32 05 02)

ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების განხორციელება;

ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა;

სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება;

საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმების, კონგრესების, კონფერენციებისა და სემინარების გამართვა, სამეცნიერო და პოპულარული გამოცემების ხელშეწყობა;

კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური, წყაროთმცოდნეობითი და ხელოვნებათმცოდნეობითი ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ბიბლიოგრაფიულ-საენციკლოპედიო, საგამოფენო-საგანმანათლებლო მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა;

ხელნაწერთა რესტავრაცია-კონსერვაცია, ფონდების დიგიტალიზაცია;

ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეების სხვადასხვა ბაქტერიული ინფექციის, მათ შორის, ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული ბაქტერიული შტამებით გამოწვეული ინფექციების, ეტიოლოგიური სტრუქტურის შესწავლა;

ბაქტერიოფაგიაში, მიკრობიოლოგიასა და ვირუსოლოგიაში ფუნდამენტური გამოკვლევების ჩატარება;

ბაქტერიული შტამების – გამომწვევების კვლევა და ამ შტამების საწინააღმდეგოდ სპეციფიკური ფაგების გამოყოფა, მათი დეტალური შესწავლა და ფაგური პრეპარატების შექმნა;

ასტრონომიის, ასტროფიზიკისა და კოსმოსურ მეცნიერებათა სფეროში სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო, საკონსულტაციო და მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობი საქმიანობის განხორციელება.



აგროსასურსათო სექტორში გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევების ხელშეწყობა;

აგრონომიის, აგროინჟინერიის, სასურსათო ტექნოლოგიების, სურსათის უვნებლობის, მეცხოველეობის, ვეტერინარიის, ეკონომიკისა და სატყეო საქმის სფეროებში სამეცნიერო შეხვედრების გამართვა;

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგად რეკომენდაციების შემუშავება, კვლევითი საქმიანობისა და სწავლების ერთობლივი ფუნქციონირების მხარდაჭერა, საერთაშორისო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავება.

#### სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 04)

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების/ერთეულების ხელშეწყობის მიზნით სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთა და სამეცნიერო პერსონალისთვის თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებზე დამყარებული უნარ-ჩვევების გამომუშავება;

სამეცნიერო პერსონალის საქმიანობისთვის, მათ შორის, სამეცნიერო საქმიანობისთვის, საჭირო ტექნიკური ხასიათის მხარდაჭერის უზრუნველყოფა და შესაფერისი პირობების შექმნა;

მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ინტეგრაციის ხელშეწყობა;

საქართველოში მეცნიერებისა და სწავლების განვითარება, ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის კუთხით ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვა და მათი ადაპტირება კვლევით და სწავლების პროცესში;

საქართველოს კულტურული და ინტელექტუალური მემკვიდრეობის პროპაგანდისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის პოლიტიკიდან გამომდინარე, პროგრამის მიზანია უცხოეთში არქივებში დაცული ქართულენოვანი და საქართველოსთან დაკავშირებული წერილობითი კულტურული მემკვიდრეობის მასალების აღრიცხვა და კატალოგიზაცია;

კოსმოსური, ასტროფიზიკური, სეისმური, გეოლოგიური, გეოფიზიკური, სახელმწიფოს უსაფრთხოების რისკებთან დაკავშირებული სხვა სახის ერთიანი ინფორმაციული ბაზის შექმნა, ანალიზისა და რეკომენდაციების მომზადება, აგრეთვე ამ მიმართულებით კვლევების წარმოების მხარდაჭერა.

#### მეცნიერების პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 32 05 05)

საქართველოში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენა, ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიღწევების, აგრეთვე ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური, ისტორიის განვითარების საკვანძო თუ გარდამტეხი, თანამედროვე პერიოდისთვის მნიშვნელოვანი მოვლენების/ფაქტების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა.



## განათლებისა და მეცნიერების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 32 01)

განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა და მისი ხარისხის ზრდა;

განათლებისა და მეცნიერების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება;

განათლების სისტემის კომპლექსური რეფორმის ეტაპობრივი განხორციელება, რომელიც გულისხმობს სისტემურ ცვლილებებს განათლების ყველა მიმართულებისა და საფეხურისთვის;

საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად, ბავშვების, სტუდენტების, ახალგაზრდებისა და ზრდასრულების სათანადო თეორიული ცოდნით აღჭურვასა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებასთან ერთად უზრუნველყოფს მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, კონკურენტუნარიანობის გაზრდას, განათლებისა და მეცნიერების კავშირის გაძლიერებას;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომპეტენციის შესაბამისი სფეროს/დარგის/მიმართულების განვითარების ხელშეწყობა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება;

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების განვითარება და დანერგვის ხელშეწყობა;

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის უზრუნველყოფა;

საერთაშორისო ურთიერთობების მხარდაჭერა, საზღვარგარეთ ქართულ დიასპორასთან ურთიერთობების განვითარება, მიმდინარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამებში ჩართვა და შესაბამისი პროექტების განხორციელება;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური თვითშეფასება 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე საჯარო სკოლების ავტორიზაციის უზრუნველსაყოფად;

ზოგადი განათლების სისტემაში უნარებისა და ღირებულებების განვითარებაზე, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებაზე, სწრაფად ცვალებად გარემოში ადაპტირებასა და წიგნიერებაზე ორიენტირებული „ახალი სკოლის“ მოდელის, აგრეთვე ინკლუზიური და სამოქალაქო განათლების პრინციპებზე დაფუძნებული ახალი სასწავლო პროგრამებისა და რესურსების დანერგვა;

სკოლებში თანამედროვე მოთხოვნებისა და შესაძლებლობების საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება;

მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟისა და მისი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, შრომის ღირსეულ ანაზღაურებაზე ზრუნვა;



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;

საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხო, ძალადობისაგან თავისუფალი და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა;

ადრეული და სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწა; მონიტორინგით ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების შესრულების კონტროლის განხორციელება; ხარისხის განვითარებისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ყველა დაინტერესებული მხარის შესაძლებლობის გაძლიერება;

განათლებისა და მეცნიერების მართვის სისტემების განვითარების ხელშეწყობა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებისა და მონაცემთა ბაზების ჩამოყალიბება განათლების სისტემაში ბიზნესპროცესების ეფექტიანი მართვისა და ინფორმაციული უზრუნველყოფისთვის;

ახალგაზრდების მიერ შესაბამისი, მაღალი ხარისხის განათლების მიღების, მათი დასაქმებისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;

საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.

#### 4.8 ინკლუზიური განათლება (პროგრამული კოდი 32 06)

მთელი საქართველოს მასშტაბით ინკლუზიური განათლების კომპონენტების აქტიური დანერგვა და განვითარება სსსმ/შშმ პირებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მათზე მორგებული სასწავლო პროცესის წარმართვისთვის;

საჯარო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მათთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა და სათანადო სერვისების შეთავაზება განათლების ყველა საფეხურზე;

განათლების მიღმა დარჩენილი პირების სასწავლო პროცესში ინტეგრაციის პოლიტიკის განსაზღვრა, მათი ზოგადი განათლების სისტემაში ინტეგრაციის მხარდაჭერა;

მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი, ეფექტიანი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა;

საჯარო სკოლების მოსწავლეების, სტუდენტების, სოციალური ფაქტორებით გამოწვეული საჭიროების მქონე, დევნილი, რეპატრიირებული და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების, სტუდენტებისა და სხვა პირების ინტეგრაცია და სოციალიზაცია, სათემო აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება;

სენსორული ან/და მძიმე/ღრმა ინტელექტუალური ან/და მრავლობითი დარღვევის მქონე ან მრავლობითი სენსორული დარღვევის მქონე (ყრუ და უსინათლო) ან ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოსწავლეებისთვის



განკუთვნილი რესურსსკოლების მოსწავლეების სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით უზრუნველყოფა, აკადემიური, ფუნქციური და სოციალური უნარების განვითარება მათი ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლების ხელშეწყობა, სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მქონე სპეციალური მასწავლებლების დანამატის და საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების მხარდაჭერი ადმინისტრაციული პერსონალის დაფინანსება.

**4.9 თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის – პროექტი (ADB) (პროგრამული კოდი 32 10)**

პროფესიული განათლების ქსელის გაფართოება, რომელიც ხელს შეუწყობს კვალიფიკაციის ამაღლებასა და უნარების განვითარებას;

პროფესიული განათლების ხარისხის, მნიშვნელობისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა;

კერძო სექტორის როლის გაზრდა პროფესიული განათლების დაგეგმვასა და დაფინანსებაში;

ინკლუზიური და გენდერული თანასწორობის უნარების განვითარება და პროფესიული განათლების იმიჯის გაუმჯობესება.

**4.10 ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტი – საქართველო I2Q (WB) (პროგრამული კოდი 32 08)**

ადრეული განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის, აგრეთვე ზოგადი განათლების სისტემაში სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგრანტო დაფინანსებით მოდერნიზებული აკადემიური პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა;

განათლების მონაცემთა სისტემის განვითარება, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისა და კოორდინაციის გაძლიერება;

პროგრამის ეფექტიანი მართვის, მონიტორინგისა და შეფასებების მხარდაჭერა.

**4.11 სახელოვნებო და სასპორტო სფეროში უმაღლესი განათლება (პროგრამული კოდი 33 02)**

უმაღლესი სახელოვნებო და სასპორტო განათლების ხელშეწყობა და მისი ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა.

**4.12 პროფესიული განათლების პროგრამა 1 (KfW) (პროგრამული კოდი 32 09)**

პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და პროფესიული განათლების პროვაიდერების რაოდენობის გაზრდის ხელშეწყობა;

„ექსელენსცენტრის“ მშენებლობა (ცენტრის ფუნქცია იქნება საერთაშორისო





სტანდარტების შესაბამისი პროგრამების განხორციელება ლოჯისტიკისა და მშენებლობის მიმართულებით);

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ფარგლებში „hab“ სერვისის შეთავაზება;

მშენებლობისა და ლოჯისტიკის მიმართულებების პროგრამების განმახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გასაძლიერებლად დამატებითი ინვესტიციების გამოყოფა (მათი პარტნიორი იქნება „ექსელენსცენტრი“ ზოგიერთი პროგრამის განხორციელებისას).

#### 4.13 სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 04)

სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა თითოეული მათგანის მისი შესაბამისი, შედეგებზე ორიენტირებული პროგრამების მხარდაჭერით (კონცერტები, გამოფენები, სპექტაკლები, კონკურს-ფესტივალები, მასტერკლასები, სპორტული ღონისძიებები);

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების უზრუნველსაყოფად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

ახალგაზრდების დასაქმებისთვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების განვითარება, პროფესიული შესაძლებლობების ზრდა;

ხარისხზე ორიენტირებული, ახალგაზრდის შემოქმედებითი და სპორტული უნარების შესაბამისი, მოქნილი დაფინანსების მოდელების შემუშავებით მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი ხელოვნებისა და სპორტის დარგების სპეციალისტების აღზრდა;

ხარისხიანი სწავლების პროცესის უზრუნველსაყოფად სწავლებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სასწავლებლების აღჭურვა;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა.

#### 4.14 საბიბლიოთეკო საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 02)

საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზება, სისტემატური შევსება, დაცვა და მათი საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

მონაცემთა ბაზების შექმნა და უცხოეთის საბიბლიოთეკო ფონდების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ბიბლიოთეკათმცოდნეობის, წიგნთმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება;

საერთაშორისო საბიბლიოთეკო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

საბიბლიოთეკო დარგში ინოვაციური პროცესების მართვის ხელშეწყობა;

საბიბლიოთეკო კადრების კვალიფიკაციის ამაღლება;

საქართველოს ეროვნული ელიტარული ბიბლიოთეკისა და ციფრული



მემკვიდრეობის არქივის შექმნა;

საბიბლიოთეკო პროცესებში და მკითხველთა მომსახურებისთვის ინტერნეტის გამოყენება;

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ოფიციალური ვებგვერდის სრულყოფა და მხარდაჭერა.

**4.15 სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (პროგრამული კოდი 30 04)**

პროფესიული და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, საშუალო რგოლის კვალიფიციური და პროფესიონალი საპოლიციო კადრების, აგრეთვე სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში კადრების მომზადება და გადამზადება;

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

**4.16 სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (პროგრამული კოდი 48 00)**

მეცნიერების შემდგომი განვითარების ხელშეწყობა საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში;

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური შედეგების საექსპერტო შეფასების დოკუმენტის შექმნა;

სამეცნიერო-ტექნიკური მონაპოვრების დანერგვის ხელშეწყობა საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში;

ქართველ მეცნიერთა კვლევითი სიახლეების საერთაშორისო არენაზე გატანის ხელშეწყობა;

ქართველოლოგიურ კვლევათა ხელშეწყობა;

ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა (სტიპენდიები, სამეცნიერო შეხვედრების (კონფერენციების) ორგანიზება);

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალების (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მომბე“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნის“ სერიები) გამოცემა;

სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოცემის ხელშეწყობა;

მრავალტომეული ენციკლოპედიების – „საქართველო“ და „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“ მორიგი ტომების გამოცემა;

ქართული ენის ელექტრონული ბაზის შექმნა და სხვადასხვა ლექსიკონის ტომების გამოსაცემად მომზადება;

სამეცნიერო შრომების (ლიტერატურის) გამოცემა;



4.17

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა დაინტერესებული პირების გადამზადება (პროგრამული კოდი 26 04)**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატის, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის და სხვა ორგანიზაციების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგების სრული ციკლის (ტრენინგების საჭიროებათა ანალიზი, ტრენინგების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება) მართვითა და საკონკურსო და საკვალიფიკაციო ტესტირებების ორგანიზებით;

საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმისა და ქართული სამართლის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებსა და ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა სასწავლო პროგრამების განხორციელებით;

კერძო სექტორისა და საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტესტური დავალებების, ტრენინგმოდულების, სასწავლო კურსებისა და პროგრამების შექმნა და მუდმივი განახლება, მათ შორის, უცხოური სერტიფიცირებული პროგრამების შეძენით;

როგორც სპეციფიკით, ისე შინაარსით ტრენინგების საჯარო მოხელეების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო პირების საჭიროებებზე მორგება, რაც ხელს შეუწყობს მართლშეგნების ამაღლებასა და პიროვნული სამუშაო კომპეტენციების განვითარებას არა მარტო საჯარო სტრუქტურებში, არამედ საზოგადოების ფართო წრეებში; საჯარო ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების აკრედიტებული პროგრამების განხორციელება;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის და პენიტენციური დაწესებულებების მოსამსახურეებისთვის კვალიფიკაციის ამაღლებისა და პერიოდული გადამზადების კურსების ჩატარება;

მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის/რეაბილიტაციის ხელშეწყობა მათი პროფესიული განათლებით უზრუნველყოფით, აგრეთვე მათი პროფესიული მომზადების/გადამზადების და დასაქმებისთვის მომზადების გზით შესაბამისი სივრცეების შექმნა პენიტენციურ დაწესებულებებში, აგრეთვე სასწავლო კურსებისა და დასაქმების პროგრამების განხორციელება;

პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის შექმნა და განახლება, საბიბლიოთეკო აღრიცხვის ერთიანი სისტემის დანერგვა.

4.18

**მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (პროგრამული კოდი 09 02)**

იუსტიციის მსმენელების (მოსამართლეობის კანდიდატების) პროფესიული სასწავლო კურსის რეგულარული განხორციელება;

მოქმედი მოსამართლეების, მოსამართლეთა თანაშემწეების, სასამართლოთა მენეჯერებისა და სასამართლო სისტემის სხვა მოხელეების პროფესიული გადამზადება რეგულარული სასწავლო აქტივობის – ტრენინგების



4.19

**უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამული კოდი 20 03)**

სახელმწიფო უსაფრთხოების სფეროში არსებული ცოდნის თავმოყრა, ანალიზი და განახლება, სასწავლო პროცესში ინოვაციური მეთოდების გამოყენება;

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;

თანამედროვე დასავლური გამოცდილებისა და მიღწევების შესწავლა და სათანადო სტანდარტების დანერგვა, არსებულ გამოწვევებზე შესაბამისი რეაგირება და მათი წარმატებით დაძლევა პროფესიულ საგანმანათლებლო სფეროში, აგრეთვე სამეცნიერო მუშაობის სათანადო ორგანიზება და წარმართვა;

უსაფრთხოების სფეროში სპეციალური პროფესიული და სამოქალაქო განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა;

უსაფრთხოების სფეროში საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობების განვითარების ხელშეწყობა;

საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოს და უცხო ქვეყნების სასწავლო დაწესებულებებთან ერთად შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

4.20

**საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 16)**

საერთაშორისო და საქართველოს საგანმანათლებლო და საზღვაო კანონმდებლობების შესაბამისად, უმაღლეს საზღვაო და მომიჯნავე დარგებში კვალიფიციური კადრების მომზადება;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალში – ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში ისეთი პროფესიული პროგრამებისა და მოკლევადიანი სასწავლო კურსების დანერგვა, რომელთა შესაბამისად მომზადდებიან საზღვაო და მის მომიჯნავე სპეციალობებში მოთხოვნადი, კვალიფიციური კადრები;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის კვლევით ცენტრად ჩამოყალიბება და საზღვაო და მომიჯნავე დარგებში კვლევითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;

ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან ერთად ორმაგი დიპლომირების ინგლისურენოვანი პროგრამების მომზადება; თანამშრომლობის ფარგლებში სასწავლო მასალებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და პედაგოგების/მასწავლებლების გადამზადება საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისად;

სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი



საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა და სტუდენტთა საზღვაოსნო პრაქტიკით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;

კურსდამთავრებულების კარიერული წარმატების უზრუნველსაყოფად სტუდენტთა ხელშეწყობისა და მომსახურების სამსახურის განვითარება; საკრუინგო კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

**4.21 საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამული კოდი 23 05)**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგების საჭიროებათა ანალიზის ხელშეწყობით და გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროექტების განხორციელებით, აგრეთვე პროფესიული განვითარებისკენ მიმართული პროგრამების ორგანიზებით;

ახალი კადრების შერჩევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ხელშეწყობა პროფესიული და საკვალიფიკაციო ტესტირებების ორგანიზებით;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ხელშეწყობა მათ დანერგვასთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზებით;

კერძო სექტორის განვითარებისა და საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული სასწავლო-შემეცნებითი, სემინარული და საკონფერენციო ტიპის პროექტების განხორციელება;

პროფესიული ცოდნის დონის ასამაღლებლად, საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებსა და სასწავლო დაწესებულებებთან ერთად სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, მათ შორის, ნიდერლანდის სამეფოს ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად განხორციელებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში;

სტუდენტების უნარების განვითარება დასაქმების ხელშეწყობის მიზნით; სასწავლო კურსების განხორციელება სტუდენტურ ორგანიზაციებსა და სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით.

**4.22 მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (პროგრამული კოდი 28 02)**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მომზადება და გადამზადება, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმებულ სხვა საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;

საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ეფექტიანად დაგეგმვისა და წარმართვისთვის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის, სხვა სამთავრობო უწყებებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის ანალიტიკური და კვლევითი პროდუქტების შექმნა და მიწოდება.

**4.23 ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება (პროგრამული კოდი 01 03)**



ქვეყანაში ჰერალდიკური ნიშნებისა და სიმბოლოების მოწესრიგება და დამკვიდრება ევროპული სტანდარტების შესაბამისად;

სახელმწიფო ცერემონიების, ოფიციალური ღონისძიებებისა და სამხედრო აღლუმების ჩატარებისას საჭირო სახელმწიფო სიმბოლოებისა და სხვა ჰერალდიკური ნიშნების, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებათა ჰერალდიკური ნიშნების, საქართველოს სახელმწიფო სამხედრო და სპეციალურ უწყებათა სპეციალური ფორმის ტანსაცმლის (უნიფორმების) და ემბლემების შექმნასა და გამოყენების წესების დადგენაში მონაწილეობა, სათანადო რეკომენდაციებისა და დასკვნების გაცემა;

საქართველოს ტერიტორიული ჰერალდიკის სისტემური განვითარების უზრუნველყოფა;

ჰერალდიკის საკითხებზე სამოქალაქო განათლების გავრცელების ხელშეწყობა;

ქვეყანაში სახელმწიფო სიმბოლიკისა და მისი მნიშვნელობის პოპულარიზაცია;

ჰერალდიკის საკითხებზე ისტორიული მასალების (წყაროების) მოძიება (საქართველოში და მისი ფარგლების გარეთ) და ანალიზი;

სახელმწიფო სიმბოლოებისა და განმასხვავებელი ნიშნების ნიმუშების ჰერალდიკური ექსპერტიზის, აგრეთვე მათი შექმნისა და გამოყენების შესახებ დასკვნების მომზადება.

## 5 მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობის უზრუნველყოფის მთავარი მამოძრავებელი ძალაა მაკროეკონომიკური გარემოს სტაბილურობა.

მაკროეკონომიკური და ფისკალური სტაბილურობის გასაძლიერებლად:

- საქართველოს მთავრობა ახორციელებს ფისკალური დეფიციტის თანამიმდევრული შემცირების პოლიტიკას. ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული გლობალური კრიზისისა და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საგამონაკლისო ნორმების ამოქმედების ფონზე 2020–2023 წლებში ფისკალური პოლიტიკისთვის დაგეგმილი მაკროეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკის ამოცანაა საშუალოვადიან პერიოდში დეფიციტის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიმართ 3%-იან ნიშნულზე დაბრუნება;

- აქტიურად გაგრძელდება მუშაობა მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გასაუმჯობესებლად. 2024 წლისთვის სამიზნე მაჩვენებელი მშპ-ის 5%-ის ფარგლებში არსებული ნიშნულის შენარჩუნება იქნება;

- დაცული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის პრინციპი;

- ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული სირთულეების ფონზე უზრუნველყოფილი იქნება საგარეო ვალის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ზღვარზე მდგრადი დაბრუნება. ამასთანავე, მსხვილი საგზაო და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების შემდეგ საქართველოს მთავრობა დეფიციტის შემცირების ხარჯზე გააგრძელებს



ვალის მნიშვნელოვან შემცირებას;

- აქტიურად გაგრძელება მუშაობა დამატებითი რესურსების მოსაზიდად და კაპიტალური ხარჯების 8%-ის ფარგლებში შესანარჩუნებლად;

- აქტიურად გაგრძელება მუშაობა ბიუჯეტის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საბიუჯეტო პროცესში მოსახლეობისა და დაინტერესებული ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდას;

- განხორციელდება შესაბამისი სამუშაოები ქვეყნის საინვესტიციო რეიტინგის მისაღწევად, რაც ნიშნავს მაღალი სტანდარტის საინვესტიციო სანდოობის მოპოვებას. ამ ფონზე ხელი შეეწყობა ქვეყანაში ინვესტიციების რაოდენობისა და ხარისხის ზრდას, რაც ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის;

- ფართოდ დაინერგება საჯარო ინვესტიციების მართვის (PIM) ინსტრუმენტი, რაც სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი ინვესტიციების განხორციელებას უზრუნველყოფს. ამ ინსტრუმენტის მეშვეობით 2024 წლისთვის დაგეგმილია ბიუჯეტიდან განხორციელებული საინვესტიციო პროექტების სრული დაფარვა.

საქართველოს მთავრობა გააგრძელებს ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის აქტიური რეფორმების განხორციელებას:

- დაცული იქნება საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპი;

- ხელისუფლების პოლიტიკა ძირითადად დაეფუძნება ბიზნესსუბიექტებს შორის მაქსიმალურად კონკურენტული გარემოს ხელშეწყობას, გაძლიერდება კონკურენციის ინსტიტუციური ჩარჩო და გაიზრდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ეფექტიანობა;

- 2021 წლიდან ამოქმედდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი დამოუკიდებელი ორგანო, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობას და გააუმჯობესებს კონკურენტულ გარემოს;

- გაფართოვდება ბიზნესგარემოზე ზემოქმედების მქონე საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებული ინსტრუმენტი; გაგრძელება თითოეული შემოღებული მარეგულირებელი ნორმის ფაქიზად დანერგვა ნებისმიერი უარყოფითი შედეგის თავიდან ასაცილებლად;

- ხელისუფლება შეინარჩუნებს დაბალ გადასახადებს;

- დაიწყება საგადასახადო ადმინისტრირებაში ავტომატური დეკლარირების სისტემის დანერგვა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ბიზნესსუბიექტების საგადასახადო ორგანოებთან მუშაობის დროს და საჭირო რესურსს.

ქვეყანაში წარმოების გასაძლიერებლად განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- გაგრძელება მუშაობა ახალი პრიორიტეტული სექტორების იდენტიფიცირებისა და განვითარებისთვის; აქცენტი გაკეთდება მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებებზე მორგებული სერვისების შეთავაზებაზე;



- გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა;
- გაგრძელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში საქმიანობის ფარგლებში მოქმედი პროგრამები და უზრუნველყოფილი იქნება მათი ეფექტიანობა;
- საკრედიტო საგარანტიო სქემის/მექანიზმის ფარგლებში ახალ სესხებზე სახელმწიფოს გარანტიის მოცულობა არაუმეტეს 90%-ით განისაზღვრა. სქემით სარგებლობა შესაძლებელია არსებული სესხების რეფინანსირების/რესტრუქტურირების შემთხვევაშიც, რომლებზედაც სახელმწიფოს გარანტიის მოცულობა 30%-მდეა;
- განვითარდება ონლაინპლატფორმა – tradewithgeorgia.com, რომელიც ექსპორტიორი კომპანიებისთვის სხვადასხვა მომსახურების ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდებას ითვალისწინებს; შეიქმნება ექსპორტიორი კომპანიების მხარდაჭერი ახალი მექანიზმი, რომელიც გულისხმობს მათ ტექნიკურ მხარდაჭერას შემდეგი მიმართულებებით: ონლაინპლატფორმების განვითარება, მარკეტინგული კვლევები, ბრენდინგი და პოზიციონირება, საერთაშორისო სერტიფიკატების აღება და სხვა.

საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის შემდგომი ლიბერალიზაციისა და გაფართოებისთვის მომდევნო წლებში გადაიდგმება შემდეგი ნაბიჯები:

- ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტიანი შესრულების მიზნით განხორციელდება საშუალოვადიანი და ყოველწლიური გეგმები და გაგრძელდება საკანონმდებლო დაახლოების პროცესი შესაბამისი რეფორმებით;
- 2024 წლის ჩათვლით საქართველო შეასრულებს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული საკანონმდებლო დაახლოების ვალდებულებების 85%-ს, მათ შორის, სრულად შესრულდება ვალდებულებები სახელმწიფო შესყიდვების, საბაჟოს და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მიმართულებებით;
- ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გასაფორმებლად კონსულტაციები გაგრძელდება და მიღწეული შედეგების შესაბამისად წარიმართება მოლაპარაკებები.

საქართველო გააგრძელებს ეკონომიკური რეფორმების ციკლს, რომელიც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და, შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. განხორციელდება შემდეგი ეკონომიკური რეფორმები:

- სახელმწიფო საწარმოების რეფორმა;
- დამატებული ღირებულების გადასახადის ავტომატური დაბრუნების რეფორმა;
- კაპიტალის ბაზრის რეფორმა;
- საპენსიო რეფორმა;





- წილის რეფორმა;
- გადახდისუნარობის რეფორმა;
- ენერგეტიკის რეფორმა;
- საგადასახადო დავების რეფორმა;
- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილება, რომლის მიზანია საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება. მოწესრიგდება ბიზნესსუბიექტების მმართველების ინტერესთა კონფლიქტსა და კეთილსინდისიერების ვალდებულებასთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის ვალდებულებების შესრულებასთან, საზოგადოების რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხები.

## 5.1 მეწარმეობის განვითარება (პროგრამული კოდი 24 07)

კერძო სექტორის, როგორც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალის, ჩამოყალიბებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა, მისი კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა და იმ სფეროების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, სადაც კერძო სექტორის შესაძლებლობები სუსტი და შეზღუდულია;

ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ინკლუზიური ზრდის მისაღწევად მეწარმეობის (მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის) განვითარება, კერძო სექტორისთვის ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა, საქართველოს ეკონომიკის რეგიონალური და გლობალური კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელშეწყობა;

საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობების გაზრდა;

ექსპორტზე ორიენტირებული წარმოებისა და მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციის შექმნისკენ მიმართული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა;

თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და მომსახურების სფეროს განვითარება, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობას;

ექსპორტის ხელშეწყობისთვის ქართული კომპანიების უცხოურ ბაზრებზე წარდგენა და მათი საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის უზრუნველყოფა; ბაზრის კვლევის კუთხით კომპანიებისთვის დახმარების გაწევა ექსპორტის დაგეგმვისა და მიზანმიმართული განვითარებისთვის; ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებთან რეგულარული კომუნიკაცია და მათთვის დახმარების გაწევა ექსპორტის დასაგეგმად საჭირო მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებით;

საქართველოს საწარმოო პოტენციალის წარმოჩენა მასშტაბური საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიების წარმოებით და პროდუქციის/მომსახურების პოპულარიზაციით;



მეწარმეობის განვითარების წახალისება, დამწყები და არსებული მცირე და საშუალო საწარმოების სათანადო ხელშეწყობა პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის;

ქვეყნის გარეთ საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაცია და ამ მიზნით სექტორული კვლევების, საინვესტიციო პროექტების, გზამკვლევებისა და სხვა მარკეტინგული მასალების მომზადება;

პრიორიტეტულ სექტორებში სამიზნე კომპანიების იდენტიფიცირება, მათთან პროაქტიულად დაკავშირება და შეხვედრების ორგანიზება; პოტენციური და არსებული ინვესტორების დახმარება ინვესტიციის განხორციელების პროცესში;

ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული კრიზისის შემდეგ, ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ, ბიზნესის ხელშეწყობის დამატებითი ეფექტიანი მექანიზმების განხორციელება: მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ხელშეწყობა საკრედიტო საგარანტიო სქემისა და ბიზნესის მხარდაჭერის უნივერსალური პროგრამის მეშვეობით.

### 5.1.1 მეწარმეობის განვითარების ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 24 07 01)

მეწარმეობის განვითარების წახალისება, დამწყები და არსებული მცირე და საშუალო საწარმოების სათანადო ხელშეწყობა პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის;

ექსპორტისა და ინვესტიციების მიმართულებების გაძლიერების მიზნით დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების მართვა და ეფექტიანი განხორციელება.

### 5.1.2 მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 07 02)

საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა ფინანსების, უძრავი ქონებისა და ტექნიკური დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით;

მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა რეგიონებში;

საქართველოში შემოქმედებითი ინდუსტრიის (მათ შორის, კინოწარმოების) განვითარება;

ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის შემდეგ, ეკონომიკური სირთულეების დაძლევის მიზნით საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების ხელშეწყობა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა; კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და პოტენციალის შენარჩუნება; მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობის გაზრდის მხარდაჭერა ფინანსების, უძრავი ქონებისა და ტექნიკური დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით;

კომერციულ ბანკში აღებული იპოთეკური კრედიტის გარანტიით ან/და სესხის პროცენტის თანადაფინანსებით სამშენებლო სექტორის ხელშეწყობა;



ქვეყნის მასშტაბით მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა – მცირე გრანტები;

მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსების წვდომის გაუმჯობესების ხელშეწყობა საკრედიტო საგარანტიო სქემის საშუალებით;

ექსპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის ფარგლებში: საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ქვეყნის გარეთ სხვადასხვა საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაცია; საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება; ბაზრის კვლევებისა და კონსულტაციების მეშვეობით ადგილობრივ ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების უნარების ამაღლება, ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა და ევროპის მეწარმეთა ქსელში ჩართვა; ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მოთხოვნების თაობაზე მეწარმეების ცნობიერების ამაღლება და მათი შესრულებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა;

ინვესტიციების ხელშეწყობის ფარგლებში: ახალი საინვესტიციო პროექტების დაწყების, სამუშაო ადგილების შექმნისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდის ხელშეწყობა; არსებული ინვესტიციების მხარდაჭერა („aftercare“); მსოფლიოს მასშტაბით საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაცია.

5.2

## **შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 23 02)**

შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული სერვისების ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიურობის გაზრდა;

შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული სერვისების ბიზნესპროცესების ოპტიმიზაცია;

თვითმომსახურების წახალისება, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, მომსახურების მიღების პროცესი თავად მართოს, ხოლო შემოსავლების სამსახურს – გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოს რესურსების ოპტიმიზაცია;

აუდიტის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის გაუმჯობესება;

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა და ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს გადასახადის გადამხდელთა ნებაყოფლობითი გადახდევინების მაჩვენებლის გაზრდას და საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის გამარტივებას;

დროული დეკლარირების უზრუნველსაყოფად საჭირო პროცედურების ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს დეკლარირების/გაანგარიშებების დროულად და სრულად წარმოდგენას;

საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გადასახადის გადამხდელის მიმართ დაუბეგრავი დოკუმენტების კონტროლის განხორციელება;

კანონთან შესაბამისობის სფეროში არსებული საგადასახადო რისკების მართვის პროცესის გაუმჯობესება;



წარმოდგენილი დეკლარაციების სისწორის კონტროლი, აგრეთვე დღგ-ის ავტომატური უკან დაბრუნების ფარგლებში დაბალი რისკის შემცველი დეკლარაციების შესწავლა;

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კონტროლი და საქართველოს კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგი;

გადასახადების დროულად გადახდის მაღალი დონის შენარჩუნება;

ამოღებული საგადასახადო ვალდებულებების ოდენობის გაზრდა და შედეგად დაგროვილი უიმედო საგადასახადო დავალიანების შემცირება;

გადასახადის გადამხდელთათვის გადახდის პროცედურების გამარტივება;

გადამხდელთა რეესტრის განზომილებების ჭრილში დასრულება, მესამე მხრიდან მისაღები ინფორმაციის იდენტიფიცირება, მოსათხოვი ინფორმაციის ფორმების ჩამოყალიბება და მონაცემთა საცავისთვის ფორმის შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს სამსახურის ძირითადი ფუნქციების მხარდაჭერას;

საგადასახადო ვალდებულებების მქონე არარეგისტრირებულ პირთა გამოვლენა და მათი საგადასახადო რეგისტრაციის უზრუნველყოფა, დეკლარირებული მონაცემების სისწორის უზრუნველყოფა საგადასახადო და საბაჟო კონტროლისა და მონაცემების გადამოწმების სხვა მექანიზმების გამოყენებით; გადასახადის გადახდისთვის თავის არიდების მცდელობების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება;

არსებული პროგრამული მოდულების დახვეწა და ახალი პროგრამული მოდულების შექმნის ინიცირება, რომლებიც უზრუნველყოფს საბაჟო კონტროლის ეფექტიანობის გაზრდას და პროცედურების გამარტივებას;

რისკზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს საგადასახადო და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პროცედურების კანონთან შესაბამისობას;

კინოლოგიური მომსახურების უზრუნველყოფის გაუმჯობესება;

საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული აკრძალვებისა და შეზღუდვების ეფექტიანი მართვის მიზნით ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის ევროსტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა;

იმპორტიორების/ექსპორტიორების და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მკვეთი პირებისთვის კომფორტული გარემოს შექმნის, აგრეთვე საბაჟო პროცედურების სრულყოფილად განხორციელების მიზნით საბაჟო გამშვები პუნქტებისა და გაფორმების ეკონომიკური ზონების მოდერნიზაცია;

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ითვალისწინებს არამართო ევროკავშირის დირექტივებსა და რეგულაციებთან დაახლოებას, საერთაშორისო კონვენციებთან მიერთებასა და საგადასახადო/საბაჟო პოლიტიკისა და ადმინისტრირების საერთაშორისო პრინციპების დანერგვას, არამედ მათ ეფექტიან ადმინისტრირებას.



მაკროეკონომიკური პროგნოზირების მეთოდოლოგიის დახვეწა; საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზების მომზადება და სცენარების შედგენა; მაჩვენებლების არეალის გაფართოება და მაკროეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად დაგეგმვა; პოლიტიკის ანალიზისთვის საერთო წონასწორობის დინამიკური სტოქასტური მოდელის (DSGE) დანერგვა; საშუალოვადიანი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შეფასებასა და სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობა მაკროეკონომიკური პროგნოზირების კუთხით; ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება;

სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესასრულებლად სათანადო რესურსების მობილიზებისა და ეფექტიანად განაწილებისთვის ხარჯების საშუალოვადიანი გეგმებისა და წლიური ბიუჯეტების პროექტების მომზადება; სახელმწიფო ფინანსების მართვა და ფისკალური წესების შემდგომი რეგულირება სტაბილური ფისკალური პარამეტრების მიღწევისთვის, საერთაშორისო დონეზე აღიარებული საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად;

საბიუჯეტო პროცესის კალენდრით გათვალისწინებული ეტაპების შესრულება;

გადამუშავებული პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიის შესაბამისად მხარჯავი დაწესებულებების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების მიერ პროგრამული ბიუჯეტის განახლებული ფორმატით მომზადების კოორდინაცია; საჯარო ფინანსების მართვის რეფორმების მომდევნო ეტაპების დაგეგმვა საბიუჯეტო პროცესის, ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების განვითარებისთვის;

ფისკალური რისკების შეფასებისა და ანალიზის სისტემის დანერგვა, ბიუჯეტის წინაშე მდგარი ფისკალური რისკების იდენტიფიცირება, იდენტიფიცირებული ფისკალური რისკების შემცირებისა და მართვისთვის რეკომენდაციების შემუშავება, ფისკალური რისკების შესახებ ანალიტიკური დოკუმენტის მომზადება და მისი საჯაროობის უზრუნველყოფა;

საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმის სრულყოფილად განხორციელება განახლებული გზამკვლევისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად; ყოველი ახალი საინვესტიციო პროექტის, რომლის ღირებულება შეადგენს ან აღემატება 5 მლნ ლარს, განხორციელება საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევითა და მეთოდოლოგიით განსაზღვრული პრინციპების დაცვით, მიუხედავად მისი დაფინანსების წყაროებისა;

ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად ელექტრონული სისტემის – ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის სისტემის (ehttps.mof.ge – Budget Transparency and Participation System) დანერგვა, რომელიც ყველა დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნოს ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციას, ქვეყნის ძირითად პრიორიტეტებსა და ბიუჯეტის პროგრამებს, დაგეგმოს ბიუჯეტი საკუთარი შეხედულებების შესაბამისად და მიიღოს უკუკავშირი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში მისი მოსაზრებების გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ;

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა, შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება; საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ



შეთანხმების ფარგლებში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაცია; პრიორიტეტულ სახელმწიფოებთან „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“ შეთანხმების გაფორმება და არსებული შეთანხმებების განახლება;

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის სრულყოფა, შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირება;

საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზებისთვის დონორ ორგანიზაციებსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ეფექტიანი თანამშრომლობის გაგრძელება;

დამატებითი საინვესტიციო რესურსების მოზიდვის პარალელურად, საქართველოს მთავრობის ვალის მდგრადობის შენარჩუნება როგორც საშუალოვადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში;

საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობისთვის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება;

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის კოორდინაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში და აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი;

ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესებისთვის შესაბამისი სტრატეგიის შემუშავების კოორდინაცია და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობების კოორდინაცია;

დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული სააღრიცხვო სისტემის შემოღება და საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვა როგორც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ისე ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების დონეზე;

ინტეგრირებული, საინფორმაციო სისტემის – სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) შემუშავება და განვითარება.

#### 5.4 ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (პროგრამული კოდი 24 01)

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობისთვის ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის წარმართვა და ანალიზი, პოლიტიკის კოორდინაცია/განხორციელების მონიტორინგი და შეფასება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით; თანამიმდევრული ნაბიჯების გადადგმა მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შექმნისა და ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით, აგრეთვე მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მიმართულებით, რაც მნიშვნელოვანია ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად;

სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება;



ეფექტიანი კოორდინაციით საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიითა და შესაბამისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება;

კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობისთვის საჯარო-კერძო დიალოგის პლატფორმის ფარგლებში კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობა, აგრეთვე კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობისა და სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებით რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) განხორციელება;

საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესების/შენარჩუნების/ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება;

შრომის ბაზრის ტენდენციების შესწავლა და ანალიზი, შრომის ბაზრის შესაბამისი კვლევების განხორციელება; შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის განვითარება;

ეკონომიკური გაჯანსაღების ხელშეწყობის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობისთვის თანამიმდევრული ნაბიჯების გადადგმა;

ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებების იდენტიფიცირება და რეგიონში არსებული მძიმე გეოპოლიტიკური მდგომარეობის ფონზე ქვეყანაში მიმდინარე პროცესების უწყვეტი მონიტორინგი და ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება;

ეკონომიკის განვითარებაზე ორიენტირებული რეფორმების შემუშავება და განხორციელება;

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისთვის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება;

საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება; საგარეო სავაჭრო ბრუნვის რეგულარული ანალიზი;

რეგიონალური, მრავალმხრივი და ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, აგრეთვე პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითარება;

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) გამოყენების ხელშეწყობა ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირების და ქვეყანაში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ხელშეწყობით;

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოს საერთაშორისო და ევროპულ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია;

ექსპორტის ხელშეწყობისთვის საქართველოს საგარეო ვაჭრობის შედეგების ანალიზი; ახალი საექსპორტო ბაზრებისა და პროდუქციის იდენტიფიცირება;



სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება და შესაბამისი ორმხრივი სამართლებრივი ბაზის განვითარება;

საგარეო სავაჭრო ურთიერთობების განვითარება;

მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებების იდენტიფიცირება მწვანე ეკონომიკის ზრდის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის, რის შედეგადაც ქვეყანაში შეიქმნება მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო;

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმის გათვალისწინებით, ევროკავშირის მე-3 ენერგეტიკულ პაკეტთან ჰარმონიზაცია, იმავე მიზნებისთვის ევროკავშირის მე-4 ენერგეტიკული პაკეტის დამუშავება, ენერგეტიკული რეფორმების განხორციელება და ქვეყანაში ენერგოეფექტურობის ხელშეწყობისთვის ელექტროენერჯის მომხმარებელი საყოფაცხოვრებო საქონლისთვის „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კანონქვემდებარე აქტების შემუშავება;

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ენერგეტიკის სექტორში;

მდგრადი დაფინანსების ქართული ტაქსონომიის შემუშავება, რომლის მიზანი იქნება, ნათლად განსაზღვროს, რომელი ბიზნესსაქმიანობა, პროგრამა ან პროექტი შეიძლება მიჩნეულ იქნეს რესურსეფექტიან, ენერგოეფექტურ, მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი, ინკლუზიური განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებად;

ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის საქართველოს, როგორც საერთაშორისო საინვესტიციო, საკომუნიკაციო, სატრანსპორტო, ლოჯისტიკური, ენერგეტიკული, ტექნოლოგიური, ტურისტული და საფინანსო კვანძის, პოპულარიზაცია, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სატრანსპორტო-სატრანზიტო პოტენციალის სრულად ათვისებას, ეროვნული წარმოების განვითარებას, ექსპორტის ზრდას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვას და საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში მისი სრულფასოვანი მონაწილეობის ხელშეწყობას;

საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის სფეროში სხვადასხვა ქვეყანასთან ორმხრივი სამთავრობათაშორისო შეთანხმებების გაფორმება;

მრავალმხრივი სამთავრობათაშორისო შეთანხმებების („საერთაშორისო სატრანსპორტო და სატრანზიტო დერეფნის დაფუძნების თაობაზე სპარსეთის ყურე-შავი ზღვა“ შეთანხმება, „აზერბაიჯანის რესპუბლიკას, საქართველოს, რუმინეთსა და თურქმენეთს შორის საერთაშორისო სატრანზიტო და სატრანსპორტო მარშრუტის „კასპიის ზღვა-შავი ზღვა“ დაარსებისა და დანერგვის შესახებ“ შეთანხმება) გაფორმება;

სამშენებლო სექტორის განვითარება, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, უზრუნველყოფს მშენებლობის ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებას, დასაქმების ზრდას და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებზე შენარჩუნებას;

ევროპულ და საერთაშორისო მოთხოვნებთან ჰარმონიზებული საქართველოს





სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის, ტექნიკური რეგლამენტების/სტანდარტების შემუშავება, ევროკოდების რედაქტირება და თანამდევნი სტანდარტების თარგმნა;

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული კანონქვემდებარე აქტების შემუშავება; ევროკოდების ეროვნული დანართების შემუშავება; არქიტექტორებისა და ინჟინერ-მშენებლების სერტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბება;

ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების, ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესების დაჩქარება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა; ევროპასა და აზიას შორის ფართოზოლოვანი, გლობალური ინტერნეტის ინფრასტრუქტურის განვითარება;

ფოსტის სფეროსა და საფოსტო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, ფოსტის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების მსოფლიო საფოსტო სტანდარტების შესაბამისი, უნივერსალური საფოსტო მომსახურებების დანერგვა, დანიშნული საფოსტო ოპერატორისთვის ერთიანი საფოსტო წესების დადგენა;

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო ინვესტორებთან აქტიური თანამშრომლობა; სწორი და ეფექტიანი კომუნიკაციითა და მხარდაჭერით ქვეყანაში მსხვილი ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა.

## 5.5 სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 40 02)

სამთავრობო რეზიდენციებში საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, სხვა უმაღლესი თანამდებობის პირთა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უზრუნველყოფა მათი საქმიანობისთვის საჭირო, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობებით, აგრეთვე სამთავრობო რეზიდენციების თანამედროვე ინვენტარითა და დანადგარებით აღჭურვა.

## 5.6 სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 06)

სახელმწიფო ქონების მართვა/განკარგვა და სახელმწიფო საწარმოთა მართვა; საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში არსებული ლიკვიდური, გადახდისუუნარო და მოგებიანი საწარმოების კლასიფიკაცია მათი ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის მიხედვით; არამოგებიანი საწარმოების რაოდენობის შემცირება ლიკვიდაციით, გაკოტრებით ან რეორგანიზაციით;

გამოუყენებელი აქტივების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვისა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობისა და დაცვის უზრუნველყოფა;

სვანეთში, გუდაურსა და ბაკურიანში საბაგრო გზებისა და სასრიალო



ტრასების მშენებლობა და ინფრასტრუქტურის განვითარება; შავი ზღვის რეგიონში კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული და პრივატიზებული ქონების მიღებიდან რეალიზაციამდე არსებული პროცედურების ეფექტიანად მართვა;

მომრავი ქონების განკარგვის გამჭვირვალე, კონკურენტული და გამარტივებული პროცედურების უზრუნველყოფა;

მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად ვებგვერდის – eAuction.ge-ს მომხმარებელთათვის სერვისების მიწოდებისა და ქონების განკარგვის პროცედურების გამარტივება, ვებგვერდის მოდერნიზაციისთვის სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება და ახალი სერვისების დამატება;

არსებული სერვისების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.

5.7

### **ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 23 04)**

საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის – eDocument-ის ფუნქციური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა, ინციდენტების ეფექტიანი მართვა, სისტემის ტექნოლოგიური განვითარება და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია;

გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის (EIMS) (რომელიც შეიცავს მრავალი ბიზნესპროცესის ავტომატიზაციის კომპონენტს და რომლის მომხმარებლები არიან კერძო ბიზნესის წარმომადგენლები) აღრიცხვა, მართვისა და მონიტორინგის პროცესების გამარტივება, სისტემის მოდერნიზება, ფუნქციური განახლება, დანერგვა და მხარდაჭერა;

სახელმწიფო ფინანსების მართვის (ელექტრონული) სისტემის (PFMS) მხარდაჭერა, მოდერნიზება და ფუნქციური განახლება;

ელექტრონული ყიდვა-გაყიდვის უნიკალური სისტემის – eAuction.ge-ს (უძრავ-მომრავი ქონების გაყიდვის ელექტრონული აუქციონის სისტემის) მოდერნიზება და ფუნქციური განახლება;

საინფორმაციო სისტემებისა და ვებგვერდების ეფექტიანი ფუნქციონირება, ვებგვერდების მფლობელთა ცნობადობის გაზრდა, საზოგადოებისთვის დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის ონლაინრეჟიმში მიწოდება და უკუკავშირის წარმოება;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინფორმაციული სისტემის შექმნა (რომელიც მოიცავს სხვადასხვა სისტემას), მისი განვითარება და მხარდაჭერა, საზოგადოებისთვის დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და უკუკავშირის წარმოება;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მისი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებისთვის საჭირო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა, ელექტრონული საინფორმაციო სისტემების შექმნა, განვითარება, მომსახურება, მდგრადობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა, ბიზნესუწყვეტობის უზრუნველყოფა და ტექნიკური მხარდაჭერა.



მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერის 2020 წლის მსოფლიო რაუნდად 2015–2024 წლების პერიოდის განსაზღვრიდან გამომდინარე, საქართველოს, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნის, ჩართვა „მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერის 2020 წლის მსოფლიო რაუნდში“;

მოსახლეობის აღწერისთვის საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება, სავსე სამუშაოების ჩატარება, მონაცემთა დამუშავება და გამოქვეყნება;

მოსახლეობის რიცხოვნობის, მათი დემოგრაფიული, სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დადგენა;

შინამეურნეობების, დაკავებული საცხოვრისების, მოსახლეობის საბინაო პირობებისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების დადგენა;

ქვეყნის ადმინისტრაციული ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ხელისუფლების, მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და საზოგადოების ინფორმირება;

არსებული სიტუაციის შესწავლის, შეფასებისა და პროგნოზირების საფუძველზე ქვეყნის უახლესი ათწლეულის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული სტრატეგიის შემუშავება.

**სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 47 01)**

სტატისტიკური სისტემის პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი;

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება;

სტატისტიკური კვლევებისა და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დაგეგმვა, მართვა, წარმოება, მონაცემთა გავრცელება და ანგარიშგება;

ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საკანონმდებლო ბაზის განახლება;

მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება/განახლება;

საერთაშორისო ორგანოებში წარმომადგენლობა და თანამშრომლობა;

ოფიციალური სტატისტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მომხმარებელთა ნდობის განმტკიცება;

დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსების უზრუნველყოფა;

ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;

ტექნიკური და კომპიუტერული აღჭურვილობის განახლება.

**კურორტების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 21)**

კურორტებსა და საკურორტო ადგილებზე ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, კურორტების განახლება (რენოვაცია);

საქართველოს, როგორც მაღალი საკურორტო შესაძლებლობების მქონე ქვეყნის, პოპულარიზაცია;

კურორტებისა და საკურორტო ადგილების განვითარებისთვის ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;

კურორტებსა და საკურორტო ადგილებზე მასობრივი სპორტისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიზნით შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობა;

საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება, განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავების ხელშეწყობა; განვითარების ეკონომიკური მიზანშეწონილობის გეგმების შემუშავება, ახალი საკურორტო ადგილების იდენტიფიკაცია და ინფორმაციის პრაქტიკული გამოყენების მიზნით ვებპლატფორმის შექმნა.

**5.11 ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 24 18)**

საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმებული „ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებისა და „სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და „TURKISH ELECTRICITY TRADING AND CONTRACTING CO.“-ს შორის გასაფორმებელი ოქმის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 აპრილის №923 განკარგულების შესაბამისად, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და თურქეთის ელექტროენერჯით ვაჭრობისა და ხელშემკვრელ კომპანიას (TETAS) შორის გაფორმებული ოქმის საფუძველზე აღებული ვალდებულებების დაფარვა.

**5.12 სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 47 02)**

მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებელი;

ქვეყნის საგარეო ვაჭრობისა და ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაანგარიშება;

მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ მონაცემების მოპოვება;

სამომხმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშება, ფასების საერთაშორისო შედარების განხორციელება;

საქართველოს რეზიდენტებისა და უცხოელი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების შესახებ, აგრეთვე საქართველოს რეზიდენტების მიერ ქვეყნის გარეთ განხორციელებული ვიზიტების თაობაზე მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება;

ბიზნესსექტორსა და არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზი;

ენერგორესურსების მოხმარების შესახებ სტატისტიკური კვლევის ჩატარება და



საქართველოს ენერგეტიკული ბალანსის შემუშავება;

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშება;

სამაცივრო, სასაკლავო მეურნეობებისა და ელევატორების საქმიანობის გამოკვლევა;

საფინანსო საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოებისა და ლომბარდების საქმიანობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება;

ტრანსპორტის სტატისტიკა (მგზავრთა გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა);

საავტომობილო ტრანსპორტის ნატურალური მაჩვენებლებისა და ამ დარგში ენერგორესურსების საბოლოო მოხმარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება;

შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება;

შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება;

შრომის ბაზრისა და სამუშაო ძალის დეტალური გამოკვლევა;

მიმდინარე დემოგრაფიული კვლევა;

შინამეურნეობების მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები, მოსახლეობის სიღარიბისა და უთანაბრობის მაჩვენებლები და სხვა) მოპოვება, დამუშავება და გავრცელება;

სოფლის მეურნეობის შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება;

საწარმოთა ინოვაციური აქტივობის გამოკვლევა;

დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევა სხვადასხვა სექტორში.

### 5.13 სსიპ – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო (პროგრამული კოდი 43 00)

საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობის, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვის მიზნით სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრების განხილვა და მათზე შესაბამისი რეაგირება;

მოკვლევების ფარგლებში დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა;

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული კონკურენციის შემზღვეველი ქმედებების გამოვლენა და მათი გამოსწორების გზების დასახვა;

კომპეტენციის ფარგლებში ქვეყანაში განხორციელებული კონცენტრაციებისა და გაცემული სახელმწიფო დახმარებების კონტროლი;

სხვადასხვა ბაზრის მონიტორინგი და კონკურენტული გარემოს



გაუმჯობესებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ადგილობრივი ინდუსტრიის დაცვა დემპინგური იმპორტით მიყენებული ზიანისგან ან/და შესაძლო ზიანის მიყენებისგან; ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღებასთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნების შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;

საქართველოს ბაზარზე მომხმარებლის უფლებების დარღვევის პრევენცია, დაცვა და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი საბჭოს აპარატის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

**5.14 სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (პროგრამული კოდი 38 00)**

საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ტერორიზმის დაფინანსების და მათთან დაკავშირებული სხვა დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენა და პრევენცია;

საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო – ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) – სტანდარტებსა და ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან ჰარმონიზაცია;

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სფეროში ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

**5.15 ტექნიკური დახმარების პროექტი საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმის პროგრამის (GESRP) მხარდასაჭერად (EU-NIF, KfW) (პროგრამული კოდი 24 13)**

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ენერგეტიკული რეფორმის განხორციელება, რომელიც გულისხმობს ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში „ენერგოეფექტურობის შესახებ“ და „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტების მიღების/დამტკიცების და შესრულების მიზნებია: ენერგოაუდიტორების აკრედიტაციისა და სერტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბება; ენერგოაუდიტის სავალდებულო წესების ამოქმედება; სატრენინგო პროგრამების დანერგვა ენერგოაუდიტორებისთვის მრეწველობასა და შენობების სექტორში, შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიკატების (ეეს) შემფასებლებისთვის, გათბობისა და გაგრილების სისტემების ინსპექტორებისთვის; საწარმოო ციკლის ენერგოეფექტურობის გაზრდა; შენობების სექტორში (არსებულ და მშენებარე შენობებში) ენერგოეფექტური სტანდარტების დანერგვა; ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, შენობების განახლება; შენობებში ენერგოეფექტურობის დანერგვისთვის მათი საჭირო ტექნიკური უზრუნველყოფა, აგრეთვე კომპიუტერული პროგრამების ჩამოყალიბება მუნიციპალურ დონეზე და მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების კადრების გადამზადება; საჯარო შენობების ინვენტარიზაცია და რეესტრის ჩამოყალიბება ენერგოეფექტურობის განსახორციელებლად; ენერგოეფექტური ღონისძიებების შედეგად მიღებული ენერგოდაზოგვის



5.16 **ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 23 06)**

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების პორტალის განვითარება ევროდირექტივასა და საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოებით; ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

აუდიტისადმი დაქვემდებარებული სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების სანდოობის ამაღლებისთვის აუდიტის ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს აუდიტორული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან, აუდიტორების პროფესიული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან, ეთიკის ნორმებსა და წლიური ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ანგარიშგების კანონით დადგენილი აუდიტის განხორციელების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 17 მაისის 2006/43/EC დირექტივასთან შესაბამისობას.

5.17 **საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (პროგრამული კოდი 49 00)**

მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა და ექსპორტ-იმპორტის ხელშეწყობა მათი რეგიონალურ და საერთაშორისო ბაზრებში ინტეგრაციისთვის;

სხვადასხვა ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატებსა და ბიზნესგაერთიანებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, ინტეგრაცია და მჭიდრო თანამშრომლობა;

ბიზნესფორუმების, კონფერენციების, გამოფენებისა და ორმხრივი შეხვედრების ორგანიზება ქართული და უცხოური ბიზნესწრეების წარმომადგენელთა მონაწილეობით, აგრეთვე ქართული კომპანიების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა და „როუდშოუების“ ორგანიზება;

ქართულ და უცხოურ კომპანიებს შორის ბიზნესკავშირების დამყარების ხელშეწყობა და პარტნიორების მოძიება;

საქართველოს ბიზნესსუბიექტების ინტერესების დაცვისა და მეწარმე სუბიექტების ხელშეწყობის მიზნით მათი ინტერესების ადვოკატირება;

საქართველოს რეგიონული ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკომპანიებთან შეხვედრების, ტრენინგების, სემინარების, ფორუმებისა და პრეზენტაციების გამართვის გზით, მათ შორის, ელექტრონული ფორმით, აგრეთვე კონსულტაციების გაწევა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და პრობლემური საკითხების გაცნობის მიზნით;

საერთაშორისო კომერციული და საინვესტიციო დავების განსახილველად საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის განვითარება;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობა; საწარმოო ინსტრუქტორებისა და გამომცდელების გადამზადება, აგრეთვე პროფესიული უნარების სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობა როგორც დამფუძნებელთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრობით, ისე სამეთვალყურეო საბჭოს სამდივნოს მეშვეობით;



კომპანიების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, მათ შორის, გაციფრულების ხელშეწყობა;

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;

ქვეყნის გარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაზე საქართველოს კულტურული ფასეულობების წარდგენა და ამ ღონისძიებებში ხელოვანთა მონაწილეობის ხელშეწყობა;

ქართული ხელოვნებისა და კულტურის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობა; ქართული კულტურის მოღვაწეთა და ქართული კულტურის განვითარებისთვის უცხო ქვეყნის კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა დამსახურებების სხვადასხვა ფორმით აღნიშვნა და წახალისება;

კულტურასა და ბიზნესს შორის პარტნიორული ურთიერთობების გამყარება;

ხელოვნების დარგების წარმომადგენელთა მიერ კავშირების დამყარება ინსტიტუციურ და კერძო ინვესტორებთან, ბიზნესმენებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან კულტურის სფეროში საინვესტიციო პროექტებით;

სხვადასხვა ქვეყნის კულტურის პალატებსა და შოუბიზნესის წარმომადგენლებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და მჭიდრო თანამშრომლობა;

სოციალურ-ეკონომიკური კვლევების განხორციელება.

#### 5.18 სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 24 03)

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მომსახურების სფეროსა და დიაპაზონის გაფართოება;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში სტანდარტის – ISO 9001-ის შესაბამისად ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ზოგადი პრინციპების დანერგვა, ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტების შესაბამისად სტანდარტიზაციის სფეროში ტექნიკური კომიტეტების ჩამოყალიბება, საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების საქართველოს სტანდარტებად მიღება;

მეტროლოგიის სფეროში საერთაშორისო აღიარების შენარჩუნება/გაფართოება და დამკვეთებისთვის, მათ შორის, რეგიონალურ დონეზე, სერვისების შეთავაზება;

მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სფეროში საერთაშორისო აღიარების მისაღწევად ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების (TBT) მოთხოვნების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

#### 5.19 საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი (პროგრამული კოდი 03 00)

საქართველოს ტერიტორიაზე პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის





5.20 ნავთობისა და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა (პროგრამული კოდი 24 09)

ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოსაპოვებლად შავი ზღვის შელფზე (შავი ზღვის პროექტი) და ხმელეთის თავისუფალ ბლოკებზე ღია საერთაშორისო ტენდერის ჩატარება;

ნავთობისა და გაზის სფეროში მონაცემებისა და ინფორმაციის ცენტრალური საინფორმაციო ბანკის შექმნა და მართვა;

მიწისქვეშა გაზსაცავის ზედამხედველობა და კონტროლი;

ნავთობის გადამუშავების ლიცენზიის, ბუნებრივი გაზის დამუშავების ლიცენზიის, ნავთობის ტრანსპორტირების ლიცენზიის ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის (საქმიანობის ლიცენზია) გაცემა;

ნავთობისა და გაზის სფეროში სტანდარტების შემუშავება;

„წევრი სახელმწიფოებისთვის ნედლი ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების მინიმალური სარეზერვო მარაგების უზრუნველყოფის ვალდებულების დაკისრების შესახებ“ საბჭოს 2009 წლის 14 სექტემბრის 2009/119/EC დირექტივის შესრულება.

5.21 სსიპ – საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო (პროგრამული კოდი 53 00)

შესაძლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის იდენტიფიცირება და უფლებამოსილი ორგანოსთვის შეთავაზება, აგრეთვე უფლებამოსილი ორგანოსა და კერძო ინიციატორისთვის შესაძლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის იდენტიფიცირებასა და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაში დახმარების გაწევა;

უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარდგენილი პროექტის კონცეფციის ბარათების შეფასება, საჭიროების შემთხვევაში შენიშვნების მომზადება და რეკომენდაციების შემუშავება;

ერთიანი და ყოვლისმომცველი საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების მონაცემთა ბაზის შექმნა და ანალიზი;

ინსტიტუციური პოტენციალის განვითარების მიზნით საჯარო და კერძო თანამშრომლობის სფეროში უფლებამოსილი ორგანოს ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება, მათ შორის, პროექტის იდენტიფიცირებისა და მომზადების, კერძო პარტნიორის შერჩევის, პროექტის განხორციელების, მონიტორინგისა და შემდგომი შეფასების ეფექტიანობის ხელშეწყობისთვის;

საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა, საჯარო და კერძო თანამშრომლობის მიმართულებით საქართველოს შესაბამისი სარეიტინგო მაჩვენებლების გაუმჯობესება;

საჯარო და კერძო თანამშრომლობის სფეროს მარიგულირებელი



## ინსტიტუციური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

განხორციელდა საჯარო სამსახურის ფუნდამენტური რეფორმა, რის შედეგადაც ის გარდაიქმნა დამსახურების შესაბამისად კარიერულ წინსვლაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებულ, სტაბილურ, საჯარო სამსახურის ერთიან სისტემად.

ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმებით საქართველო უპასუხებს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ყველა გამოწვევას: საჯარო სერვისების გაუმჯობესებას, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლებას, საჯარო რესურსების უკეთეს მართვას, უსაფრთხო გარემოს შექმნას და კორპორაციული პასუხისმგებლობის გაუმჯობესებას.

ჩამოყალიბდება ევროპული სტანდარტების ადგილობრივი თვითმმართველობა; დასრულდება არადემოკრატიული, არაეფექტიანი დარგობრივ-ცენტრალიზებული მმართველობის დემოკრატიულ, ეფექტიან ტერიტორიულ მმართველობად გარდაქმნა.

საჯარო მმართველობის ძირეული რეფორმის განხორციელების, პოლიტიკის დაგეგმვის ეფექტიანი და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებისა და დახვეწის მიზნით:

- შეიქმნება მტკიცე საკანონმდებლო საფუძვლები ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე; საქართველოს კანონმდებლობით მკაფიოდ განისაზღვრება აღნიშნულ დონეებზე პოლიტიკის დაგეგმვის სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი, იერარქია, ურთიერთმიმართება და თავსებადობა როგორც ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების, ისე მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტებთან;

- გაუმჯობესდება პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის კონტროლის მექანიზმები და, შესაბამისად, საჯარო მოხელეთა შესაძლებლობები;

- გაუმჯობესდება პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების ხარისხი;

- უზრუნველყოფილი იქნება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების სისტემის ჩამოყალიბება.

განხორციელდება საჯარო სამსახურის წარმატებული რეფორმის მხარდაჭერის ღონისძიებები რაციონალური, ეფექტიანი და ეფექტური, დეპოლიტიზებული, მაღალპროფესიული და დამსახურების შესაბამისად კარიერულ წინსვლაზე, კეთილსინდისიერებასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის სისტემის ჩამოსაყალიბებლად. ამ მიზნით:

- ყველა საჯარო დაწესებულებაში გაძლიერდება საკადრო (ადამიანური რესურსების მართვის) სამსახური, დაიხვეწება ადამიანური რესურსების მართვის



თანამედროვე, ავტომატიზებული სისტემების სტანდარტები და დასრულდება მათი დანერგვა;

- საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო სამსახურის ბიურო ინსტიტუციურად გაძლიერდება; უზრუნველყოფილი იქნება მის მიერ კანონით განსაზღვრული ფუნქციების უკეთ შესრულება;

- უზრუნველყოფილი იქნება საჯარო დაწესებულებებში პროფესიული განვითარების ეფექტიანი სისტემების შექმნა, გამართული ფუნქციონირება და განვითარება;

- საჯარო დაწესებულებებში დაინერგება და დაიხვეწება სტრუქტურული ერთეულებისა და საჯარო მოხელეების შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის დაგეგმვისა და ანგარიშგების ეფექტიანი მექანიზმები და ინსტრუმენტები.

ღია მმართველობის პრინციპების დანერგვა და სახელმწიფო სერვისების განვითარება კვლავ საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იქნება. ღია მმართველობის პრინციპების დანერგვის, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობისა და მათი ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიზნით განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- დაიხვეწება საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობა, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად გადამუშავდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

- საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგდება საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნასა და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები;

- სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირების დასაფუძნებლად საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვრება კონკრეტული მოთხოვნები კონკურენციის შეზღუდვისა და ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევების გამორიცხვის მიზნით;

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების ხარისხის გაუმჯობესებისთვის დაინერგება ელექტრონული მონიტორინგის პრაქტიკა; დაიხვეწება საჯარო ფინანსების განაწილებისა და მართვის სისტემა;

- ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებისთვის დადგინდება წლის განმავლობაში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების შესახებ ანგარიშგების, აგრეთვე ამ ანგარიშების გამოქვეყნებისა და საზოგადოებისთვის წარდგენის სტანდარტები.

გაუმჯობესდება სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისები. ამ მიზნით:

- მომხმარებელთა საჭიროებების გასათვალისწინებლად შემუშავდება მომხმარებლის ჩართულობის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების შექმნის ერთიანი სტანდარტი;

- გაიზრდება სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობა;

- შეიქმნება სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების ხარისხის მონიტორინგის სისტემა, რისთვისაც დაინერგება ერთიანი სტანდარტი;



- ჩამოყალიბდება სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების ფასწარმოქმნის სამართლიანი და ეფექტიანი მიდგომები;
- გაუმჯობესდება სახელმწიფო და მუნიციპალური, აგრეთვე კერძო სექტორის ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობა;
- გაუმჯობესდება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი;
- გაძლიერდება კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება.

ადამიანის უფლებების დაცვა, შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების დახვეწა და განვითარება, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ინტეგრირება სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და კანონშემოქმედების პროცესში ძირითადი პრიორიტეტებია. ამ მიზნით:

- დამტკიცდება და განხორციელდება საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი ეროვნული სტრატეგია, რომლის უმთავრესი მიზანი იქნება აღნიშნული პრიორიტეტების ყოველდღიურ პრაქტიკაში ასახვა და ინსტიტუციური დემოკრატიის კონსოლიდაცია; კვლავ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკას; დამტკიცდება და განხორციელდება სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ახალი სახელმწიფო სტრატეგია (2021–2025 წლებისთვის);
- უზრუნველყოფილი იქნება საკუთრების უფლების განუხრელი დაცვა, უპირველეს ყოვლისა, ქონების რეგისტრაციის სანდო და უსაფრთხო პროცედურების განხორციელებით, მათ შორის, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით; მიწის რეგისტრაციის წარმატებული რეფორმა ხელს შეუწყობს უფლებათა პირველადი რეგისტრაციის პროცესის მოკლე ვადაში დასრულებას;
- გაგრძელდება ქმედითი ღონისძიებების განხორციელება თანასწორობის უფლების რეალიზებისთვის, ადამიანების ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად;
- განხორციელდება ღონისძიებები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული თანასწორობის დასაცავად; უზრუნველყოფილი იქნება გენდერული უთანასწორობისა და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის თითოეულ ფაქტზე სწრაფი და ქმედითი რეაგირება;
- საქართველო აქტიურად გააგრძელებს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის აღსრულებას და შშმ პირთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით სულ უფრო მეტად შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათ სრულფასოვან ინტეგრაციას საქართველოს პარლამენტის მიერ 2020 წელს მიღებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად; დაცული იქნება შშმ პირთა უფლებები გონივრული მისადაგების პრინციპის საფუძველზე, მათი საჭიროებების გათვალისწინებით; საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში შშმ პირთა სრულყოფილი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას, აგრეთვე ინფრასტრუქტურის ადაპტირებას შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით;
- განხორციელდება ღონისძიებები „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის სრულყოფილად აღსრულებისთვის; მათ შორის, გამოიყოფა დამატებითი რესურსები სოციალური მუშაკების საკმარისი



რაოდენობის, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და შესაბამისი ანაზღაურების უზრუნველსაყოფად;

· სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტული მიზანი იქნება ის, რომ თითოეულ მოქალაქეს, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, ჰქონდეს შესაძლებლობა, სრულფასოვნად ჩაერთოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, პოლიტიკურ და სამოქალაქო პროცესებში; გაგრძელდება სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის შესაბამისი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელება;

· პრიორიტეტული იქნება სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება; გაძლიერდება და მოსახლეობის ყველა სეგმენტის საჭიროებების გათვალისწინებით უფრო მრავალფეროვანი გახდება სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამები;

· ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში გაუმჯობესდება მათი წარმომადგენლებისთვის საზოგადოებრივი მომსახურების ხელმისაწვდომობა; გაგრძელდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების გაძლიერებასა და ჩართულობაზე ორიენტირებული პროგრამების განხორციელება; ხელი შეეწყობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და დაცვას; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ერთიან საინფორმაციო სივრცეში მათ ჩართვას;

· გაგრძელდება მუშაობა შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების სფეროს საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და პრაქტიკაში სრულყოფილად დანერგვისთვის; პრიორიტეტული იქნება შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმების ეფექტიანი აღსრულება და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატის ქმედითი რეალიზაცია;

· სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის თითოეული სავარაუდო ფაქტის ეფექტიანი და დამოუკიდებელი გამოძიების უზრუნველსაყოფად ხელი შეეწყობა სპეციალურ საგამომიებო სამსახურში შექმნილი დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმის დახვეწასა და გაძლიერებას;

· საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით გადამუშავდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება უკეთ უპასუხებს ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებულ თანამედროვე გამოწვევებს.

## 6.1 საკანონმდებლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 01)

საქართველოს საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება;

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლი და სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაცია;



კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისად, ქვეყნის სრული პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა, მის მართვა-გამგეობაში პოლიტიკური ძალების ფართოდ წარმოდგენა;

მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესების, ქვეყნის მდგრადი განვითარების და ცხოვრების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;

საპარლამენტო საქმიანობის ღიაობა, ინფორმაციის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა;

მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა, ანგარიშვალდებულება;

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;

საჯარო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა;

გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება.

6.1.1

### **საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 01 01)**

საქართველოს მოსახლეობის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის მინდობილი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა;

კანონშემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა;

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე. წ. დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკით და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით ქვეყნის დეოკუპაციის მისაღწევად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლი და სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება და მათთან შეერთება;

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიღება და მისი შესრულების საპარლამენტო კონტროლი;

საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ყოველწლიური ანგარიშების მოსმენა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

საერთაშორისო საპარლამენტაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა სახელმწიფოთა პარლამენტების წევრებთან აქტიური თანამშრომლობა;

საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრაციის პროცესების გაღრმავება და მათ დირექტივებთან



6.1.2

**საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა (პროგრამული კოდი 01 01 02)**

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს პარლამენტის ფრაქციებისა და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობის ხელშეწყობისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, აგრეთვე მათი ხელშეწყობა საქართველოს პარლამენტისა და მისი ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, კანონშემოქმედებითი და მაკონტროლებელი (საზედამხედველო) საქმიანობის განსახორციელებლად;

საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიების საქმიანობის უზრუნველყოფა.

6.1.3

**საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 01 01 03)**

საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომების მომზადება, კანონპროექტებით უზრუნველყოფა და საკითხების განხილვისას გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვა;

საქართველოს პარლამენტის საქმიანობის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქება და დოკუმენტების გამოქვეყნება;

საქართველოს პარლამენტისა და მისი აპარატის საქმიანობის თანამედროვე ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნის, გამართული მუშაობისა და განვითარების უზრუნველყოფა;

გენდერული თანასწორობის საკითხებზე თემატური მოკვლევების მომზადება და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება.

6.1.3.1

**საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 01 01 03 01)**

საქართველოს პარლამენტის ბიუროს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების, საქართველოს პარლამენტის წევრების, კომიტეტების, ფრაქციების, უმრავლესობისა და ოპოზიციის, დროებითი საგამომიებო და სხვა დროებითი კომისიების საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების უზრუნველყოფა;

საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომების მომზადება, კანონპროექტებით უზრუნველყოფა და საკითხების განხილვისას გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვა;

საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა;

საქართველოს პარლამენტის საქმიანობის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქება და დოკუმენტების გამოქვეყნება;

საქართველოს პარლამენტისა და მისი აპარატის საქმიანობის



თანამედროვე ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნის, გამართული მუშაობისა და განვითარების უზრუნველყოფა;

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდის მართვა, განვითარება და ტექნიკური უზრუნველყოფა;

საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს პარლამენტის გამგებლობისთვის მიკუთვნებული სხვა საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობა.

6.1.3.2 **გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება (პროგრამული კოდი 01 01 03 02)**

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს უწყვეტი საქმიანობის უზრუნველყოფა, მათ შორის, პრიორიტეტულ საკითხებზე საქართველოს პარლამენტისთვის თემატური მოკვლევების მომზადება და საბჭოს საკომუნიკაციო სტრატეგიის აღსრულების უზრუნველყოფა;

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსა და მუნიციპალურ დონეზე არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოების კოორდინაციის უზრუნველყოფა და თანამშრომლობის გაძლიერება;

წლის განმავლობაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით შერჩეულ პრიორიტეტულ თემებზე საქართველოს პარლამენტისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

6.2 **სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (პროგრამული კოდი 26 01)**

ეფექტიანი სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება; საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება; საქართველოს, საერთაშორისო და უცხო ქვეყნების სასამართლოებსა და არბიტრაჟებში სახელმწიფოს წარმომადგენლობა; სახელმწიფოსა და სახელმწიფო უწყებების მიერ გასაფორმებელი საერთაშორისო და კერძო (მრავალმილიონიანი ან/და საარბიტრაჟო ინსტიტუტის შემცველი) ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზა, ინსტიტუციური განვითარება და ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია;

სამართლის ცალკეული დარგების განვითარების აუცილებლობისა და პერსპექტივების შესწავლა; სამართალშემოქმედებითი საქმიანობის შესრულების მიზნით სამინისტროებისა და დარგობრივი უწყებების პრობლემატიკა; საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, სხვადასხვა პრიორიტეტული სფეროს განვითარების მიზნით საკანონმდებლო ინიციატივების, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; საზღვარგარეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობების შესწავლა და გაანალიზება; საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;





საქართველოს კანონმდებლობის ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ ევროკავშირის რეგულაციებთან, გადაწყვეტილებებსა და ღირებულებებთან დაახლოების/ჰარმონიზაციის მიზნით სამინისტროს კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე სხვადასხვა უწყების მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტებისა და თანამდევ დოკუმენტების სამართლებრივი ექსპერტიზა;

არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნების სასამართლოებში კომერციულ და საინვესტიციო დავებზე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოებში სახელმწიფოთაშორის ან/და ინდივიდუალურ დავებზე სახელმწიფოს წარმომადგენლობა; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა და მასთან სხვა სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობის კოორდინაცია; საქართველოს სასამართლოებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ შეტანილ სარჩელებზე სამინისტროს ინტერესების დაცვა; სახელისუფლებო დაწესებულებების წინააღმდეგ დავებში მონაწილეობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციის გათვალისწინებით;

სახელმწიფოსა და სახელმწიფო უწყებების მიერ გასაფორმებელი საერთაშორისო და კერძო (მრავალმილიონიანი ან/და საარბიტრაჟო ინსტიტუტის შემცველი) ხელშეკრულებების პროექტების სამართლებრივი შეფასება/ექსპერტიზა მათი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და სათანადო დასკვნის პროექტის მომზადება; ხელშეკრულების პროექტის სამართლებრივი შეფასება მასში არსებული სამართლებრივი რისკების კუთხით და შესაბამისი დასკვნის პროექტის მომზადება;

სამართლებრივი სისტემის დახვეწა, მათ შორის, საბჭოთა პერიოდის რუდიმენტებისგან გათავისუფლება; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და შესაბამისი გზამკვლევის (Guideline), სხვადასხვა მიმართულებით შედარებითი სამართლებრივი და სახელმწიფოთა კარგი პრაქტიკის კვლევების, აგრეთვე ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით საკანონმდებლო ინიციატივებსა და წინადადებებზე დასკვნებისა და მოსაზრებების მომზადება; „კარგი მმართველობის“ საკითხებთან დაკავშირებით რეკომენდაციების ან/და ანგარიშების შემუშავება;

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ორწლიანი სამოქმედო გეგმის, აგრეთვე ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების ძალადობისგან, მათ შორის, ტრეფიკინგისგან, დაცვის მიზნით სტრატეგიისა და მისი შესრულების სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგი; ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის პოლიტიკის შემუშავება, მისი განხორციელების ხელშეწყობა და მონიტორინგი; ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული, დაბალანსებული ნარკოპოლიტიკის შემუშავება.

### 6.3 მიწის რეგისტრაციის ხელშეწყობა და საჯარო რეესტრის მომსახურებათა განვითარება/ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 08)

1.2 მილიონი ჰექტრის ფარგლებში მიწის ნაკვეთების სისტემური რეგისტრაცია სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულ არეალებზე, რომლებიც ეტაპობრივად გაფართოვდება და საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს;

უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ



ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და სამისამართო რეესტრების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრისა და მუნიციპალიტეტების რეესტრის ფორმირება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; ქონებისა და ბიზნესის რეგისტრაციის სისტემის, სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის განვითარება და საზოგადოების სწრაფი, ხელმისაწვდომი და ინოვაციური სერვისებით უზრუნველყოფა, სანდო და მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა, სანავიგაციო გეომონაცემთა ბაზის შექმნა, საქართველოს მაგისტრალური გზებისა და დასახლებებისთვის ქუჩების 360-გრადუსიანი პანორამული სურათების პლატფორმის შექმნა/განახლება, ეროვნული გეოდეზიური გეგმურ-სიმაღლური საფუძვლის შექმნა და განახლება, საქართველოს ტერიტორიის აქტუალური რეგიონების ციფრული აეროგადაღება და ციფრული ორთოფოტოგეგმების მომზადება;

ეროვნული სანავიგაციო მონაცემთა ბაზის შექმნა/განახლება, რომელიც დააკმაყოფილებს სანავიგაციო მონაცემების მიმართ შიდა და გარე მომხმარებლების არსებულ მოთხოვნებს და გლობალურ სანავიგაციო მონაცემებთან თავსებადი იქნება. აღნიშნული მონაცემები მომხმარებლებს გაუადვილებს ადგილმდებარეობის იდენტიფიცირებას, აგრეთვე დაეხმარება დანიშნულების ადგილამდე მისასვლელი ოპტიმალური მარშრუტის შერჩევაში მინიმალური დროის ან მინიმალური მანძილის კრიტერიუმის გათვალისწინებით;

საქართველოს ეროვნული გეოსივრცითი მონაცემების წარმოება და მსოფლიო ბაზარზე არსებულ გლობალურ სანავიგაციო სისტემებში ინტეგრაცია;

საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ტურისტულად აქტიური არეალების, მუნიციპალური და მაგისტრალური გზების 360-გრადუსიანი პანორამული სურათების – ე. წ. ქუჩის ხედის – მონაცემების შექმნა და Google Maps-ზე მათი ინტეგრაცია, რომელიც დააკმაყოფილებს შიდა და გარე მომხმარებლების მოთხოვნებს;

საქართველოს ეროვნული გეოდეზიური გეგმურ-სიმაღლური საფუძვლის (ქსელის) შექმნა და განახლება, რომელიც ყველა მასშტაბის ტოპოგრაფიული აგეგმვების მთავარი გეოდეზიური საფუძველია და ქმნის საქართველოს ტერიტორიაზე კოორდინატებისა და სიმაღლეების განვრცობის ერთიან სისტემას. მაღალი სიზუსტის გეოდეზიურმა საფუძველმა უნდა დააკმაყოფილოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, თავდაცვის, უშიშროებისა და ეროვნული მეურნეობის დარგების, აგრეთვე სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის სხვადასხვა სამეცნიერო და საინჟინრო ტექნიკური ამოცანის პრაქტიკულად გადაწყვეტის მოთხოვნები;

აეროგადაღების სამოქმედო გეგმის მიხედვით საქართველოს ტერიტორიის ურბანული არეალების (სადაც აქტიურად მიმდინარეობს ცვლილებები) ახალი აეროგადაღების მასალებით დაფარვა და მათი დამუშავების შედეგად ზუსტი ორთოფოტოგეგმების შექმნა; განახლებული აეროგადაღების მასალების საფუძველზე ახალი ციფრული კარტოგრაფიული მასალების შექმნა, ძველების განახლება და შემდგომ ამ მონაცემების გამოყენება სხვადასხვა დარგობრივი მოთხოვნიდან გამომდინარე;

IT-ინფრასტრუქტურის სრულყოფა, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული სერვისების უწყვეტად და სწრაფად მიწოდებას, აგრეთვე სამომავლო მზარდი დატვირთვებისთვის ინფრასტრუქტურის გაფართოებას.



მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და მაღალ პროფესიულ დონეზე ადმინისტრირებული არჩევნების საქართველოს კანონმდებლობის დაცვით ჩატარება და ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესებში ჩართული სხვა მხარეების მიერ საარჩევნო უფლების თავისუფლად განსახორციელებლად ყველა პირობის შექმნა;

ინსტიტუციური გაძლიერება: საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და სანდოობის განმტკიცება, ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკისა და უწყვეტ ორგანიზაციულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემის დამკვიდრება, დემოკრატიული პროცესების განვითარებაში წვლილის შეტანა;

სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით საარჩევნო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, ამომრჩეველთა აქტივობის ზრდისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა;

საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების აქტიური მონაწილეობით მაქსიმალურად ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნა, საქართველოს კანონმდებლობის დახვეწის პროცესის ხელშეწყობა;

საარჩევნო პროცესების დაგეგმვა, ყველა ტიპის არჩევნების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამედროვე, დამოუკიდებელ, უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება, რომელიც თავის საქმიანობას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართავს და საზოგადოების მაღალი ნდობით სარგებლობს;

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების თანამედროვე, სანიმუშო პრაქტიკის გაცნობა და აუდიტორული ცოდნითა და უნარებით აუდიტორთა პროფესიული შესაძლებლობების გაზრდა;

გარე აუდიტის შესაძლებლობებისა და საკანონმდებლო მანდატის გაძლიერება;

სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვისა და ეფექტიანობის ხელშეწყობა;

აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდა;

საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) აუდიტის გაძლიერება;

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ანალიტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება, მათ შორის, დიდი მონაცემების ანალიზის შესაძლებლობების გაძლიერება;

საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობის გაღრმავება;

შიდა კონტროლის სისტემისა და ინფორმაციული უსაფრთხოების



გაუმჯობესება;

საერთაშორისო და დონორ პარტნიორ ორგანიზაციებთან პროფესიული თანამშრომლობის გაზრდა;

წლიური აუდიტორული საქმიანობის გეგმის განსაზღვრისას მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერება;

სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირების სისტემის სრულყოფა, კვალიფიკაციის ასამაღლებელი (მათ შორის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი) სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

#### 6.6 არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 04)

ელექტრონული საშუალებების გამოყენებით არჩევნების ჩასატარებლად ადამიანური რესურსის მომზადება;

ელექტრონული საშუალებების შესახებ ამომრჩეველთა და საარჩევნო პროცესებში ჩართული სხვა მხარეების ცნობიერების ამაღლების /ინფორმირების კამპანია;

არჩევნების ჩასატარებლად საჭირო ელექტრონული საშუალებებისა და სხვა თანამდევი ინფრასტრუქტურული ბაზის მომზადება.

#### 6.7 სპეციალური საგამომიებო სამსახური (პროგრამული კოდი 51 00)

„სპეციალური საგამომიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დანაშაულთა მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი ისეთი დანაშაულების გამოძიება, როგორებიცაა: წამება, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ან უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით, იარაღის გამოყენებით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, და სხვა.

#### 6.8 პოლიტიკური პარტიების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 03)

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად პოლიტიკური პარტიებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

#### 6.9 სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახური (პროგრამული კოდი 36 00)

საქართველოს პარლამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გადახედვა და ოჯახში ძალადობის საქმეებზე დაზარალებული პირებისთვის უფასო იურიდიული დახმარების უზრუნველყოფისთვის შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოებისა და საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, სამსახურში დასაქმებული ადვოკატების სათანადო



პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფა;

საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი პირებისთვის, არასრულწლოვანებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა პირებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, მათ შორის, სამოქალაქო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის გარკვეულ საქმეებზე, იურიდიული დახმარების გაწევა;

მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის ინფრასტრუქტურის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება;

იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ საზოგადოების ცნობიერებისა და ხელმისაწვდომობის ამაღლება;

იურიდიული საქმისწარმოების მართვის საინფორმაციო სისტემის (case-bank) განსავითარებლად დამატებითი მოდულების ჩაშენების საქმიანობა როგორც ხარისხის შეფასების მიზნებისთვის, ისე სასწავლო პროცესების მოსაწესრიგებლად.

## 6.10 მიწის ბაზრის განვითარება (WB) (პროგრამული კოდი 26 09)

მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაცია და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინტერნეტკომუნიკაციების ტექნოლოგიების განახლება, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება; მიწის სისტემური რეგისტრაციის პოლიტიკის, პროცედურების შემუშავება და იმპლემენტაცია და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემის გაუმჯობესება;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და სარეგისტრაციო პროგრამების განახლება; სისტემური რეგისტრაციის პროცესის ოპტიმიზაცია, საჯარო რეესტრის ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) ინფრასტრუქტურისა და სტატისტიკის მხარდაჭერა (პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა სისტემური რეგისტრაციის ავტომატიზაციის მიზნით); საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასება და შეფასების ანგარიშის საფუძველზე ინფორმაციული ტექნოლოგიების, მათ შორის, სერვერული ინფრასტრუქტურის, განახლება; უძრავი ქონების რეგისტრაციის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება; საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) გუნდის სწავლება;

საკადასტრო აზომვითი/აგეგმვითი სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იმ აზომვებების სწავლება და სერტიფიცირება, რომელთა ხელსაწყოებიც ჩართულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ადმინისტრირებულ CORS-ის სისტემაში.

## 6.11 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (პროგრამული კოდი 41 00)

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით გეგმური და არაგეგმური მონიტორინგის განხორციელება;

თავისუფლების შეზღუდვის ადგილებსა და პენიტენციურ დაწესებულებებში



მოთავსებულ პირთა უფლებების დარღვევის შესახებ განცხადებებისა და საჩივრების განხილვა და მათზე რეაგირება; თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მონიტორინგი;

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებების მონიტორინგის გაძლიერება;

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციისთვის რეკომენდაციების შემუშავება; მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და წარდგენა;

საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა და გაძლიერება;

სამოქალაქო განათლებისა და ცნობიერების ასამაღლებლად საინფორმაციო ბიულეტენებისა და სოციალური რეკლამის დამზადება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში განთავსება, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა, თარგმნა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა; ადამიანის უფლებათა თემებზე პუბლიკაციების გამოცემა და გავრცელება; შესაბამისი სამიზნე ჯგუფებისთვის ტრენინგების ორგანიზება;

საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებებისა და საჩივრების მიღება, რეგისტრაცია, სტრუქტურულ ერთეულებზე გადანაწილება, განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან 24 საათის განმავლობაში მისაღებად მრავალარხიანი საკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაცია;

უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის მრავალმხრივი დიალოგის ხელშეწყობა;

ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა;

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2006 წლის კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგი;

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის ზედამხედველობა ცენტრსა და რეგიონებში;

სკოლამდელი დაწესებულებებისა და სკოლების მონიტორინგი;

24-საათიანი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანების სამზრუნველო დაწესებულებიდან გასვლისთვის მომზადების ზედამხედველობა;

საქართველოში გენდერული თანასწორობის დაცვის სფეროში არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული, გენდერული თანასწორობის დარღვევასთან დაკავშირებული განცხადებების/საჩივრების



შესწავლა და შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება;

საქართველოში და მისი ფარგლების გარეთ გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობისა და გამოცდილების განზოგადება და საქართველოში დანერგვის ორგანიზება;

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისთვის საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა, სპეციალური და საქმიანობის ანგარიშების მომზადება და გავრცელება;

რეკომენდაციების, წინადადებების, ზოგადი წინადადებებისა და დასკვნების შემუშავება და ადრესატებისთვის წარდგენა;

ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგი;

კონსტიტუციური სარჩელისა და სასამართლოს მეგობრის მოსაზრების მომზადება და სასამართლოში წარდგენა.

6.12

### **ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 03)**

ეროვნული საარქივო ფონდის მატერიალური ან/და ელექტრონულ მატარებელზე გადატანილი დოკუმენტებით შევსება, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონული ბაზის შექმნა და მუდმივი განახლება, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების აღწერა და ცენტრალიზებული აღრიცხვა, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვისა და შენახვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა;

საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების დედნების დაუზიანებლად შენარჩუნებას, ეროვნული მეხსიერების დაცულობას, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონული ასლების ხელმისაწვდომობას;

მოქალაქეზე ორიენტირებული მომსახურების დანერგვისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონული სისტემისა და ეროვნული საარქივო ფონდის მკვლევართა აღრიცხვისა და მართვის სისტემის, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების (ტექსტური დოკუმენტები, კინოფოტოფონოდოკუმენტები) ელექტრონული კატალოგების შექმნა და განვითარება;

ერთიანი ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნისა და ელექტრონული დოკუმენტაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ეროვნული არქივის დაკომპლექტების წყარო-ორგანიზაციებიდან და ეროვნული საარქივო ფონდისთვის მიკუთვნებული დოკუმენტების მფლობელი სხვა პირებისგან მიღებული ელექტრონული დოკუმენტების აღწერის, აღრიცხვისა და დაარქივების ავტომატიზებული სისტემის შექმნა;



შიდა ქართლის (გორი) რეგიონული არქივის ახალი შენობის მშენებლობა და აღჭურვა.

6.13

### იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 07)

სახელმწიფო სერვისების მიწოდების მაღალი სტანდარტის შენარჩუნება და გაუმჯობესება, ახალი პროდუქტების/სერვისების დანერგვა და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

თითოეული მომხმარებლის, მათ შორის, ბიზნესის, ინტერესზე ორიენტირებულობა; სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა, ადმინისტრაციული პროცედურებისთვის საჭირო დროის შემცირება; დამატებით რამდენიმე სახელმწიფო და კერძო სერვისის (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, ენერგეტიკისა და წყლის კომპანიების და კერძო სექტორის სერვისების) დანერგვა, იუსტიციის სახლის სერვისების პოპულარიზაცია, ცნობადობის ამაღლება და იუსტიციის სახლის კონცეფციის ექსპორტი დაინტერესებულ ქვეყნებში;

არსებული სერვისების ოპტიმიზაცია და რედიზაინი; თითოეული პროდუქტისთვის სერვისის მიწოდების პროცესის აღმწერი დოკუმენტების შექმნა, ორგანიზაციის პროცესების ურთიერთქმედების რუკის შემუშავება, საოპერაციო პროცედურების გამართვა და განახლება, რაც სერვისების შეუფერხებლად მიწოდებას უზრუნველყოფს;

იუსტიციის სახლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს იუსტიციის სახლის მომხმარებლისთვის მომსახურების შეუფერხებლად მიწოდებას;

იუსტიციის სახლების, საზოგადოებრივი ცენტრებისა და მობილური იუსტიციის სახლების მეშვეობით სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა თითოეული მოქალაქისთვის დიდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში, აგრეთვე მრავალმოსახლიან და მუნიციპალიტეტების ცენტრებიდან მოშორებულ სოფლებში, სადაც მოსახლეობას საშუალება ექნება, სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს საჯარო და კერძო სექტორების სერვისებით;

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში იუსტიციის სახლის ფილიალებისა და საზოგადოებრივი ცენტრის გახსნა.

6.14

### პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური (პროგრამული კოდი 39 00)

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი, ფარული საგამომიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობის კონტროლი;

ფარული საგამომიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობის კონტროლი მონაცემთა დამუშავების/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებით (ინსპექტირებით) და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრ





ული სხვა საშუალებებით;

დაინტერესებული პირებისთვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა;

პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა;

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება);

საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება;

საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება მონაცემთა დამუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

პერსონალურ მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის, ასეთი სახელმწიფოს იურიდიული ან ფიზიკური პირისთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემის შესახებ ნებართვის გაცემა, სხვა სახელმწიფოში ან/და საერთაშორისო ორგანიზაციაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის შეფასება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხის დამტკიცება;

საქართველოს პარლამენტისთვის წლიური ანგარიშის წარდგენა საქართველოში მონაცემთა დაცვის მდგომარეობის, ფარული საგამომიებო მოქმედებების ჩატარებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობის კონტროლის შესახებ.

## 6.15 ელექტრონული მმართველობის განვითარება (პროგრამული კოდი 26 05)

სახელმწიფოს საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა, მათზე გაწეული დანახარჯების შემცირება, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებით სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა;

სახელმწიფო უწყებების მომსახურება IT-სერვისების სრული სპექტრით, რაც მოიცავს ქსელურ უზრუნველყოფას, ინტერნეტის მიწოდებას, ელექტრონული ფოსტის სერვისს, ონლაინკომუნიკაციის საშუალებებს, ტელევიდეოკონფერენციას, დროისა და დავალებების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას, უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას, არასასურველი და მავნე ელექტრონული ფოსტის პროგრამებისა და ვირუსებისგან დაცვას, სახელმწიფო სტრუქტურებისთვის ერთიანი IT-მხარდაჭერის სატელეფონო ცენტრის შექმნასა და ინციდენტების მართვას, ციფრული ტელეფონის სერვისს, სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა კომპიუტერული ტექნიკის ადგილზე მომსახურებას და სხვა;

სახელმწიფო ორგანიზაციებში პროცესების ავტომატიზებისა და ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლის მიზნით შესაბამისი კვლევების ჩატარება და კონკრეტული ინოვაციური ბიზნესგადაწყვეტილებების შემუშავება, რომლებიც მორგებული იქნება დამკვეთის ბიზნესპროცესებზე; ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და არსებული პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესება;



ტექნოლოგიის დანერგული „ქლაუდტექნოლოგიის“ (დრუბლოვანი ტექნოლოგიის) მიმართულებით განვითარება როგორც პროგრამული, ისე გამოთვლითი სიმძლავრეებისა და მასშტაბების კუთხით; დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ „ქლაუდინფრასტრუქტურით“ (დრუბლოვანი ინფრასტრუქტურით) (IaaS) სარგებლობის უზრუნველყოფა;

სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, კერძო სექტორისა და მოქალაქეებისთვის ელექტრონული სერვისების მიწოდების და მონაცემთა გაცვლის ეფექტიანად და უსაფრთხოდ უზრუნველყოფა ერთი ფანჯრის პრინციპით;

ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის ჩატარება; ინფორმაციული უსაფრთხოების შეღწევადობის (მდგრადობის) ტესტირება; კომპიუტერული ინციდენტების აღმოჩენისთვის გამიზნული ქსელური სენსორის დაყენება და მართვა; კიბერუსაფრთხოების საკითხების რეგულირება; კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ეროვნული ჯგუფის მიერ კომპიუტერული ინციდენტების პრევენცია, გამოვლენა და შედეგების მართვა;

მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის გამოყენება, რომლის კომპონენტია 3 სახის აპარატურულ-პროგრამული მიმართულება/ინსტრუმენტი: „საქართველოს სამთავრობო კარიბჭე“ – ელექტრონული სერვისების მეშვეობით, უსაფრთხო გარემოში სხვადასხვა ინფორმაციის გაცვლა; „მოქალაქის პორტალი“ – სახელმწიფოს და ბიზნესსექტორის მიერ რეალიზებული სხვადასხვა ელექტრონული სერვისის ყველა დაინტერესებული პირისთვის უსაფრთხო ხელმისაწვდომობა ერთი ფანჯრის პრინციპით; „საერთაშორისო ვაჭრობის მხარდაჭერი სისტემა“ – ამ ეტაპზე ინტეგრირებულია საკონტინერო გადაზიდვები, ხოლო სახმელეთო და საჰაერო გადაზიდვები ეტაპობრივად დაემატება (ეს სისტემა ინტეგრირებულია მსგავსი პროფილის საერთაშორისო სისტემებთან).

## 6.16 სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო (პროგრამული კოდი 35 00)

საჯარო სამსახურის რეფორმის იმპლემენტაციის ხელშეწყობა;

საჯარო სამსახურში მმართველობის ახალი გზების დანერგვის ხელშეწყობა;

საჯარო სამსახურში მართვისა და ლიდერობის, ეთიკისა და კორუფციის პრევენციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება;

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება ადამიანური რესურსების მართვის, საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების, მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემისა და ანტიკორუფციული პოლიტიკის მხარდაჭერის მიზნით;

საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების გაძლიერება და, ზოგადად, ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა საჯარო სამსახურში ისეთი ინოვაციური მეთოდებით, როგორც იცაა: მენტორინგი, ქოუჩინგი და „სწავლა კეთებით“;

მოხელეთა საბაზისო ტრენინგპროგრამების აკრედიტაცია; საჯარო სამსახურში შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის გამოწვევების იდენტიფიცირება და ანალიზი;

ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის (e-HRMS) პროგრამების დახვეწა;



სტაჟირების სისტემის დახვეწა;

საჯარო სამსახურში პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

სამართლებრივი აქტებისა და პრაქტიკის გაანალიზება, განზოგადება და ერთგვაროვანი მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა;

საჯარო სამსახურში კეთილსინდისიერებისა და კორუფციის პრევენციის მექანიზმების პრაქტიკის გაუმჯობესება;

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების კანონით გათვალისწინებული სავალდებულო რაოდენობის მონიტორინგი; საჭიროების შემთხვევაში თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დახვეწა და განვითარება;

დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესასრულებლად საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური გაძლიერება, საჯარო სამსახურის ბიუროში შეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემის დახვეწა, საჯარო სამსახურის ბიუროს ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის შემუშავება და საჯარო სამსახურის ბიუროს შიდა საკომუნიკაციო პროცესების გაუმჯობესება.

**6.17 საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02)**

არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა;

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარება.

**6.18 სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციები (პროგრამული კოდები 11 00–19 00)**

სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან კოორდინაციით მუნიციპალიტეტების განვითარების სტრატეგიებისა და პრიორიტეტების დოკუმენტების შემუშავება;

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნით წინადადებების მომზადება;

მოქალაქეების სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის მონიტორინგი.

**6.19 საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება (პროგრამული კოდი 01 04)**

საქართველოს პარლამენტის სუბიექტებისა და პარლამენტის აპარატის მიმართვებზე/შეკითხვებზე პასუხებისა და მათთან დაკავშირებული საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების მომზადება;



პროაქტიული საქმიანობის განხორციელება;

პოლიტიკის კვლევის დოკუმენტების შექმნა;

ინტეგრირებული, ინტერდისციპლინური კვლევის წარმოებისა და განხილვის პროცესში მყოფ საკითხებზე პოლიტიკის კვლევის დოკუმენტების შექმნის უზრუნველყოფა;

მიმდინარე აქტუალურ თემებზე, რომლებიც შეეხება საჯარო პოლიტიკის საკითხებს, ანალიტიკური მიმოხილვების მომზადება.

6.20 **სსიპ – სახელმწიფო ენის დეპარტამენტი (პროგრამული კოდი 52 00)**

სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა;

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენა და დამკვიდრება;

სახელმწიფო ენის ფლობის დონის ამაღლების ხელშეწყობა;

ქართველური ენების ენობრივი მრავალფეროვნების დაცვა, შენახვა, სისტემური კვლევა და განვითარება;

საქართველოში და საერთაშორისო ასპარეზზე ქართული ენის, როგორც უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის, დაცვა და წარმოჩენა;

აფხაზური ენის სწავლების დისტანციური კურსის შექმნა, აგრეთვე ოკუპირებული, საზღვრისპირა და სხვა რეგიონების ტოპონიმების დადგენა;

ოფიციალურ დოკუმენტებში გვარ-სახელების მართლწერისა და ტრანსლიტერაციის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის ხელშეწყობა;

გაეროს და ევროკავშირის ოფიციალური და სამუშაო ენების ქართულ ენაზე ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციის წესების დადგენა და დამტკიცება;

საქართველოს სახელმწიფო ენების (ქართული ენის – საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აფხაზური ენის – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე) ფუნქციონირების, დაცვის, კვლევისა და განვითარების მიზნით სახელმწიფო ენის ინტერნეტპორტალის – მრავალფუნქციური საინფორმაციო პლატფორმის – შექმნა, რომელიც ასახავს საქართველოს მთავრობის ენობრივი პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ყველა ასპექტის შესახებ ამომწურავი, დეტალური ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა.

„6.21 **საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპონენტი) (WB) (პროგრამული კოდი 26 10)**

მიწის ადმინისტრირების სერვისების გაძლიერება და ციფრული მმართველობის ინფრასტრუქტურის მოწყობა, კერძოდ:

• სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების (განსაკუთრებით – უძრავი ქონების რეგისტრაციის სისტემის) გაძლიერება; ძირითადი საკადასტრო და სარეგისტრაციო სისტემების განახლება; შერჩეული ელექტრონული სერვისების განვითარება ინოვაციური ტექნოლოგიების მიშვილობით და



ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერა;

• სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის დიზაინის შექმნა, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება და დანერგვა სხვა ინსტიტუციურ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით (მათ შორის, შესაძლებლობების განვითარებაზე, ტრენინგსა და ცოდნის გაზიარებაზე ფოკუსირებით და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვით).“;

7

## იმულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

საქართველოს მთავრობა გააგრძელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფის ეფექტიან პოლიტიკას.

არსებული განსახლების კრიტერიუმებისა და პროცედურების ხარვეზების იდენტიფიცირებით და მათი დახვეწით განხორციელდება დევნილთა საჭიროებებზე მორგებული განსახლების ახალი პროექტები; გაგრძელდება ნგრევადი ობიექტების იდენტიფიცირება და მათში მცხოვრებ დევნილთა უსაფრთხო ადგილებში განსახლება; აგრეთვე გაგრძელდება დევნილებისთვის საარსებო წყაროების ხელმისაწვდომობის, დევნილთა მცირე სამეწარმეო საქმიანობისა და კოოპერაციის მხარდაჭერა; ხელი შეეწყობა სოფლის მეურნეობის პროექტებისა და თვითდასაქმების სოციალური პროექტების განხორციელებას; განსახლების პროგრამების მეშვეობით მომდევნო 4 წელიწადში დამატებით 13 000 დევნილ ოჯახს ექნება ღირსეული საცხოვრებელი; 2024 წლამდე გაუმჯობესდება დამატებით 1200 ეკომიგრანტი ოჯახის საცხოვრებელი პირობები მათი ახალ, უსაფრთხო გარემოში გადაყვანით.

ხელისუფლება გააგრძელებს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების თანამიმდევრული, მტკიცე პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც, ერთი მხრივ, დეოკუპაციას და, მეორე მხრივ, ნდობის აღდგენასა და შერიგებას ეფუძნება. ამისთვის სრულად იქნება გამოყენებული ყველა არსებული სამშვიდობო ფორმატი და ბერკეტი. ამასთანავე, გაგრძელდება ოკუპაციის გამო წნეხის პირობებში მყოფ მოსახლეობაზე ზრუნვა; ხელი შეეწყობა დამორიშორებული საზოგადოებების ყველა რგოლს შორის დიალოგს ახალი შესაძლებლობების შექმნით.

7.1

### იმულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 27 06)

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარებით უზრუნველყოფა;

ეკომიგრანტების საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფა;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა გრძელვადიანი განსახლება;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, თავშესაფრის მაძიებლებისა და საქართველოში სტატუსის მქონე, მოქალაქეობის არმქონე პირთა ინტეგრაციის



უზრუნველსაყოფად სხვადასხვა სერვისის შექმნა და განვითარება;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა და ეკომიგრანტთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა.

**7.1.1 სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის (პროგრამული კოდი 27 06 01)**

საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან და სხვა გეოგრაფიული არეალებიდან დაბრუნებული მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის ხელშეწყობა, მათ შორის, მათთვის სხვადასხვა სარეინტეგრაციო მომსახურების გაწევა: სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება, ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია;

შემოსავლის წყაროს გაჩენისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით სოციალური პროექტების დაფინანსება;

პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;

დროებითი საცხოვრებლის უზრუნველყოფა.

**7.1.2 ეკომიგრანტთა მიგრაციის მართვა (პროგრამული კოდი 27 06 02)**

ეკომიგრანტთათვის საცხოვრებელი სახლების შექმნა;

ეკომიგრანტთა დროებითი განსახლება.

**7.1.3 იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნა (პროგრამული კოდი 27 06 03)**

მრავალბინიანი კორპუსების მშენებლობა ქვეყნის მასშტაბით (გრძელვადიანი განსახლება);

მენაშენებისგან ბინების (კორპუსების) შესყიდვა ქვეყნის მასშტაბით (გრძელვადიანი განსახლება);

ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე დევნილი ოჯახის მიერ წარმოდგენილი საცხოვრებელი ბინების შესყიდვა (გრძელვადიანი განსახლება);

სახლების შესყიდვა და დევნილი ოჯახებისთვის სულადობის მიხედვით საკუთრებაში გადაცემა (გრძელვადიანი განსახლება);

კერძო მესაკუთრეებისგან ობიექტების გამოსყიდვა (მოხდება კოლექტიური ცენტრების იდენტიფიცირება, რომლებიც კერძო საკუთრებაშია, მაგრამ მისაღებია დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის) და დევნილებისთვის საკუთრებაში გადაცემა (გრძელვადიანი განსახლება);

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, დევნილთა მართლზომიერ სარგებლობაში მყოფი საცხოვრებელი ობიექტების კერძო საკუთრებაში გადაცემა/დაკანონება (გრძელვადიანი განსახლება);



დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მათთვის ფულადი დახმარებების გაცემა და დროებითი საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისთვის დევნილთა მატერიალური უზრუნველყოფა (ფულადი დახმარება);

დევნილთა საკუთრებაში მყოფ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება და მათ მიერ შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები);

სავალალო მდგომარეობაში მყოფი დევნილთა ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების შესწავლა და რეაბილიტაცია, გარდა იმ ობიექტებისა, რომლებიც სრულად კერძო საკუთრებაშია;

დევნილთა ყოფილი ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება (ადმინისტრაციული ხარჯი).

**7.1.4 საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 27 06 04)**

ქართული ენის შემსწავლელი კურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ საინფორმაციო კურსების ორგანიზება;

საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ საინფორმაციო კურსების ორგანიზება;

საქართველოს კანონმდებლობის იმ მიმართულებების შესახებ საინფორმაციო კურსის ორგანიზება, რომლებიც დაეხმარება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზებაში, განათლების მიღებაში და სხვა;

სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება, ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია;

საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

**7.1.5 საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 27 06 05)**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და ეკომიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ინტეგრაციისთვის მიზნობრივი პროექტებისა და პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

**7.2 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 22 00)**

კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის, მათ შორის, შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის, განხორციელება და კოორდინაცია,



ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის – ჩართულობა თანამშრომლობის გზით, აგრეთვე ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელება, სამშვიდობო ინიციატივის – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ განხორციელების კოორდინაცია, ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით სამთავრობო კომისიის საქმიანობის ხელმძღვანელობა და საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა; ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისება, ეკონომიკური კავშირების ხელშეწყობა სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული სტატუსნიეტრალური ინსტრუმენტებისა და ფინანსური მექანიზმების, მათ შორის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“, გამოყენებით; გამყოფი ხაზების გასწვრივ ეკონომიკური სივრცის, არსებული სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, ახალი სერვისების დანერგვა და ამოქმედება;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მასალისა და ტექნიკის, მცენარეთა მოვლის საშუალებების მიწოდებისა და მავნებლებთან ბრძოლაში დახმარების გაწევის ხელშეწყობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე გარემოს დაცვის, ბუნებრივ და ადამიანის მიერ გამოწვეულ კატასტროფებზე რეაგირების ხელშეწყობა;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის საქართველოს მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე ხარისხიანი განათლების ყველა საფეხურის წვდომის ხელშეწყობა, აგრეთვე საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა; მათი პროფესიული განათლების სისტემაში ჩართვის ხელშეწყობა; მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარების უზრუნველყოფა სტატუსნიეტრალური მექანიზმის გამოყენებით; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების მიერ განათლების მშობლიურ ენაზე მიღების ხელშეწყობა; მათთვის სასწავლო პროცესის სხვადასხვა (მათ შორის, დისტანციური) ფორმით შეთავაზების მხარდაჭერა; აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების ხელშეწყობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების სამეცნიერო პროგრამებში ჩართვის გამარტივება და სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობა;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გამარტივება და გაუმჯობესება; მოქალაქის პასპორტის ხელმისაწვდომობისა და სამოქალაქო აქტების გაცემის გამარტივების ხელშეწყობა;

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების სახელმწიფო რეფერალურ და სხვა შესაბამის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველყოფა; ოკუპირებული ტერიტორიებისთვის სხვადასხვა მედიკამენტისა და სამედიცინო ტექნიკის მიწოდება; პანდემიასთან საბრძოლველად სათანადო დახმარების აღმოჩენა;

ევროინტეგრაციის პროცესის სხვადასხვა საჭირო საკითხზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების ცნობიერების ამაღლება; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან, მათ შორის, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებიდან, და საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლიდან გამომდინარე ყველა სარგებლისა და შესაძლებლობის შეთავაზება;

საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობების





კოორდინაცია; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მათი ჩართულობისა და საქმიანობის ხელშეწყობა; ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელება; არაფორმალური დიალოგის სხვადასხვა პლატფორმისა და ორმხრივი შეხვედრების მხარდაჭერა;

საერთაშორისო პარტნიორებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება; ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მეორე სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობა; გალსა და ერგნეთში გამართულ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრებში მონაწილეობა; საქართველოში და საზღვარგარეთ გამართულ ღონისძიებებში, საერთაშორისო ფორუმებსა და ფორმატებში მონაწილეობა;

შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის საერთაშორისო მხარდაჭერის უზრუნველყოფა; ფინანსური დახმარების მობილიზება;

1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიების, იდენტიფიცირებისა და ოჯახებისთვის გადაცემის პროგრამის შემდგომი მდგრადობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის კომპეტენციის ფარგლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიებისა და გადმოსვენების ღონისძიებების ორგანიზება; წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ეგიდით, 1992-1993 წლების შეიარაღებულ კონფლიქტსა და მის შემდგომ პერიოდთან დაკავშირებით უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების შესახებ ჩამოყალიბებულ ქართულ-აფხაზურ საკოორდინაციო მექანიზმსა და სამედიცინო ექსპერტიზის სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა;

შეიარაღებული მოქმედებების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიებისა და გადმოსვენების უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის ხელმძღვანელობა და ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა; უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე საინფორმაციო სესიებში, საკოორდინაციო და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა; მათი იდენტიფიკაციის მიზნით ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერების უზრუნველყოფაში მონაწილეობა; პირთა უგზო-უკვლოდ დაკარგვის თემაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და სიმბოლური/მემორიალური ღონისძიებების ორგანიზებაში ჩართულობა; უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ოჯახებთან შეხვედრა და კომპეტენციის ფარგლებში მათი საჭიროებების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ბედისა და ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება; პოტენციური სამარხების მდებარეობის განსაზღვრა და სამარხების გახსნის დაგეგმვა; ნეშტების ექსჰუმირებასა და იდენტიფიცირებაში მონაწილეობა; ოჯახის წევრების ინფორმირება უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების ბედის შესახებ, ხოლო მათი გარდაცვალების დადასტურების შემთხვევაში – ნეშტების ადგილსამყოფლის თაობაზე; ოჯახის წევრებისთვის მათი ნეშტების გადაცემა, ამოცნობილი ნეშტების დაკრძალვის ორგანიზება და ხარჯების დაფარვის კოორდინაცია; გენეტიკური საქსპერტო მომსახურების გაწევა, კერძოდ: უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ოჯახის წევრებისა და ბიოლოგიური ნათესავების ბიოლოგიური ნიმუშების აღება, დაარქივება (შენახვა) და შემდგომი გენეტიკური გამოკვლევა-პროფილირება;

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და ექსპერტებთან თანამშრომლობა, მათ შორის, არსებული პლატფორმების ფარგლებში;

სამშვიდობო პროცესში ქალთა და ქალთა საკითხებზე მომუშავე



ორგანიზაციების, აგრეთვე კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების როლისა და ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა; კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირება; თანამშრომლობის პლატფორმების ეფექტიანი ფუნქციონირება;

სამშვიდობო პროცესში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და, ზოგადად, დაინტერესებული ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა;

გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის თანათავმჯდომარეობა; გამყოფი ხაზების სიახლოვეს მდებარე რეგიონების განვითარების ხელშეწყობა; გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების გაწევა, ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფა; მოსახლეობისთვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

დაზარალებულ სოფლებში ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება; მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონში ოჯახების დაბრუნების პროცესის ხელშეწყობა, ნებაყოფლობით დაბრუნებული მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მისი საოჯახო მეურნეობების განვითარების მიზნით მატერიალური დახმარების გაცემა;

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით გრძელვადიანი და შეუქცევი პოზიტიური ცვლილებების განხორციელების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; შესაბამისი პოლიტიკის განსახორციელებლად განსაზღვრული ხუთი პრიორიტეტული მიმართულებით – სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად; ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა; თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა; სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია; კულტურათათმორისი დიალოგი – განსაზღვრული მიზნებისა და დაგეგმილი კონკრეტული ამოცანების ეფექტიანი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება, სტრატეგიული პრიორიტეტების, თითოეული დასახული ამოცანის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისა და ახალგაზრდების გაძლიერების მიზნით ეფექტიანი მექანიზმების განვითარება და ხელშეწყობი მიზნობრივი პროგრამების განხორციელება, აგრეთვე მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის პროაქტიული მიდგომების დანერგვასა და თანასწორობაზე ფოკუსირებული პოლიტიკისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა;

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიზნით სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება და პოპულარიზაცია ფორმალურ განათლებაში (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება); სახელმწიფო ენის ცოდნის გაძლიერება ზრდასრულებსა და არაფორმალურ განათლებაში; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია, ფუნქციონირების მხარდაჭერა და გამოყენებაზე ზედამხედველობა; სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის უზრუნველყოფა;

ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;



ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა პროფესიული და უმაღლესი განათლების მისაღებად;

განათლების მიღმა დარჩენილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პირების (შშმ პირები და ბოშები) საგანმანათლებლო შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობა; სამოქალაქო თანასწორობის ხელშეწყობა და კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაცია ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში;

მმართველობისა და თვითმმართველობის განხორციელების პროცესებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის ხელშეწყობა; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებების ეფექტიანი რეალიზების მექანიზმების განვითარება; ეთნიკური უმცირესობების ენებზე მედიაპროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება; მედიაწიგნიერების განვითარების მხარდაჭერა; სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკისა და ანტიდისკრიმინაციულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში; მართლმსაჯულების სისტემისა და სამართალდამცავი ორგანოების მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ხარისხიანი იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა;

სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გაზრდა; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარება; ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის, მცირე ეთნოსების, წარმომადგენელი მოქალაქეების პერსონალური მონაცემების დაცვისა და თვითიდენტიფიცირების საფუძველზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება და კულტურათათმორისი დიალოგის ხელშეწყობა;

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;

მასობრივი ინტერკულტურული სპორტისა და მულტიკულტურალიზმის მხარდაჭერა, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი სივრცეების/ინფრასტრუქტურის განვითარება.

### 7.3 იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 25 06)

იძულებით გადაადგილებულ პირთათვის – დევნილთათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და მათი გრძელვადიანი განსახლების მიზნით მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა.

## 8 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

გაგრძელება და გაფართოვდება კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები და ღონისძიებები „კულტურის სტრატეგია 2025“-ის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. კულტურის სფეროს მხარდაჭერისთვის განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- გაიზრდება ფართო საზოგადოებისთვის კულტურის ხელმისაწვდომობა; უზრუნველყოფილი იქნება კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნება;



- დაიხვეწება კულტურის სფეროს, მათ შორის, კულტურული (მატერიალური, არამატერიალური, ბუნებრივი) მემკვიდრეობის სფეროს, მარეგულირებელი კანონმდებლობა;
- შეიქმნება კულტურის მართვის მოქნილი, ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებული მოდელი და დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმი;
- შემუშავდება სახელოვნებო განათლების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; განხორციელდება ქმედითი ღონისძიებები სახელოვნებო განათლების, მათ შორის, ნაკლებად მოთხოვნადი სპეციალობების, ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და ხარისხის გასაუმჯობესებლად; შემუშავდება დაფინანსების მექანიზმები;
- მოსახლეობის ფართო ფენებისთვის, მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის, განხორციელდება ღონისძიებები კულტურის პოპულარიზაციის მიზნით;
- ხელი შეეწყობა საქართველოში, მის რეგიონებში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას, ადგილობრივი სახელოვნებო ინსტიტუტებისა და კოლექტივების ქვეყნის ერთიან კულტურულ სივრცეში ჩართულობას;
- ხელი შეეწყობა ხელოვნების დარგების პროფესიული ღონის ამაღლებას, ხელოვნებაში ახალი სახეების, ფორმებისა და გამომსახველობითი საშუალებების წარმოჩენას; სახელოვნებო ინსტიტუტებისა და კოლექტივების საქმიანობა გაფართოვდება და ახალი შემოქმედებითი პროდუქტებით შეივსება;
- კულტურული მემკვიდრეობის სფეროს განვითარებისთვის მოხდება მისი მართვის მოდერნიზაცია, ახალი კადრების მოზიდვა და რესურსების მობილიზება პრიორიტეტული მიმართულებების განსახორციელებლად, დაინერგება ახალი ინიციატივები და თანამედროვე ტექნოლოგიები, ეტაპობრივად მოწესრიგდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა;
- კულტურის რესურსი აქტიურად იქნება გამოყენებული ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და შემოქმედებითი მეწარმეობის განვითარებისთვის; შემუშავდება და განხორციელდება სპეციალური პროგრამები კულტურის რესურსის მნიშვნელობისა და გამოყენების შესაძლებლობების, შემოქმედებითი ეკონომიკისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების ადგილობრივ პრაქტიკაში გამოყენების შესახებ;
- განმტკიცდება საერთაშორისო კულტურული ურთიერთობები ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში; გაგრძელდება ევროინტეგრაციის პროცესი; განხორციელდება ღონისძიებები საქართველოს და მისი კულტურის შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობისთვის; გაუმჯობესდება საერთაშორისო პროგრამებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მაჩვენებელი;
- განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად;
- განვითარდება და ეფექტიანად იქნება გამოყენებული ახალი ტექნოლოგიები, მოხდება კულტურის ციფრულ სივრცეში ინტეგრაცია.

გაგრძელდება სპორტის სფეროს ხელშეწყობა. ამ მიზნით განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:



- სახელმწიფო გააგრძელებს მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის დაფინანსებას;
- მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, განხორციელდება ღონისძიებები მასობრივი სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობისთვის;
- პროფესიული სპორტის განვითარებისთვის გაგრძელდება საქართველოს ნაკრები გუნდების მზადება და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა, სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების მოწყობა, საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარება, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და სპორტის ეროვნული სახეობების განვითარების ხელშეწყობა;
- ხელისუფლების მიერ ქმედითი პოლიტიკის განხორციელების შედეგად გაიზრდება პროფესიულ და მასობრივ სპორტში ჩაბმულ პირთა, მათ შორის, ბავშვებისა და მოზარდების, რაოდენობა;
- გაგრძელდება სპორტის სხვადასხვა სახეობაში საერთაშორისო ჩემპიონატების/ტურნირების საქართველოში მასპინძლობის აქტიური მხარდაჭერა;
- ხელი შეეწყობა უმაღლესი, აკადემიური და პროფესიული სასპორტო განათლების განვითარებას, გაიზრდება მისი ხელმისაწვდომობა;
- გაგრძელდება დამსახურებული სპორტის მოღვაწეებისა და ვეტერანი სპორტსმენების, მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების სოციალური მხარდაჭერის პროგრამების, ოლიმპიური ჩემპიონების, პერსპექტიული და საერთაშორისო ასპარეზზე გამარჯვებული სპორტსმენების მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება;
- შეიქმნება სპორტული დავების განხილვის ქმედითი სისტემა; დაინერგება სპორტსმენთა უფლებების დაცვისა და მათი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვის მოდელი;
- სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მართვის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად, შეიქმნება სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის ქმედითი მოდელი, რომელიც საჯარო და კერძო სექტორების ეფექტიან თანამშრომლობაზე იქნება დაფუძნებული; აშენდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული მოედნები, დარბაზები და სპორტის სასახლეები, მასობრივი სპორტული ობიექტები.

ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით:

- დასრულდება 2019 წელს დაწყებული ახალგაზრდული სფეროს რეფორმა;
- გაგრძელდება და გაძლიერდება ახალგაზრდული საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერა; განვითარდება ახალგაზრდული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- განხორციელდება ღონისძიებები ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის აღიარებისა და პროფესიული სტანდარტის შემუშავებისთვის; ხელი შეეწყობა ახალგაზრდული მუშაკების განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების განვითარებას;
- დაიხვეწება ჰობი-განათლების სისტემა და ხელი შეეწყობა რეკრეაციული ახალგაზრდული საქმიანობის პროგრამების განხორციელებას;



- გაიზრდება მუნიციპალიტეტების როლი ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით; ხელი შეეწყობა მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებას;
- დაიხვეწება ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის მექანიზმები და პლატფორმები;
- შემუშავდება არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდული სივრცეების განვითარებას, ახალგაზრდების ინფორმირების მექანიზმების ჩამოყალიბებას და ახალგაზრდებში სამეწარმეო და მოხალისეობრივი კულტურის, სხვადასხვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას;
- გაფართოვდება საერთაშორისო თანამშრომლობა ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით;
- გაგრძელდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ახალგაზრდების შესაძლებლობების გაძლიერებასა და ჩართულობაზე ორიენტირებული პროგრამების განხორციელება.

**8.1 მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 33 07)**

საქართველოში სპორტის განვითარებისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების მომზადება და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, ეროვნული ჩემპიონატები, საერთაშორისო ტურნირები, პარიზის 2024 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო შეჯიბრებები და სხვა) მონაწილეობა; მათი მომზადების ეტაპზე სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების მოწყობა, საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარება; სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და სპორტის ეროვნული სახეობების განვითარების ხელშეწყობა;

მასობრივი სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და პოპულარიზაცია; მოძრაობის „სპორტი ყველასათვის“ განვითარება; მასობრივი სპორტული ღონისძიებების გამართვა; ოლიმპიური, პარალიმპიური, სურდლიმპიური, სპეციალური ოლიმპიური და სხვა მოძრაობების განვითარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა;

სპორტულ ორგანიზაციებში „კარგი მმართველობის“ პრინციპების დასანერგად დაგეგმვის ეტაპზე მონაწილეობა და სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის მონიტორინგი;

სპორტული ფედერაციებისა და რეგიონული სპორტული ორგანიზაციებისთვის გადასაცემად სპორტული ინვენტარისა და ეკიპირების შეძენა;

საქართველოში სპორტის სხვადასხვა სახეობაში საერთაშორისო შეჯიბრებების მასპინძლობა და მასობრივი სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე ორგანიზება; საერთაშორისო მასშტაბით ქვეყნის ცნობადობის გაზრდა და იმიჯის ამაღლება, სპორტული ტურიზმის განვითარება;

საქართველოში ფეხბურთის განვითარებისთვის საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილე კლუბების საბაზისო დაფინანსება და



ფინანსური სტიმულირება;

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილე კლუბების საპრიზო და საპრემიო ფონდის განკარგვა;

მასობრივი საფეხბურთო ღონისძიებებისა და საფეხბურთო განათლების ხელშეწყობი პროგრამების განხორციელება.

## 8.2 მაუწყებლობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 42 00)

საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით გადაცემების, მათ შორის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, ფილმებისა და სპორტული ღონისძიებების მომზადება და მათი გაშუქების უზრუნველყოფა.

## 8.3 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 05)

ხელოვნების დარგების განვითარების, სახელოვნებო ტრადიციების შენარჩუნების, ხელოვნებაში უახლესი ტექნოლოგიების, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების, ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა;

საქართველოში კულტურული ცხოვრების გააქტიურება, მასში საზოგადოებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობის მხარდაჭერა;

ევროპისა და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფონდებთან თანამშრომლობით კულტურული პროგრამების განხორციელება და კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ;

კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების „კულტურის სტრატეგია 2025“-ის შესაბამისად განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;

ქართული კულტურისა და ხელოვნების ცნობადობის გაზრდა და მათი საერთაშორისო სახელოვნებო სივრცეში ინტეგრაცია;

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – სახელოვნებო ორგანიზაციების პროგრამების მხარდაჭერა;

მოქალაქეთათვის ქვეყნის კულტურული ცხოვრების შეუზღუდავი, თანაბარი ხელმისაწვდომობისა და მასში ჩართულობის უზრუნველყოფა;

საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში კულტურული პროგრამებისა და პროექტების მხარდაჭერით ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანა;

ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და საერთაშორისო ცნობადობის ამაღლების მიზნით ქვეყნის შიგნით და მისი ფარგლების გარეთ დაგეგმილ ღონისძიებებში საქართველოს მონაწილეობის ხელშეწყობა.

## 8.4 ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 33 03)

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და



სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება;

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული მოედნების, დარბაზებისა და სპორტის სასახლეების, საწყლოსნო ბაზების, აგრეთვე მასობრივი სპორტული ობიექტების (გარე სავარჯიშო ტრენაჟორები, მინიმოედნები, სარბენი ბილიკები და ველობილიკები) მშენებლობა;

სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის ქმედითი მოდელის დანერგვის ხელშეწყობა.

8.5

### **კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (პროგრამული კოდი 33 06)**

საჯარო სამართლის იურიდიული პირების – კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციების სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, სამუზეუმო ფასეულობათა დაცვისთვის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, მუზეუმების/მუზეუმ-ნაკრძალების პოპულარიზაცია და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრაცია;

სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის ელექტრონული სისტემის ([www.egmc.gov.ge](http://www.egmc.gov.ge)) შენახვა/ადმინისტრირება;

საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების, კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და რეაბილიტაცია, საერთაშორისო და ორმხრივი ურთიერთობების წარმართვა და განვითარება, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;

იუნესკოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების/ძეგლების ინვენტარიზაცია, მათი დაცვისა და სისტემატიზაციის მექანიზმების შექმნა;

საქართველოს კანონმდებლობის იუნესკოს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან ჰარმონიზაციისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის/სივრცის შესაქმნელად კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი ბაზის შევსება;

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოების აღკვეთა; კულტურული ტურიზმის განვითარებისა და მისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნის ხელშეწყობა;

ლევლის მამულის რეაბილიტაციის გაგრძელება.

8.6

### **საქართველოს საპატრიარქო (პროგრამული კოდი 45 00)**

ახალგაზრდების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდისთვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (მათ შორის, მაღალმთიან რეგიონებში) საქართველოს საპატრიარქოს 70-ზე მეტი საგანმანათლებლო-კულტურული





და საქველმოქმედო ორგანიზაციის (სასულიერო აკადემიები და სემინარიები, უნივერსიტეტი, სკოლა-გიმნაზიები, დედათა და ბავშვთა სახლები, ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონები, სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი, პროფესიული კოლეჯი და სახელობო სასწავლებლები) დაფინანსება.

**8.7 კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 33 08)**

საქართველოში მცხოვრები ოლიმპიური და პარალიმპიური თამაშების ჩემპიონებისა და პრიზიორებისთვის და საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულთათვის, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებისთვის, საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრებისთვის, მწვრთნელებისთვის, ადმინისტრაციული და საექიმო პერსონალისა და პერსპექტიული სპორტსმენებისთვის ყოველთვიური სტიპენდიის გაცემა;

ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკებისთვის ყოველთვიური სოციალური დახმარებების გაცემა;

მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისთვის ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაცემა;

სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრების, რუსთაველის პრემიის ლაურეატებისა და ხელოვნების მუშაკთა სოციალური დახმარებების გაცემა.

**8.8 კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 33 01)**

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კომპეტენციის შესაბამისი სფეროს/დარგის/მიმართულების განვითარების ხელშეწყობა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მართვის სისტემების განვითარების ხელშეწყობა;

ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფონდებთან თანამშრომლობით საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება;

კომპეტენციის ფარგლებში სფეროების პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ეფექტიანი პოლიტიკის გატარება, სფეროების განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

**8.9 სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (პროგრამული კოდი 50 00)**

საქართველოში რელიგიის სფეროში არსებული მდგომარეობის კვლევა და შესაბამისი ინფორმაციის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;

რელიგიური გაერთიანებების პრობლემებისა და რელიგიის სფეროში განათლების შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება;



საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა, ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების უზრუნველყოფა.

## 8.10 ახალგაზრდობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 09)

ეროვნულ და მუნიციპალიტეტების დონეებზე მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული, მონაწილეობითი ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და კოორდინაციის ხელშეწყობა;

ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნისთვის აუცილებელი, ევროპული მოდელის ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემის შექმნა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ახალგაზრდების, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრების, მონაწილეობა და ღირსეული დასაქმება, დაცული იქნება ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა და თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია, რესურსები და განვითარების შესაძლებლობები;

ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა;

ახალგაზრდული მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება.

## 9 საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

ქვეყნის უსაფრთხოების, ინსტიტუციური დემოკრატიის განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობა უწყევად გააგრძელებს პრაგმატულ, მტკიცე, ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამის, შედეგებზე ორიენტირებულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს.

საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტად რჩება მისი სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა.

საქართველოს და ევროკავშირის თანამშრომლობის არსებული ინსტრუმენტებისა და მექანიზმების მაქსიმალურად გამოყენებასთან ერთად, მთელი ძალისხმევა მიმართული იქნება აგრეთვე ახალი შესაძლებლობების შექმნისკენ, საქართველოს ევროკავშირში გაწევრებით ქვეყნისა და მისი მოსახლეობისთვის უფრო ხელშესახები და პრაქტიკული შედეგების მოსატანად.

ნატოში გაწევრება საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტია. საქართველო, როგორც ასპირანტი ქვეყანა, გააგრძელებს მის ხელთ არსებული ყველა პოლიტიკური და პრაქტიკული მექანიზმის და ორმხრივი თანამშრომლობის შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა და ნატოს წევრობის პერსპექტივის კიდევ უფრო მოახლოებისთვის.

გაგრძელდება ინტენსიური მუშაობა საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობის



გაღრმავების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება და დეოკუპაცია, სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოს შემდგომი მხარდაჭერა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციისთვის.

საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორმხრივი ურთიერთობების გამყარება, არსებული ფორმატების თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანა და თანამშრომლობის ახალი სფეროების მოძიება.

გააქტიურდება ძალისხმევა რეგიონში დაბალანსებული და ურთიერთსასარგებლო, პარტნიორულ თანამშრომლობაზე დამყარებული პოლიტიკის განსახორციელებლად.

მსოფლიოში სწრაფად ცვალებადი გეოპოლიტიკური გამოწვევების ფონზე საქართველოსთვის, როგორც პატარა ქვეყნისთვის, სხვა ფაქტორებთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრავალმხრივ ფორმატებში საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებში აქტიური ჩართულობა. საზღვარგარეთ საქართველოს პოპულარიზაცია მნიშვნელოვანი საშუალებაა ქვეყნის ცნობადობის ამაღლებისა და მის მიერ უფრო მეტი მეგობრისა და გულშემატკივრის შექმნისთვის.

განსაკუთრებულ ყურადღებასა და ხელშეწყობას საჭიროებს საზღვარგარეთ ქართული დიასპორა. ამისთვის მნიშვნელოვანია დიასპორასთან ურთიერთობებში სისტემური მიდგომის დანერგვისა და დიასპორული ინიციატივების წახალისების მიზნით სხვადასხვა საგრანტო პროგრამისა და პროექტის განხორციელება და ყურადღების გამახვილება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში დიასპორის ჩართულობისა და უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში ღირსეულად დაბრუნების ხელშეწყობის საკითხებზე.

მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეებზე ზრუნვა, კერძოდ: საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ეფექტიანი დაცვა; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთათვის შესაბამისი სერვისების მიწოდების არეალის გაზრდა, მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოებით; საქართველოს მოქალაქეთათვის საზღვარგარეთ უვიზო მიმოსვლის არეალის გაფართოება; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების გაძლიერება შესაძლო კრიზისულ სიტუაციებში სამოქმედოდ.

## 9.1 საგარეო პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 28 01)

საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცება და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობის მიზნით საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის კონსოლიდაცია;

მოლაპარაკებების ფორმატების ეფექტიანი გამოყენება რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად შექმნილ უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ



გამოწვევებთან გამკლავების მიზნით;

საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობისა და ხელშეწყობის გაზრდა შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის განხორციელებაში; არალიბრების პოლიტიკის კონსოლიდაცია საერთაშორისო ასპარეზზე;

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესება და რუსეთის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულების საკითხის გააქტიურება და საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების ცენტრში მოქცევა;

საქართველოს ევროკავშირში სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის ევროკავშირთან თანამშრომლობის ყველა არსებული მექანიზმისა და ფორმატის გამოყენება და გაღრმავება; ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება;

საქართველოს მიერ საბოლოო მიზნის მისაღწევად – ნატოში გაწევრებისთვის ინტეგრაციული მექანიზმების (ნატო-საქართველოს კომისია, წლიური ეროვნული პროგრამა და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი) ეფექტიანი გამოყენება; ალიანსთან პოლიტიკური და პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავება; ნატოსთან შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით თანამშრომლობის გაღრმავება;

საქართველოს ინტერესების განსახორციელებლად ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ევროპის, აზიისა და ოკეანეთის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია და ახალ საფეხურზე აყვანა;

რეგიონალური სტაბილურობის ხელშეწყობისთვის, აგრეთვე რეგიონის მიმზიდველობის გასაზრდელად ქმედითი და დაბალანსებული რეგიონალური პოლიტიკის განხორციელების გაგრძელება;

მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია, საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში აქტიური მონაწილეობა და ქვეყნის ეროვნული ინტერესების დასაცავად შესაბამისი პოლიტიკის განხორციელება/პოზიციონირება;

აქტიური ეკონომიკური დიპლომატიის განხორციელება;

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მიზნებისა და დღის წესრიგის შესახებ საზოგადოების ინფორმირება და მისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

საზღვარგარეთ საქართველოს პოზიტიური იმიჯის პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ქართული კულტურისა და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობა;

დიასპორის ერთიანობის, სიძლიერისა და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის განვითარების უზრუნველყოფა;

საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა ეფექტიანი მომსახურება, კრიზისულ სიტუაციებში მათთვის შესაბამისი დახმარების გაწევა, მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის გაუმჯობესება.



ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში დღის წესრიგითა და მანდატით გათვალისწინებულ მთავარ საკითხებზე პროგრესის მიღწევა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესება და რუსეთის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულების საკითხის გააქტიურება და საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების ცენტრში მოქცევა;

საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის შედეგად საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის უკანონო ქმედებების აღკვეთა;

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელება და გაძლიერება;

საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე. წ. დამოუკიდებლობის აღიარების რისკებისა და საფრთხეების განეიტრალება;

საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობის გაზრდა შერიგების, ნდობის აღდგენისა და ჩართულობის პროცესებში;

საქართველოს ევროკავშირში გაწევრების მიზნის მისაღწევად აუცილებელი პრიორიტეტების შესრულება; საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტიანი შესრულება;

ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და საქართველოს შორის პოლიტიკური დიალოგისა და პრაქტიკული თანამშრომლობის პოზიტიური დინამიკის შენარჩუნება და გაძლიერება გაწევრების პროცესში პროგრესის მიღწევის მიზნით;

ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხორციელება; ქარტიით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და ინიციატივების პროექტებში ასახვა; ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობების გაღრმავება;

საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავება აზიისა და ოკეანეთის ქვეყნებთან; ხალხთა შორის კავშირების ხელშეწყობა, ინვესტიციების მოზიდვა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება;

ორმხრივი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა სახის თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის/აფრიკის კონტინენტის ქვეყნებს შორის; საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის შენარჩუნება/განმტკიცება; საერთაშორისო ფორმატებში საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მხარდაჭერის მოპოვება/გაზრდა; საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ცნობადობის ამაღლება;

საერთაშორისო ორგანიზაციების (გაეროს, ეუთოს, ევროპის საბჭოს) დღის წესრიგში, ზოგადად, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებული თემატიკის, დაყენებისა და შენარჩუნების უზრუნველყოფა;



სამინისტროს კოორდინაციით გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ანგარიშების მომზადება და საპარლამენტო განხილვების დასრულების შემდეგ შესაბამისი კომიტეტის თვის წარდგენა;

საზღვარგარეთ საქართველოს და მისი კულტურის ცნობადობის ამაღლება; ორმხრივი კულტურული ურთიერთობების განვითარება; იუნესკოს პროექტებსა და პროგრამებში ჩართვა;

საზღვარგარეთ საქართველოს ცნობადობის ამაღლება; საქართველოს მთავრობის მიერ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით გატარებული რეფორმების შესახებ პარტნიორების ინფორმირება/მხარდაჭერის გაძლიერება; საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების შესახებ ქვეყნის მოსახლეობის მხარდაჭერის შენარჩუნება და გაძლიერება; საქართველოს მოსახლეობაზე მზარდი ანტიდასავლური პროპაგანდის ზეგავლენის პრევენცია და შემცირება;

საკონსულო სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; საკონსულო, რეადმისიის და ცირკულარული მიგრაციის მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის განსავითარებლად ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

**9.1.2 საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 28 01 02)**

საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ყოველწლიური ფინანსური ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა მრავალმხრივი დიპლომატიის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

**9.1.3 საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (პროგრამული კოდი 28 01 03)**

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების თარგმნა/დამოწმება;

სათარგმნი მასალის, სხვადასხვა ოფიციალური შეხვედრის სინქრონული თარგმნით მომსახურების და გასაფორმებელი კონტრაქტების რაოდენობების გაზრდა;

თარჯიმანთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების დონის ამაღლება;

თარგმნის პროცესში წარმოქმნილი კონკრეტული უზუსტობებისა და სიძნელეების გასარკვევად მთარგმნელებისთვის პერიოდულად პრაქტიკული სემინარების, ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარების მიზნით უცხოური ენის მცოდნე, სხვადასხვა სფეროში მომუშავე სპეციალისტების მოწვევა, აგრეთვე დიპლომატიური თანამშრომლების მოწვევა, რომლებიც უცხო ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში მუშაობენ;

უცხო ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით თანამედროვე განმარტებითი და ტექნიკური ლექსიკონების, საცნობარო და მეთოდური ლიტერატურის, აგრეთვე თანამედროვე ელექტრონული ლექსიკონების შექმნა;



საქართველოს სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო უწყებებისგან, აგრეთვე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისგან ინფორმაციის მიღება იმ ხელშეკრულებების შესახებ, რომლებიც შესაძლოა/უნდა იქნეს დადებული, აგრეთვე კონვენციებსა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შეერთების თაობაზე, სავარაუდო დროისა და მოცულობის მითითებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროს მუშაობის კოორდინაციისა და ძალების უკეთ განაწილების მიზნით.

9.1.4 **დიასპორული პოლიტიკა (პროგრამული კოდი 28 01 04)**

საზღვარგარეთ ქართულ დიასპორასთან კავშირისა და ურთიერთობების ინტენსიფიკაცია და სისტემატიზაცია, პრობლემების ერთიანი ძალისხმევით გადაჭრა; საზღვარგარეთ ქართული დიასპორის ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების ქვეყნის განვითარებისა და მსოფლიოს მასშტაბით საქართველოს პოპულარიზაციისა და პოზიტიური იმიჯის განმტკიცების პროცესებში მონაწილეობა.

9.1.5 **ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის თაობაზე საზოგადოების ინფორმირება (პროგრამული კოდი 28 01 05)**

საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრების უპირატესობის, სარგებლისა და შესაძლებლობის წარმოჩენა ქვეყნის მოსახლეობისთვის მარტივად გასაგები, ობიექტური ინფორმაციის რეგულარული მიწოდებით და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით;

საერთო დასავლური ღირებულებების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისთვის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ობიექტური და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება;

საზოგადოებაში საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებული მოლოდინის მართვა;

დასახული მიზნების განხორციელებისთვის სხვადასხვა სამთავრობო უწყებასა და არასამთავრობო ორგანიზაციასთან, დიპლომატიურ კორპუსსა და მედიასთან აქტიური თანამშრომლობა;

ინფორმაციის გამავრცელებელ ჯგუფებთან, მოსწავლეებთან/სტუდენტებთან, მასწავლებლებთან, საჯარო მოხელეებთან/ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სასულიერო პირებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, ეთნიკურ უმცირესობებთან, გამყოფ ხაზებთან ახლოს მდებარე სოფლების მოსახლეობასთან, სამხედრო მოსამსახურეებთან, ფერმერებთან/მეწარმეებთან და სხვა პირებთან აქტიური კომუნიკაციის გაგრძელება საჯარო დისკუსიების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების, საზაფხულო სკოლების, სასწავლო ვიზიტებისა და საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით.



სოფლის მეურნეობის სფეროს გასაძლიერებლად საქართველოს მთავრობა განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- სოფლის მეურნეობის სფეროში განსახორციელებელი პროგრამები ორიენტირებული იქნება ადგილობრივი პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის გაზრდაზე;
- ფინანსური ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობის გაზრდის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებისა და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების ხელშეწყობის მიზნით გაგრძელდება ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა;
- გაგრძელდება და უფრო მასშტაბური გახდება: ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების პირველადი წარმოების ხელშეწყობა; გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი; სათბურების თანადაფინანსების ღონისძიებები; მოსავლის ამდები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა; მეცხოველეობის განვითარების მიმართულებით არსებული პროგრამები; საქართველოს საზღვაო და შიდა წყლებში აკვაკულტურის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურისა და მომსახურების ხელმისაწვდომობა;
- უზრუნველყოფილი იქნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების მაღალი ხარისხი და ხელმისაწვდომობა;
- სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის გაგრძელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისა და ხელშეწყობის პროგრამების განხორციელება;
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებელი პირებისთვის რისკების შესამცირებლად გაგრძელდება და დაიხვეწება აგროდაზღვევის პროგრამა;
- არახელსაყრელი ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენისგან, კერძოდ, სეტყვისგან, დასაცავად შიდა ქართლი, კახეთის მსგავსად, უზრუნველყოფილი იქნება სეტყვისგან დამცავი სისტემებით;
- ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და მოსავლიანობის გაზრდისთვის გაგრძელდება სოფლის მეურნეობის სფეროში მავნე ორგანიზმებისა და ბუნებრივი კატასტროფების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ეფექტიანი სისტემების სრულყოფა;
- ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე არსებული სიტუაციის შესაბამისად დაიგეგმება სასოფლო-სამეურნეო კულტურების რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამები;
- აქტიურად გაგრძელდება მუშაობა ახალი ბაზრების ათვისებისთვის და არსებულ ბაზრებზე პოზიციების გაუმჯობესება;
- სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების სტიმულირებისთვის შემუშავდება სპეციალური პროგრამები;





- განხორციელდება ღონისძიებები ქალ ფერმერთა და მეწარმეთა განვითარებისთვის;
- 2020–2024 წლებში გაგრძელდება ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის ღონისძიებების/ინფორმირებულობის გაზრდის უზრუნველყოფა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;
- მომდევნო 3 წლის განმავლობაში განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია;
- განხორციელდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაცია; 10 ჰექტრამდე იჯარით აღებული მიწის გადაცემა მოხდება პირდაპირი მიყიდვის წესით;
- შედგება საქართველოს მიწის ბალანსი, აღირიცხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსები და შეიქმნება მიწის ფონდის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზა;
- გაგრძელდება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სფეროების კანონმდებლობის ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოება;
- ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებზე ფალსიფიცირებული და უხარისხო ღვინოპროდუქციის აღკვეთისთვის გააქტიურდება ლაბორატორიული კვლევები;
- მიწის ფართობების წყლით უზრუნველსაყოფად მომდევნო წლებში განხორციელდება 220 მილიონ ლარზე მეტის ინვესტიცია, რაც დამატებით 40 000 ჰექტრამდე ფართობის გასარწყავებას უზრუნველყოფს და 1000 ჰექტრამდე ფართობის დაშრობას გამოიწვევს;
- აქცენტი გაკეთდება გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელებასა და ბიოწარმოების განვითარების ხელშეწყობაზე.

10.1

### ერთიანი აგროპროექტი (პროგრამული კოდი 31 05)

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და შენახვა-რეალიზაციის განმახორციელებელი საწარმოების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა;

აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ფერმერებისთვის შემოსავლების შენარჩუნების და რისკების შემცირების ხელშეწყობა;

სანერგე მეურნეობების მოწყობის და მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა;

საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, ჩაის წარმოების სექტორში ეფექტიანი კოოპერაციის ჩამოყალიბება/ხელშეწყობა და მაღალი ხარისხის ჩაის წარმოების ხელშეწყობა;

იმპორტის ჩამანაცვლებელი პროდუქციის წარმოებისა და ადგილობრივი სანედლეულო ბაზის განვითარებისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების (ინფრასტრუქტურის)



შექმნა და თანამედროვე საწარმოო ხაზით/ტექნოლოგიებით აღჭურვა;

ფერმათა/ფერმერთა რეესტრის ერთიანი სისტემის მოსაწესრიგებლად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებელი პირების ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნა;

მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსება;

პროექტების ტექნიკური მხარდაჭერა;

მწარმოებელი კოოპერატივების შემნახველი/სამაცივრე ინფრასტრუქტურის შექმნა კენკროვანი და ბოსტნეული კულტურებისთვის და ადგილობრივი ხორბლის წარმოების ხელშეწყობა;

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია;

იმერეთის აგროზონის ტერიტორიის განვითარება;

რძის მწარმოებელი მცირე შინამეურნეობებისა და ფერმერების, მერძვეობის სექტორისთვის მომსახურების მიმწოდებლების, რძის შემგროვებელი ცენტრების (პუნქტების) და რძის გადამამუშავებლების ხელშეწყობა;

საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურისა და საკვები ბაზების მოწესრიგება, საძოვრების მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნა/განვითარება.

#### 10.1.1 სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა (პროგრამული კოდი 31 05 01)

სოფლის მეურნეობის დარგში დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების მართვა და ეფექტიანი განხორციელება.

#### 10.1.2 შეღავათიანი აგროკრედიტები (პროგრამული კოდი 31 05 02)

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებისა და შენახვა-რეალიზაციის საწარმოების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით;

ბენეფიციარებზე სესხები (ან ლიზინგი) გაიცემა პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებიდან, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – სოფლის განვითარების სააგენტო განახორციელებს ამ სესხების (ლიზინგის) საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას და ზოგ შემთხვევაში მონაწილეობას მიიღებს სესხების უზრუნველყოფაში;

პროექტის ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმე და იურიდიული პირი;

სესხის (ლიზინგის) მიზნობრიობაა სოფლის მეურნეობის პირველადი, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოებისთვის ძირითადი და საბრუნავი საშუალებების დაფინანსება;

საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალურ პირობებს.

#### 10.1.3 აგროდაზღვევა (პროგრამული კოდი 31 05 03)



აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ფერმერებისთვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება;

სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევას ახორციელებენ სადაზღვევო კომპანიები, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – სოფლის განვითარების სააგენტო განახორციელებს სადაზღვევო პრემიების თანადაფინანსებას საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

10.1.4

#### **დანერგე მომავალი (პროგრამული კოდი 31 05 04)**

სანერგე მეურნეობების განვითარების და ბაღების ინტენსიური გაშენების ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების მსურველი ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა;

სანერგე მეურნეობების შექმნის სტიმულირება ფინანსური დახმარების საშუალებით;

პროექტში მონაწილე ბენეფიციართათვის ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა;

მრავალწლიანი კენკროვნების ბაღის გასაშენებლად ფიზიკური პირებისა და კოოპერატივებისთვის ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა;

საქართველოში არსებული აუთვისებელი მიწის ფართობების ათვისება, გავრცელებული დაბალშემოსავლიანი ერთწლიანი კულტურების მაღალშემოსავლიანი მრავალწლიანი კენკროვანი კულტურებით ჩანაცვლება და ადგილობრივი მოსახლეობის ფინანსური კეთილდღეობის ზრდის ხელშეწყობა.

10.1.5

#### **ქართული ჩაი (პროგრამული კოდი 31 05 05)**

საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, ჩაის წარმოების სექტორში ეფექტიანი კოოპერაციის ჩამოყალიბება/ხელშეწყობა, მაღალი ხარისხის ჩაის (მათ შორის, ბიოჩაის) წარმოების ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

როგორც კერძო, ისე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის ხარჯის თანადაფინანსება კომპანიებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის;

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობა მათი ბიზნესოპერატორებისთვის იჯარით გადაცემით;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ჩაის გადამამუშავებელი დანადგარების დაფინანსება.

10.1.6

#### **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების**



## პროექტი (პროგრამული კოდი 31 05 06)

იმპორტის ჩამანაცვლებელი პროდუქციის წარმოებისა და ადგილობრივი სანედლეულო ბაზის განვითარებისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების (ინფრასტრუქტურის) შექმნა და თანამედროვე საწარმოო ხაზით/ტექნოლოგიებით აღჭურვა საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

### 10.1.7 ფერმათა/ფერმერთა რეესტრაციის პროექტი (პროგრამული კოდი 31 05 07)

ფერმათა/ფერმერთა რეესტრის ერთიანი სისტემის მოსაწესრიგებლად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებელი პირების ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნა, რის შედეგადაც სახელმწიფოს ექნება სტატისტიკური ინფორმაცია სამიზნე ჯგუფების სწორად შესარჩევად და მათთვის სხვადასხვა მასტიმულირებელი პროექტის/პროგრამის საჭიროებისამებრ დასაგეგმად და განსახორციელებლად.

### 10.1.8 პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 31 05 08)

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი პროექტების/პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული/დასაფინანსებელი პოტენციური ბენეფიციარების/ბენეფიციარების მხარდაჭერა თანადაფინანსების ან/და საკონსულტაციო მომსახურების ან/და ტრენინგის ჩატარების გზით;

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული/განსახორციელებელი პროგრამებით/პროექტებით გათვალისწინებული დარგებისა და მიმართულებების გაძლიერება, სრულყოფა და მხარდაჭერა.

### 10.1.9 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურული განვითარება (პროგრამული კოდი 31 05 09)

კენკროვანი და ბოსტნეული კულტურებისა და ადგილობრივი ხორბლის წარმოების ხელშეწყობის მიზნით მწარმოებელი კოოპერატივებისთვის შემნახველი/სამაცივრე ინფრასტრუქტურის შექმნის ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

### 10.1.10 მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი (პროგრამული კოდი 31 05 10)

ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის გაზრდა მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვის საგრანტო თანადაფინანსებით საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

### 10.1.11 ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 31 05 11)

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს



ხელშეწყობით საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა;

საქართველოში და საზღვარგარეთ საქართველოს საელჩოების მიერ ორგანიზებული, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მიღებები, ყველისა და კულინარიის ფესტივალი, ჩაისა და თაფლის ფესტივალი, თევზისა და ზღვის პროდუქტების, სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების გამოფენები.

10.1.12

#### **იმერეთის აგროზონა (პროგრამული კოდი 31 05 12)**

იმერეთის რეგიონში 220 ჰა მიწის ნაკვეთზე სასათბურე მეურნეობების კლასტერის შექმნა; აღნიშნული მიწის ნაკვეთის დაბალ-, საშუალო- და მაღალტექნოლოგიურ ზონებად დაყოფა, სადაც შესაბამისი ტექნოლოგიის სათბურები აშენდება. სათბურების ჯამური ფართობი დაახლოებით 160 ჰექტარია;

პროექტის კონცეფციის თანახმად, აღნიშნულ ტერიტორიაზე ძირითად ინფრასტრუქტურას განავითარებს სახელმწიფო, ხოლო კერძო ინვესტორები სასათბურე მეურნეობებისა და სხვა დამხმარე ბიზნესების განსავითარებლად შეიძენენ ან გრძელვადიანი იჯარით აიღებენ მიწის ნაკვეთებს;

ძირითად ინფრასტრუქტურაში მოიაზრება: გარე და შიდა გზები, ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის მიწოდების ქსელი, დრენაჟისა და ირიგაციის სისტემები, საკანალიზაციო სისტემა, ტერიტორიის შემოღობვა, მოსწორება და სხვა;

პროექტის ფარგლებში შეიქმნება მებაღეობის სასწავლო და სადემონსტრაციო ცენტრი, სადაც მოხდება კვალიფიციური მუშახელის, აგრონომებისა და სასათბურე მეურნეობებისთვის საჭირო სხვა კადრების მომზადება;

იმერეთის აგროზონის ტერიტორიაზე შეიქმნება ლოჯისტიკისა და გაყიდვების ცენტრი, რომელიც რეგიონის სათბურებს მოემსახურება.

10.1.13

#### **ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 31 05 13)**

საქართველოში ბიოპროდუქტების წარმოების ხელშეწყობა;

ბიოპროდუქციის წარმოების ფართობების 300 ჰა-მდე გაზრდა;

100-მდე ბიომეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;

არსებული და ახალი ბიომეურნეობების სერტიფიცირების ხელშეწყობა;

ბიოპროდუქციის ცნობადობისა და პოპულარიზაციისთვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება (მათ შორის, მისი სარეალიზაციო არხების განვითარების ხელშეწყობა);

ბიომწარმოებელთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება;

კვალიფიციური კადრების მომზადება და გადამზადება ბიოწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის საკითხებში.



მუნიციპალიტეტებში ახალი სასათბურე მეურნეობების მოსაწყობად პოტენციური ქალი ბენეფიციარების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა.

#### აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 31 05 15)

რძის ხარისხის გაუმჯობესება, ინოვაციური სადემონსტრაციო/სამოდელო ფერმების შექმნა და დანადგარებით აღჭურვა, გრანტების გაცემა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი რძის წარმოების, რძის შემგროვებელი პუნქტებისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოების შესაქმნელად;

შერჩეული ბენეფიციარების სწავლება რძის წარმოების, შეგროვებისა და გადამამუშავების ტექნოლოგიებში, სურსათის უვნებლობის საკითხებში, HACCP-ის სტანდარტებში, ფერმერთა მიერ რძის ხარისხის ევრორეგულაციების შესაბამისად გაუმჯობესების, თანამედროვე საკვები ბაზისა და დაავადებების მართვის საკითხებში;

მერძევეობის სექტორში არსებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო საკითხების იდენტიფიცირება და მათი გადაწყვეტის ხელშეწყობა; საძოვრებთან დაკავშირებული და დარგისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის შექმნა;

პროგრამა განხორციელდება ექვს რეგიონში: იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, ქვემო ქართლსა და რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში.

#### მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა (DiMMA) (პროგრამული კოდი 31 05 15 01)

რძის მწარმოებელი მცირე შინამეურნეობებისა და ფერმერების, მერძევეობის სექტორისთვის მომსახურების მიმწოდებლების, რძის შემგროვებელი ცენტრების (პუნქტების) და რძის გადამამუშავებლების ხელშეწყობა;

ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობა, საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება, საკვები ბაზების მოწესრიგება, საძოვრების მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნა/განვითარება;

მერძევეობის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება, რომლის მიზანია: რძის ხარისხის გაუმჯობესება, ინოვაციური სადემონსტრაციო/სამოდელო ფერმების შექმნა, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი რძის წარმოებისთვის, რძის შემგროვებელი პუნქტებისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნისთვის გრანტების გაცემა; შერჩეული ბენეფიციარების სწავლება რძის წარმოების, შეგროვებისა და წარმოების ტექნოლოგიებში, სურსათის უვნებლობის საკითხებში, HACCP-ის სტანდარტებში, ფერმერთა მიერ რძის ხარისხის ევრორეგულაციების შესაბამისად გაუმჯობესების, თანამედროვე საკვები ბაზისა და დაავადებების მართვის საკითხებში;

ინსტიტუციური განვითარება, რომლის მიზანია: მერძევეობის სექტორში არსებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო საკითხების იდენტიფიცირება და მათი გადაწყვეტის ხელშეწყობა; საძოვრებთან



10.1.16 **ლიდერპროგრამა (პროგრამული კოდი 31 05 16)**

სოფლად ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი საქმიანობების ხელშეწყობისთვის პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა თანადაფინანსების მეშვეობით;

სოფლად სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა;

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ეკონომიკური დივერსიფიკაცია და ახალი, გრძელვადიანი სამუშაო ადგილების შექმნა.

10.1.17 **სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 31 05 17)**

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის გაზრდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტრაქტორი, ხელის ტრაქტორი (მოტობლოკი), ტრაქტორზე მისაბმელი (იმპლემენტი)) და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის განკუთვნილი თვითმავალი ტექნიკის თანადაფინანსების მეშვეობით.

10.1.18 **თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 31 05 18)**

საქართველოში თხილის პირველადი წარმოების ხელშეწყობა თხილის ბაღების მესაკუთრეების ან/და მფლობელების სტიმულირებითა და მოვლა-მოყვანისთვის საჭირო საქონლის ღირებულების სუბსიდირებით.

10.2 **სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია (პროგრამული კოდი 31 06)**

წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია;

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაცია და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკით უზრუნველყოფა;

მიწის აღდგენის სამუშაოების განხორციელება;

სამელიორაციო სისტემების ინსტიტუციური გაძლიერების ხელშეწყობა.

10.2.1 **სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენა (პროგრამული კოდი 31 06 01)**

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია;

შესაბამისი საინჟინრო კვლევების, დაპროექტების, ზედამხედველობისა და ექსპერტიზის განხორციელება;

სპეციალური ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობებისა და დამხმარე საშუალებების შეძენა სამელიორაციო ობიექტებზე საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო



10.2.2 **სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 31 06 02)**

შპს „საქართველოს მელიორაციის“ სუბსიდირება, სარწყავი და დამშრობი სისტემების ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებების, მექანიკური სატუმბი სადგურების ფუნქციონირებისთვის მოსახმარი ელექტროენერჯის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების დაფინანსება.

10.2.3 **ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება (WB) (პროგრამული კოდი 31 06 03)**

ზედა რუს მაგისტრალური არხის, ტბისი-კუმისის მაგისტრალური არხისა და ქვემო სამგორის მარჯვენა მაგისტრალური არხის სრული რეაბილიტაცია; ზედა რუს და ქვემო სამგორის პირველი რიგისა და მეორე რიგის გამანაწილებელი არხებისა და შიდა სამეურნეო ქსელების აღდგენა, სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია;

შპს „საქართველოს მელიორაციის“ ინსტიტუციური გაძლიერება და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა;

შერჩეულ გეოგრაფიულ არეალში საირიგაციო სერვისების მიწოდების გაუმჯობესება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობისა და სოფლად დასახლების ზრდას;

პროექტის გეოგრაფიული არეალია: ქვემო სამგორი (კახეთის რეგიონი), ტბისი-კუმისი (ქვემო ქართლის რეგიონი) და ზედა რუ (შიდა ქართლის რეგიონი).

„10.2.4 **საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტი (WB) (პროგრამული კოდი 31 06 04)**

პროექტით განსაზღვრულ ტერიტორიებზე კლიმატის ცვლილებების მიმართ მდგრადი დაგეგმვისთვის სარწყავი და სადრენაჟო მომსახურებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუმჯობესება, ეროვნული ირიგაციისა და მიწის მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება;

შერჩეული საირიგაციო და სადრენაჟო სქემების რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია;

მიწის ადმინისტრირების სერვისების გაძლიერება და ციფრული მმართველობის ინფრასტრუქტურის მოწყობა.

10.3 **მევენახეობა-მელვინეობის განვითარება (პროგრამული კოდი 31 03)**

ქართული ღვინოპროდუქციის საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენებისა და პრესტურების მოწყობა;

სპეციალიზებული უცხოური ჟურნალებისთვის საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის შესახებ სტატიების მომზადება და მათი გამოქვეყნება;





სარეკლამო რგოლების დამზადება და ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება;

ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინისა და კულინარიის შესახებ საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა;

ალკოჰოლიანი სასმელების სასერტიფიკაციო ნიმუშების ან/და სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული ნიმუშების შედარების უზრუნველსაყოფად და სახელმწიფო კონტროლისა და სახელმწიფო ზედამხედველობის ფარგლებში ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის ჩატარება;

მევენახეობის კადასტრის დანერგვა;

ვენახების ფართობების აღრიცხვა;

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წიპწებისა და მერქნის მოლეკულური გენეტიკის ამპელოგრაფიის მეთოდებით შესწავლის ხელშეწყობა და წიპწების მოსაპოვებლად არქეოლოგიურ გათხრებში თანამონაწილეობა;

მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა;

ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების სისტემის განვითარების ხელშეწყობა და ქართულ ღვინოსთან დაკავშირებული აღნიშვნების დაცვის ღონისძიებების განხორციელება.

#### 10.4 სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა (პროგრამული კოდი 31 02)

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი;

ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური, იძულებითი ღონისძიებებისა და ლაბორატორიული კვლევების განხორციელება;

ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;

ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტებში ცხოველთა გარეგან პარაზიტებზე დამუშავება;

სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლი მიმოქცევაში მყოფ ვეტერინარულ პრეპარატებზე;

ცხოველებში ვეტპრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენების არსებობის კონტროლი;

საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება;

პესტიციდების/აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი და ვეტერინარული აფთიაქებისა და სამკურნალოების მონიტორინგი;

სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების, ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების, მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმების და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ლაბორატორიული



კვლევა;

ქვეყნის ტერიტორიის მონიტორინგის (მავნებლის გამოჩენის და მისი რიცხოვნობის დაფიქსირება ფერომონიანი ხაფანგების საშუალებით) საფუძველზე, თანამედროვე, სპეციფიკური შესასხურებელი ტექნიკის გამოყენებით, აზიური ფაროსანას პოპულაციის რიცხოვნობის შესამცირებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, კერების ლოკალიზაცია/ლიკვიდაცია.

#### 10.5 სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (პროგრამული კოდი 31 04)

თანამედროვე აგროტექნოლოგიების გამოყენების შესახებ აგრარულ სფეროში დასაქმებულ პირთა ცნობიერების ამაღლება;

საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების მიკროსასელექციო გუნდების შექმნა;

ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების გენოფონდის მოძიება, აღდგენა, კონსერვაცია, საკოლექციო და სადედე ნარგაობების შექმნა;

ერთწლიანი კულტურების პირველადი მეთესლეობის განვითარება;

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სარგავი მასალის სერტიფიცირების სისტემის მხარდაჭერა;

ბიოაგროწარმოების დანერგვის ხელშეწყობა;

სურსათის უვნებლობის სფეროში რისკის შეფასება;

ხილისა და ბოსტნეულის შენახვისუნარიანობისა და ნედლად შენახვის მეთოდების კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ნიადაგების მდგომარეობის შესწავლა, სათანადო რეკომენდაციების გაცემა და ღონისძიებების შემუშავება;

მეღვინეობის თანამედროვე ექსპერიმენტულ-კვლევითი საწარმოს მშენებლობა.

#### 10.6 კვების პროდუქტების, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა (პროგრამული კოდი 31 14)

სტანდარტების – ISO 17025:2017/2018-ისა და ISO 9001-2015-ის მოთხოვნების შესაბამისად:

ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური და არაინფექციური დაავადებების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა;

მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში, მავნე ორგანიზმების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა;

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ლაბორატორიული კვლევა ქვეყნის მასშტაბით;



სურსათის/ცხოველის საკვების და სასმელი წყლის ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევა და ამ პროდუქტებში არსებული მიკრობიოლოგიური, ქიმიური და რადიაციული დაბინძურების გამოვლენა;

სურსათის მიმართულებით ინსტრუმენტული ლაბორატორიული კვლევების გაძლიერება, მათ შორის, ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური და არაინფექციური დაავადებების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა;

სურსათის/ცხოველის საკვების ხარისხობრივი და უსაფრთხოების მაჩვენებლების განსაზღვრა;

სასმელი წყლის და მცენარეთა მავნე ორგანიზმების კვლევა.

10.7

### მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 31 15)

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების, მდგრადი მართვისა და დაცვის ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა, მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა;

მიწის რესურსების მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა და მისი ელექტრონული მართვის პროგრამული უზრუნველყოფა;

მიწის ბალანსის შედგენა;

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების მდგრადი მართვის უზრუნველყოფა;

ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება;

ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის აღდგენის, გაშენებისა და მართვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება.

11

## სასამართლო სისტემა

გაგრძელება სასამართლო სისტემის გაძლიერება, განმტკიცება მისი დამოუკიდებლობა და ყველაფერი გაკეთდება სასამართლოსადმი მოსახლეობის მაღალი ნდობის მოსაპოვებლად. ამ მიზნით:

- განხორციელდება სასამართლოების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდასთან დაკავშირებული შემდეგი ღონისძიებები: გაიზრდება მოსამართლეთა და სასამართლოთა აპარატების მოხელეთა რაოდენობა; გაუმჯობესდება სასამართლოების ინფრასტრუქტურა; დაიხვეწება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა და სხვა;

- შემუშავდება და დაინერგება დისციპლინური სამართალწარმოების ელექტრონული პროგრამა;

- შეიქმნება სასამართლოთა გადაწყვეტილებების სრულყოფილი ელექტრონული ბაზა;

- დაიხვეწება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა მისი გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესებისთვის.



გაიზრდება სამართალდამცავ სისტემაში პროკურატურის როლი და ეფექტიანობა; კვლავ პრიორიტეტული იქნება გამოძიების მიმდინარეობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში ადამიანის უფლებების დაცვა. ამ მიზნით:

- ოჯახში ძალადობის, წამების, არასათანადო მოპყრობის, უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფაქტებზე განხორციელდება უფრო ეფექტიანი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა;
- დაიხვეწება სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა; დაინერგება პროკურორთა დატვირთვის ელექტრონული მოდული;
- დაიხვეწება ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამები; მოხდება პროკურორთა შეფასების სისტემის სრულყოფა და ამ სისტემის ფარგლებში განხორციელდება პროკურორების მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტების ხარისხისა და მათი სასამართლო უნარ-ჩვევების მონიტორინგი;
- გაიზრდება პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება;
- დაიხვეწება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტი;
- მოხდება არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურორთა გადამზადება და არასრულწლოვანებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების სრულყოფა, შეიქმნება არასრულწლოვანზე ორიენტირებული გარემო;
- მოხდება პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის სრულყოფა.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის, დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის უზრუნველყოფისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტიტუციური გარდაქმნის მიზნით:

- გაგრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დახვეწა, რაც უზრუნველყოფს მის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას და გაზრდის დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობას ადამიანის უფლებათა ხელყოფის გარეშე. საკანონმდებლო ცვლილებები შეეხება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების მარეგულირებელ კანონმდებლობას, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესებას, ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან და დისკრიმინაციული ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვას, ცივი იარაღის ბრუნვის ეფექტიან რეგულირებას და სხვა;
- გაიზრდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობა. ამასთანავე, უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის უფლებების დაცვის პრიორიტეტულობა;
- ქვეყანაში უსაფრთხო გარემოს შექმნისა და მართლწესრიგის დაცვის უზრუნველყოფისთვის რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდება



ანალიზზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკა და უზრუნველყოფილი იქნება სასჯელის გარდაუვალობა, აგრეთვე უზრუნველყოფილი იქნება მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის ყველა მონაწილის ეფექტიანი მუშაობა და შესაბამისი პასუხისმგებლობის გაზიარება;

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის ეფექტიანი სისტემის უზრუნველსაყოფად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განვითარება გაგრძელდება „სისტემური განახლების“ კონცეფციის შესაბამისად, რომელიც მოიცავს როგორც სტრუქტურულ რეფორმებს, ისე შინაარსობრივ ცვლილებებსა და საკანონმდებლო ინიციატივებს.

## 11.1 სასამართლო სისტემა (პროგრამული კოდები 07 00–10 00)

სასამართლოთა შენობების სამშენებლო და სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება;

ნაფიცი მსაჯულებისა და მსაჯულობის კანდიდატებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ხარჯის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან;

მოსამართლეთა ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა;

საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გამჭვირვალობისა და საჯაროობის პროცესის გაგრძელება.

## 11.2 სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (პროგრამული კოდი 46 00)

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კვალიფიციური ექსპერტების მეშვეობით განსაზღვრული ექსპერტიზისა და გამოკვლევების ჩატარება, შესაბამისი დასკვნის შედგენა და გაცემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

საერთაშორისო დონეზე აღიარებული სამედიცინო კვლევის მეთოდების გამოყენება და ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელება;

ექსპერტიზის ახალი მეთოდოლოგიების დანერგვა და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება;

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მიწოდებული სერვისების სანდოობის მაღალი ხარისხის შენარჩუნება;

ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება;

მომსახურების სფეროს მუდმივი განვითარება;

კადრების კვალიფიკაციის ამაღლება;

ექსპერტების პროფესიული ტრენინგებითა და სასწავლო კურსებით უზრუნველყოფა, საერთაშორისო პროფესიულ და ლაბორატორიათაშორის ტესტირებებში მონაწილეობა და ISO 17025-ის სტანდარტის აკრედიტაციის შენარჩუნება.



ქვეყანაში გარემოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საქართველოს მთავრობა გააგრძელებს შემდეგი რეფორმების განხორციელებას:

- გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;
- კლიმატის მწვანე ფონდის პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდება ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი; 2020–2024 წლებში მოხდება მეტეოროლოგიურ და ჰიდროლოგიურ პარამეტრებზე დაკვირვების 150-მდე ავტომატური სადგურის/საგუმაგოს შექმნა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დამონტაჟება/გამართვა;
- გაგრძელდება ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება;
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით გაგრძელდება მერქნულ რესურსზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება; განვითარდება ტყით მრავალმიზნობრივი სარგებლობა, რაც შექმნის დამატებით ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელს;
- 2020–2024 წლებში დაცული ტერიტორიების გაფართოებისა და დაცვის მიზნით დაარსდება ახალი დაცული ტერიტორიები და გაფართოვდება ზოგიერთი არსებული დაცული ტერიტორია (სულ – დაახლოებით 185 000 ჰექტარი); შეიქმნება ახალი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა;
- გაგრძელდება გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება; მოხდება ზოგადი და უმაღლესი განათლების სისტემაში გარემოსდაცვითი განათლების საკითხების ინტეგრირება;
- ტყის რესურსების ონლაინკონტროლისა და ადგილობრივი კონტროლის გაძლიერებისთვის დაინერგება ფოტოხაფანგების, უპილოტო საფრენი აპარატების, სამეთვალყურეო და სხვა მოწყობილობების გამოყენებით ეფექტიანი კონტროლის სისტემა;
- ქვეყნის მასშტაბით ეტაპობრივად დაინერგება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემა და ხელი შეეწყობა ნარჩენების ხელახალ გადამუშავებას;
- გაუმჯობესდება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სისტემა და მოეწყობა რადიაციული ნარჩენების მართვის ახალი, ევროპული სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

## 12.1

### დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 31 08)

დაცული ტერიტორიების ქსელის განვითარება – დაცული ტერიტორიების განვითარება და გაფართოება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა, მოვლა და აღდგენა;

დაცული ტერიტორიების სისტემის მართვა, დაცვა და მონიტორინგი – დაცული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, მეთვალყურეობა, არსებული ინფრასტრუქტურული ელემენტებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, მოვლა და შენარჩუნება;



დაცული ტერიტორიების ტყეების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება – დაზიანებული ფართობების აღდგენა და შესაბამისი მეთოდებით მავნებლებთან ბრძოლა;

დაცული ტერიტორიების დაცვა, ხანძრის პრევენცია – საჭირო აღჭურვილობის გამოყენება და ხანძრის გავრცელების საშიშროების აღკვეთა, საზოგადოებისთვის დაცულ ტერიტორიებზე გადაადგილებისა და ქცევის წესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა – ტყეების ინვენტარიზაცია და მათი მართვის გეგმების შემუშავება;

დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

ეკოტურიზმის განვითარება – ეკოტურისტული სერვისების დანერგვა და განვითარება, ვიზიტორების მოზიდვა და დაინტერესება.

## 12.2 გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 31 07)

გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, მათ შორის, ხეტყის კონტროლის გაუმჯობესება, ხეტყის უკანონო მოპოვების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;

გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სისტემის სრულყოფა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა ჯეროვან შესრულებას;

კანონდარღვევათა შემაკავებელი ეფექტიანი პირობების შექმნა და რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ნებაყოფლობით შესრულების სათანადო დონის მიღწევა;

რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად პრევენციული ღონისძიებების განხორციელების კონტროლი;

გარემოსთვის მიყენებული ზიანის ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით შეფასება;

გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ან სანაცვლო ღონისძიებების განხორციელების კონტროლი.

## 12.3 სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 31 09)

ტყის მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბებისთვის საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციით გათვალისწინებული ქმედებების ეტაპობრივი განხორციელება;

მდგრადი ტყითსარგებლობის განხორციელება;

ხეტყის დამზადებისთვის შესაბამისი ფართობების გამოვლენა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება (მათ შორის, სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა, მერქნულ რესურსზე (მათ შორის, სათბობ შემაზე) მოსახლეობისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა);



ტყის მოვლის (მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული) და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება;

ტყის აღრიცხვის ღონისძიებების განხორციელება, ტყის მართვის გეგმების შემუშავება, ტყეების მდგომარეობის შესახებ მონაცემების მიღების, ანალიზისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტიანი სისტემის დანერგვა;

მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის მართვისა და განვითარების უზრუნველყოფა.

#### 12.4 გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 31 01)

ქვეყნის აგრარულ და გარემოს დაცვის სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება;

აგრარული და გარემოს დაცვის სექტორის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება;

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავება;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის, ტერიტორიული ორგანოებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ერთიანი სისტემის უზრუნველყოფა;

